ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 24 მარტი, 2011 №70 (5451) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“ + „განდი“ 8 ლარი – 21 მარტიდან 4 აპრილამდე

4 აპრილის შემდეგ „განდის“ ფასი 12 ლარი გახდება




# დავით გარეჯს ისევ ანგრევენ!

## სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონი აღდგა!

გვ.2



## სააკაშვილმა ტრამპთან დიდი ფული ჩაიტანა

გვ.6



„პოლიტიკური რვიანი“ პოლიტიკური ონანიზმით არის დაკავებული

## დენის და გაზის საფასური უახლოეს მომავალში არ გაიზრდება

გვ.4

ხეთაგურმა ოპოზიციას ნერვები მოუშალა



## ხელისუფლებას იარაღით მიტაცებულ სკამებს არ შევარჩენთ!

გვ.3



## აქციების დასარბევად აზერბაიჯანელები და სომხები ჩამოჰყავთ

გვ.5



რატომ დაუმეგობრდა ტრამპი მხედრიონს

## ტელეკომპანია „მაესტროს“ აქციათა 50% მომღერალ გია გაჩეჩილაძეს გადაეცემა

გვ.8



გვ.7

## სააკაშვილი საბრალდებო სკამზე ადვოკატებმა უნდა დავსვათ!

## რატომ არ სჯიან კახა ლომაიას

გვ.10





გვ.7

## სასამართლომ გიორგი დემეტრაძეს 6 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა

## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**4** ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა

**11** არჩევნების სამართლიანობაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციას და საზოგადოებას ეკისრება

**9** დანაწევრებული ოპოზიცია ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებს

**14** ნინო სალუქვაძემ საქართველოს 2012 წლის ოლიმპიადის პირველი ლიცენზია მოუტანა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# დავით გარეჯს ისევ ანგრევენ!

## სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონი აღდგა!




ქეთი ხომერიკი

„ქართული პარტიის“ მტკიცებით, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონი აღდგა და იქ რეზერვისტთა წვრთნები მიმდინარეობს. ლიდერების თქმით, განხორციელებული წვრთნები უნიკალური ძეგლების დაზიანებას იწვევს. ამიტომ „ქართული პარტიის“ ლიდერები თავდაცვის სამინისტროსგან წვრთნების დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითხოვენ. თავის მხრივ, თავდაცვის სამინისტრო დავით გარეჯის ტერიტორიაზე წვრთნების შესახებ ინფორმაციას, რა თქმა უნდა, არ ადასტურებს. ეჭვების გასაფანტავად და იმის დასამტკიცებლად, რომ ბაზაზე წვრთნები არ მიმდინარეობს ლევან გაჩეჩილაძემ და სოზარ სუბარმა გუშინ ბაზის სამხედრო პოლიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელისგან, ვინმე ლევან გუნიასგან საწვრთნელ ბაზაზე შეშვების პირობაც კი მიიღეს, თუმცა... როგორც მოსალოდნელი იყო, სამხედრო პოლიციის წარმომადგენელმა „ქართული პარტიის“ ლიდერებისადმი მიცემული პირობა დაარღვია და „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი და თანათავმჯდომარე ლევან გაჩეჩილაძე დავით გარეჯის მონასტერთან მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ რეზერვისტთა საწვრთნელ ბაზაზე არ შეუშვეს. მეტიც, გაბუნია საერთოდ გაუჩინარდა და იქ მისულ ლიდერებს მის მაგივრად სულ სხვა პიროვნება დახვდათ. „ქართული პარტიის“ ლიდერებთან ერთად იქ ჟურნალისტებიც (მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენც) იმყოფებოდნენ, თუმცა, ამ ფაქტს არაფერი შეუცვლია და როგორც უკვე გითხარით, სამხედრო პოლიციის წარმომადგენლებმა სუბარ-გაჩეჩილაძე ჟურნალისტებიანად პოლიგონის უნახავად გამოუშვეს.

არადა, გუშინწინ სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელი, ლევან გაბუნია ირწმუნებოდა, რომ ლიდერებს პოლიგონზე აუცილებლად, შეუშვებდა. გაბუნიამ სუბარ-გაჩეჩილაძე მოტყუებული რომ დატოვა, ეს არც უნდა გვიკვირდეს, რადგან ადამიანების მოტყუება და „გადაგდება“ ამ ხელისუფლების და მათი ქვეშევრდომების სტილია და ეს მათ კარგა ხანია სისხლში აქვთ გამჯდარი. სოზარ სუბარი დილიდან ცდილობდა გაბუნიასთან დაკავშირებას, მან გაბუნიას ტელეფონი აუფეთქა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, იმდენჯერ დაურეკა, თუმცა, მისი არაერთგზის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა — გაბუნიამ მის ზარებს არ უპასუხა. დიდი ფილოსოფია არ სჭირდება იმის ახსნას, თუ რატომ არ უპასუხა გაბუნიამ სუბარის ზარებს. მიზეზი მარტივია — „ქართული პარტიის“ საწვრთნელ ბაზაზე შეშვება თავდაცვის სამინისტროს ინტერესებში არანაირად არ შედიოდა და არც შედის. და თუ რატომ, ძნელი მისახვედრი არც ეს უნდა იყოს. იქ წვრთნები ნამდვილად მიმდინარეობს და არშეშვება ზუსტადაც რომ ამაზე მეტყველებს. აბა, ხომ არ შეჭამდნენ სუბარ-გაჩეჩილაძე გაბუნიას და მის ამალას, ბაზაზე რომ შეეშვათ? მათი სამხედრო პოლიგონზე შეშვებით რა დაშავდებოდა? რა და, სიმართლე გაირკვეოდა და სავარაუდოდ, მივხვდებოდით იმას, რომ იქ წვრთნები მიმდინარეობს.

მოდით, დეტალურად გიამბობთ, თუ რა მოხდა. დავით გარეჯის მონასტერთან მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ რეზერვისტთა საწვრთნელ ბაზასთან სიახლოვეს მისულებს ტერიტორია გადაკეტილი დაგვხვდა. იქ სამხედრო პოლიციის რამდენიმე მანქანა და წარმომადგენელი იყო. სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელი ლევან გაბუნია კი, როგორც უკვე გითხარით, არსად ჩანდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელი, ვინმე მიხეილ გელაშვილი დაგვხდა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ლევან გაბუნიას არ იცნობდა და შესაბამისად, „ქართული პარტიის“ და გაბუნიას შეთანხმების შესახებ არაფერი იცოდა. ამიტომაც ის საწვრთნელ ბაზაზე ვერ შეგვიშვებდა. არადა, სუბარის თქმით, ბატონი მიხეილი გუშინ ამ ტერიტორიაზე გაბუნიასთან ერთად იმყოფებოდა. სუბარის მცდელობა, რომ ეს ადამიანი მაინც დაკავშირებოდა გაბუნიას, რათა აელო მისგან პოლიგონზე ჩვენი შეშვების უფლება, უშედეგოდ დასრულდა, რადგან გელაშვილი ჯიუტად იმეორებდა ერთი და იგივეს — გაბუნიას არ ვიცნობ და შესაბამისად, ვერ დავუკავშირდებიო. ცხადია, იგი მწარედ და უტიფრად გვატყუებდა. „თავდაცვის სამინისტროდან საწვრთნელ ბაზაზე თქვენი შეშვების ბრძანება არ მაქვს, ასეთი ბრძანება არ მიმიღია, ასე რომ, სანამ ბრძანება არ მექნება, ბაზაზე ვერ შეგიშვებთ“, — გვიმეორებდა, გელაშვილი.

**სოზარ სუბარი:**

— გაბუნიას შეთანხმებისამებრ დილიდან ვურეკავთ, თუმცა, როგორც ხედავთ, ამ წუთამდე არ გვპასუხობს. პირველად რომ დავრეკე და არ მიპასუხა, მაშინვე მივხვდი, რომ ზუსტად ის მოხდებოდა, რაც მოხდა, ანუ თავად დაიმალებოდა, ხოლო სხვები კი გვეტყოდნენ, რომ არ ვიცით, რა ხდება, საქმის კურსში არ ვართ და შესაბამისად პოლიგონზე ვერ შეგიშვებთო.

***— რას წარმოადგენს გაბუნია, რა თანამდებობა აქვს? მის გარდა აქ არავინ არის კომპეტენტური, რომ საწვრთნელ ბაზაზე შეგიშვათ?***

— ლევან გაბუნია გუშინ საგუშაგოს უფროსი იყო. იგი სამხედრო პოლიციის ნაწილს მეორე მხრიდან ხელმძღვანელობდა. აქეთა მხრიდან კი, როგორც ჩანს, სამხედრო პოლიციას ეს ადამიანი ხელმძღვანელობს და აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გვიშვებს. ნებისმიერი სახის სამხედრო ბანაკის არსებობა და ნებისმიერი სახის წვრთნის ჩატარება დავით გარეჯის ტერიტორიაზე აკრძალულია. არსებობს 1997 წლის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დავით გარეჯის სამონასტრო კომ-



პლექსის მიმდებარე ტერიტორიის სამხედრო პოლიგონად გამოყენება იკრძალება. აღარ ვლაპარაკობ აფეთქებებზე. ცხადია, ვიცოდით, რომ დღეს აქ აფეთქებები არ იქნებოდა, თუმცა, აფეთქებები რომ ხდება, ეს დადასტურებულია და გადაღებულია ჟურნალისტების მიერ. ეს ბერებმაც დაგვიდასტურეს და გვითხრეს, რომ აფეთქებები ხშირად ისმის. თავად ის ფაქტი, რომ დღეს არ გვიშვებენ, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლოთ აქაურობა გაესუფთავებინათ და არაფერი ეჩვენებინათ უკვე ერთგვარი დამადასტურებელია იმისა, რომ აქ პრობლემა არსებობს. უბრალოდ, ძალიან ცუდი ფაქტია ის, რომ ჯარი, რომელიც ერის ღირსების გამოხატულება უნდა იყოს, ასე იქცევა, ანუ ერთ დღეს გვპირდებოდეს სხვა რამეს და მეორე დღეს კი სიტყვას არ ასრულებდეს.

***— დილიდან ურეკავთ გაბუნიას და ის თქვენ ზარებს არ პასუხობს, ხომ, ბატონო სოზარ?***

— დიახ, აი, ხომ ხედავთ, ახლაც ვურეკავ და არ მპასუხობს. უბრალოდ, ეს ღირსეული საქციელი არ არის, თორემ ამით ვერც ვერაფერი დაგვაკლო, ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს საქმეს. აქ რომ აწერია „ზდექ, აკრძალული ზონაა“, ეს კანონდარღვევაა. გზის გადაკეტვა ჩვეულებრივი ადმინისტრაციული ქმედებაა, რომელიც უნდა იყოს გამაგრებული ადმინისტრაციული აქტით და არანაირი

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# პარლამენტში დებატები მხოლოდ დებატებისთვის იმართება



ექსპერტ გია ხუხაშვილის აზრით, საქართველოს პარლამენტში მიმდინარე დებატები არის დებატები მხოლოდ დებატებისთვის და წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ დებატებს შედეგები არ მოაქვს.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ხუხაშვილმა აღნიშნა, ოპოზიციას, რაც არ უნდა კარგი არგუმენტები ჰქონდეს, როდესაც სიტყვას არ აქვს ფასი, ეს ყველაფერი აზრს კარგავს. სამწუხაროა, რომ საქართველოში დებატების უცნაური კულტურა დამკვიდრდა, კერძოდ, დიალოგთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ორ მხარის მონოლოგთან, რომელიც შემდგომ საგნობრივში არ გადადის.

— ხელისუფლება თავისი გადმოსახედიდან უყურებს ყველაფერს და თუ ვინმემ ხმა თუ ამოიღო, თვლის, რომ ის ჩასაფრებულის პოზიციიდან არის და მისი შენიშვნის გათვალისწინება არ შეიძლება. ნებისმიერი საგნობრივი საუბრები პოლიტიკურ პლანში გადააქვს. მიანია, რომ თუ ოპოზიციის შენიშვნას გაითვალისწინებს, სისუსტეში ჩაეთვლება, რაც თავისთავად არასწორი მიდგომაა. ამასთან, მას თავისი პოლიტიკური ინტერესები აქვს და გარედან ჩარევას არ დაუშვებს. ხელისუფელბას ძალიან მაღალი კედელი აქვს აშენებული ოპოზიციასთანაც და საზოგადოებასთან.,— აღნიშნა ექსპერტმა.

მისი თქმით, წინა პოლიტიკური დებატებისას უმწვავესი გამოსვლები ჰქონდათ ქრისტიან-დემოკრატებს, თუმცა, როდესაც მწვავე გამოსვლებს უმრავლესობისგან მოჰყვა გარკვეული პასუხები, ქრისტიან-დემოკრატები ისხდნენ და იღიმებოდნენ, ამიტომ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ეს გამოსვლა იყო მხოლოდ გამოსვლსთვის და არა შედეგის მისაღებად.

— შეიძლება ძალიან მწავედ ილაპარაკონ, მაგრამ გულში მთლად კარგად არ ჰქონდეთ საქმე. მარტო ლაპარაკით ქვეყანას არ ეშველება. ესეც საბოლოო ჯამში ცინიზმში გადადის. არჩევნების წინ როდესაც ლაპარაკობ 5-თეთრიანი და 10-თეთრიანი ლოზუნგებით და არჩევნების შემდეგ, ეს ციფრები არც კი გახსოვს, ესეც ცინიზმია. რატომ არ იბრძვიან ამ ტარიფებისთვის, რითიც საზოგადოების გარკვეული მხარდაჭერა მოიპოვეს? დებატები დებატებად დარჩება და ხელისუფლება არ გაითვალისწინებს ოპოზიციის შენიშვნებს მანამ, სანამ ოპოზიციას ზეწოლის რეალური ბერკეტები არ ექნება. ამ ბერკეტების მოპოვებას კი, საზოგადოების ნდობა სჭირდება, რომელიც ოპოზიციას არ აქვს. ყველას ვგულისხმობ. ჩვენ არ გვაქვს მხოლოდ ხელისუფლების პრობლემა, გვაქვს ოპოზიცის პრობლემაც, —აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას გია ხუხაშვილმა

**მედიანიუსი**

# მიხეილ სააკაშვილმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი მიიღო



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს კარლ ლამერსს პრეზიდენტის სასახლეში შეხვდა.

შეხვედრისას, კარლ ლამერსმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატა და დადებითად შეაფასა ყველა ის ნაბიჯი, რომელიც საქართველომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მიზნით განახორციელა. მხარეებმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ისაუბრეს და ყურადღება საქართველოში განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებზე გაამახვილეს. როგორც კარლ ლამერსმა აღნიშნა, ამ რეფორმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, რომელიც ნატო-ში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის.

შეხვედრის მსვლელობისას, კარლ ლამერსმა ასევე დადებითად შეაფასა კორუფციასთან ბრძოლის მეთოდები და მიღწეული შედეგები. მისი თქმით, ამ მიმართულებით წარმატება და მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება.

შეხვედრის ფარგლებში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ნატოში მიღებულ დეკლარაციებზე, რომლითაც ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს, რუსეთს კი ცეცხლის შეწყვეტის დოკუმენტის შესრულებისკენ მოუწოდებს.

**მედიანიუსი**

# ნათელაშვილი აშშ-ს პოლიტელიტას ხვდება



ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიური მდივნის კახაბერ ძაგანიას განცხადებით, ვაშინგტონში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, შალვა ნათელაშვილი ამერიკის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებთან შეხვედრებს განაგრძობს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კახაბერ ძაგანიამ აღნიშნა, შალვა ნათელაშვილი ამერიკის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან პირშნერს შეხვდა. შეხვედრა პრესისათვის დახურული იყო.

ძაგანიას თქმით, აზრთა გაზიარება შალვა ნათელაშვილსა და ნიქსონის ცენტრის დირექტორ პაულ სანდერს შორისაც შედგა. ნათელაშვილი ვაშინგტონში ამერიკის საგარეო- პოლიტიკურ უწყებაშიც მიიღეს, სადაც გაიმართა შეხვედრა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ დევიდ სველეისთან.

— ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა პირდაპირ განუცხადა მათ, ვისაც ეს ეხება, რომ სააკაშვილი სამუდამოდ აპირებს სხვადასხვა მანიპულაციებით შეინარჩუნოს უკანონოდ მიტაცებული პოსტი, რასაც შეერთებული შტატების ადმინისტრაციისგან უნდა მოჰყვეს ისეთივე სანქციები, რაც განხორციელდა მუამარ კადაფისა თუ ლუკაშენკოს რეჟიმების წინააღმდეგ, — აღნიშნა ძაგანიამ.

ლეიბორისტები სააკაშვილისა და მისი გარემოცვისთვის ამერიკა-ევროპის სივრცეში გადაადგილების აკრძალვასა და მათ მიერ ქვეყნიდან „მოპარულ მილიარდებზე“ უცხოეთის ბანკებში ყადაღის დადებას მოითხოვენ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## გილაურმა მალაიზიელ კოლეგას წერილით მიმართა



ნარკოდანაშაულში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებული ქართველების დასახმარებლად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკოლოზ გილაურმა მალაიზიელ კოლეგას ნაჯიბ რაზაკს წერილით მიმართა.

— საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტა, მიმართოს თავის მალაიზიელ კოლეგას წერილით და სთხოვოს ამ ქალბატონების გათავისუფლება, — აღნიშნა პრემიერის პრესმდივანმა ნიკოლოზ მჭედლიშვილმა.

— თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში თბილისის სასამართლოს გადაწყვეტილება და ასევე ამ საქმის ჰუმანიტარული ასპექტი და გათავისუფლოთ ბაბუცა გორდაძე და დარეჯან კოხტაშვილი პატიმრობიდან. მწამს, რომ ეს იქნება კანონოისა და მორალის თვალსაზრისით ყველაზე მართებული გადაწყვეტილება, — აღნიშნულია ნიკოლოზ გილაურის მიერ მალაიზიელ კოლეგასთან გაგზავნილ წერილში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მოქალაქეები: ბაბუცა გორდაძე და დარეჯან კოხტაშვილი საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ გადატანის ბრალდებით მალაიზიაში გასულ წელს დააკავეს **მედიანიუსი**

## ალასანიას მოთმინების ფიალა ივსება



„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლია ალასანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების ჩიხში შესვლის შემთხვევაში, ქვეყანაში ვითარების დაძაბვას არ გამორიცხვას.

— ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი და ხალხის მოთმინებასაც; მიხეილ სააკაშვილმა ან უნდა დათმოს საარჩევნო გარემო, ან ვითარება ქვეყანაში ძალიან დაიძაბება, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს" ალასანიამ.

მისი მტკიცებით, სააკაშვილი ხდება ამ მოლაპარაკებების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი და ამიტომაც, „ოპოზიციური რვიანი" მოითხოვს, ხელისუფლება სერიოზულად მოეკიდოს იმ საკითხებს, რომელიც მოლაპარაკებათა პროცესში იქნა წარდგენილი.

როგორც „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა აღნიშნა, „ოპოზიციური რვიანი" მოლაპარაკებათა მაგიდიდან გასვლას არ აპირებს და ხელისუფლებისგან ადექვატურ გადაწყვეტილებებს ელოდება.

— „რვიანის" პოზიცია არის ერთიანი — ჩვენ ველოდებით ხელისუფლების პასუხებს; მივიჩნევ, რომ მოლაპარაკებების პროცესი შევიდა მგრძნობიარე ახალ ფაზაში, სადაც ორივე მხარისგან აუცილებელია სერიოზული ნაბიჯების გადადგმა, — განაცხადა ალსანიამ.

შეგახსენებთ, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით გუშინ დაგეგმილი ოპოზიციისა და ხელისუფლების მორიგი შეხვედრა პარლამენტში მინისტრების მისვლის გამო ჩაიშალა. **ინტერპრესნიუსი**

## ხელისუფლება საარჩევნო კოდექსის განხილვას კვლავ აჭიანურებს

ეროვნულ-დემოკრატიული პატრიის პოლიტიკური მდივნის გოგა გოგნიაშვილის განცხადებით, ხელისუფლება კვლავ აჭაინურებს საარჩევნო კოდექსის განხილვას.

მისი თქმით, გუშინ დაგეგმილი კონსულტაციების გაურკვეველი ვადით გადადება ამის ნათელი მაგალითია. როგორც გოგა გოგნიაშვილი აცხადებს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მზად იყო, დღევანდელ შეხვედრაზე კონკრეტული წინადადებების გასაცნობად და კონსულტაციების გასაგრძელებლად როგორც ხელისუფლების, ასევე სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან.

თუმცა ახალი კოდექსის განხილვა ისე გადაიდო, რომ ამის მიზეზი არ დასახელებულა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოუწოდებს ხელისუფლებას, შეწყვიტოს კოდექსის პროექტის განხილვის გაჭიანურების პროცესი და პარტიებს შორის დიალოგი აქტიურ ფაზაში გადაიყვანოს.

— სწორედ ამას ითხოვენ ჩვენგან საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და, მათ შორის, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია. წინაალმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში პოლიტიკური ფონი კიდევ უფრო დაიძაბება, ხოლო ქვეყანა მოახლოებულ არჩევნებს მოუმზადებელი შეხვდება, რაც ხელს მხოლოს დესტრუქციულ ძალებს აძლევს, — აცხადებს გოგა გოგნიაშვილი.

ცნობისთვის: დღეს ცესკოში საარჩევნო გარემოს გაუმჯობერსების საკითხზე ოპოზიციისა და მმართველი პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა ჩაიშალა. **მედიანიუსი**

# ხელისუფლებას იარაღით მიტაცებულ სკამებს არ შევარჩენთ!

### ჩინოვნიკების სახლებთან აქციებს მოვაწყობთ!

ნათია ხურცილავა




**ჯაბა ჯიშკარიანმა ახალი მოძრაობა სამოქალაქო ფრონტი შექმნა. სამოქალაქო ფრონტში ახალგაზრდები არიან გაწევრიანებულები. ჯიშკარიანის განცხადებით ახალი მოძრაობის შექმნის მიზეზი რევოლუციური განწყობაა, რომელიც, მისი თქმით, ქვეყანაშია.**

**სამოქალაქო ფრონტი პერმანენტული აქციებისთვის ემზადება. პირველი აქცია 1 აპრილს გაიმართება.**

**— პოლიტიკური ორგანიზაციებისგან განსხვავებით, სამოქალაქო ფრონტი ის ძალაა, რომელიც არ წავა არანაირ გარიგებაზე ხელისუფლებასთან და საკუთარ მოქმედებებს მხოლოდ ხალხის სურვილებსა და დაკვეთაზე ააწყობს, — განაცხადა სამოქალაქო ფრონტის ხელმძღვანელმა.**

**სამოქალაქო ფრონტის ოფისში საყოველთაო მობილიზაციაა გამოცხადებული, სადაც მოქალაქეები წევრიანდებიან, ძირითადად ახალგაზრდები.**

**ჯაბა ჯიშკარიანი:**

— ჩვენ გადავდივართ რადიკალურ ქმედებებზე ქართველ ხალხთან ერთად. მელიქიშვილის 5 ნომერში ამოქმედებულია შტაბი, სადაც მიმდინარეობს ახალგაზრდების რეგისტრაცია. ამ ახალგაზრდების მობილიზება ხდება ჯგუფების მიხედვით ათეულებად, რომ უფრო ორგანიზებულები ვიყოთ. ამ ყველაფერს იმიტომ ვაკეთებთ, რომ გაზაფხულზე ვაპირებთ სერიოზული დისკომფორტი შევუქმნათ და შემდეგ დავამთავროთ რეჟიმი, რომელიც მიტაცებული და უზურპირებული აქვს არალეგიტიმურ ხელისუფლებას.

***— კანონს ხომ არ დაარღვევთ ამით?***

— ამომწურავად გაგცემთ პასუხს: მიტაცებული სკამები, რომელიც იარაღის ჟღარუნით აქვს შენარჩუნებული ხელისუფლებას, იცოდეს, რომ არ ვაპირებთ გულხელდაკრეფილი ჯდომას და იმ ილუზიის განმტკიცებას, რომ თითქოს 100 თუ 200 ათასი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში და ერთი ფოთოლი არ ჩამოვარდნილა. ამ ილუზიას აუცილებლად დავუნგრევთ მიხეილ სააკაშვილს და სხვასაც, ვისაც ამ ილუზიის სჯერა. ვიმეორებ, ჩვენ გადავალთ ადეკვატურ ქმედებებზე და მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ მთლიანად მათ აიღონ პასუხისმგებლობა, რომ არ მოხდეს რაიმე სახის ძალადობრივი ესკალაცია თბილისის ქუჩებში. არც ერთი ნაბიჯით არ ვაპირებთ უკან დახევას. სწორედ ამიტომ მზადდება ორგანიზებული სამოქალაქო სექტორი. სამხედრო ტიპის სამოქალაქო სექტორი, რომელიც იქნება ასეულებად თუ ათეულებად დაკომპლექტებული, დაიცავს ქართველ საზოგადოებას თუ ხელისუფლება გადაწყვეტს 7 ნოემბრის განმეორებას ან მსგავსი ძალადობრივი გზით დარბევას.

***— როდის გაიმართება პირველი აქცია?***

— მოქმედებათა გეგმის განხორციელებას დავიწყებთ პირველი აპრილიდან.

***— რას გულისხმობთ?***

— იმას, რომ ყველა იმ ჩინოვნიკის სახლთან მივალთ, რომელსაც ხელები აქვს გასვრილი სისხლში თუ სხვადასხვა დანაშაულში. ყველა ამ ადამიანის სახლთან გავაკეთებთ მოწოდებას, რომ დაყარონ იარაღი არა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ გადატანითი მნიშვნელობითაც, დანებდნენ ქართველი ხალხის ნებას და სურვილს, რომ სკამები დატოვონ. მათი ნება, რომ დაემონონ და ემსახურონ რეჟიმს, უგულებელყონ. რა თქმა უნდა, ყველა ის ადამიანი, რომელიც გადადგამს დროულად ნაბიჯს და არ დააგვიანებს, შენდობილი იქნება. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც ბოლომდე დაემონებიან რეჟიმს, უმკაცრესად იქნებიან დასჯილები თავისუფალი სასამართლოს და ახალი ხელისუფლების პირობებში. თავისუფალი და ობიექტური მოსამართლის მიერ ყველა ჩადენილ დარღვევასა და დანაშაულზე. აქციები ასევე იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. სხვა სამინისტროებთან, რომლებიც ცდილობენ ძალადობის ხელი აწვნიონ თავისუფალ მოქალაქეებს და ამის ნიადაგზე განამტკიცოს შიშის სინდრომი.

***— პირველი აქცია კონკრეტული მოთხოვნით იქნება?***

— დიახ. აქცია გაიმართება გლდანის ციხესთან, მე-8 საპყრობილესთან პატიმრების წამების წინააღმდეგ.

***— პერმანენტული აქციები როდემდე გაგრძელდება?***

— 15 აპრილამდე გაგრძელდება. შემდეგ სიურპრიზის მატარებელი აქციები იქნება.

***— კონკრეტულად?***

— მაგალითად, გზის გადაკეტვა, პიკეტირება. სხვადასხვა რადიკალური ქმედებები, რაც ჩვენ არ მიგვაჩნია კანონდარღვევად იმ დარღვევებთან შედარებით, რის წინააღმდეგაც ვატარებთ ამ აქციებს. ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც დაპატიმრებულია პოლიტიკური ნიშნით, ასევე ჩვენი თანატოლები, რომლებიც ასზე მეტი არის დახვრეტილი თბილისის ქუჩებში, ამ დანაშაულისთვის პასუხი უნდა აგონ დამნაშავეებმა.

***— ოპოზიციის ერთი ნაწილი ბურჯანაძე, „ქართული პარტია" რევოლუციის მომხრეა, მეორე საარჩევნო გარემოს ცვლილებისას სად იქნებით თქვენ?***

— ჩვენს ხასიათს და მოქმედებას ყველა იცნობს. აქედან გამომდინარე ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველა იმ ძალასთან და გავყვებით ბოლომდე, არა მხოლოდ გავყვებით, არამედ ავანგარდში ვიქნებით, რომელიც ქუჩის აქციების მომხრეა და სწორედ ასე ფიქრობს სააკაშვილის რეჟიმის შეცვლას. სააკაშვილმა ბევრი საკენკი გადმოუყარა, როგორც ხალხს, ასევე ოპოზიციას. თუნდაც დიალოგის საარჩევნო გარემოზე მუშაობის სახით. მე, პირადად, წყლის ნაყვად მიმაჩნია სააკაშვილის შემოთავაზებები. ოპოზიციას, რომელსაც ის ქათმად თვლის და საკენკს უყრის, ჩვენ ამ ხალხთან არანაირი საერთო არ გვაქვს. ამ ადამიანებთან არანაირ თანამშრომლობაზე საუბარს და დროის კარგვას არ ვაპირებთ. ყველა იმ ადამიანის გვერდით ვიქნებით, რომლებიც საკუთარ სიცოცხლესაც გაწირავენ, პრინციპებს უერთგულებენ. უერთგულებენ იმ პირობას, რომელიც მათ ხალხს მისცეს ჯერ კიდევ 2007 წლის აქციებზე. ახლა ოპოზიციის ფართო სპექტრზე ვსაუბრობ. მაშინ მათ ხალხს უთხრეს, რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ.

***— საარჩევნო გარემოს ცვლილების არ გჯერათ?***

— საარჩევნო გარემოზე მუშაობა არის გაწელილი პროცესი, რაც სააკაშვილს 2013 წლამდე უხანგრძლივებს ხელისუფლებაში ყოფნას, რა თქმა უნდა, უკანონოდ, მაგრამ ფაქტია, რომ ის დღეს ქვეყანას მართავს.

***— სახალხო კრებასთან როგორია სამოქალაქო ფრონტის დამოკიდებულება?***

— ყველა იმ ძალას, რომელიც არის ხალხის ნების აღსრულების მომხრე, რაც არ ნიშნავს ძალადობრივ გადატრიალებას, მათ მივესალმებით და მხარს დავუჭერთ. რევოლუცია ნიშნავს ხალხის ნების აღსრულებას.

***— შეფიცულებთან გქონდათ კონსულტაციები?***

— ჯერ არა. არ ვიცი გადაიკვეთება თუ არა ჩვენი გზები, ამას დრო გვიჩვენებს.

***— დაახლოებით რამდენი ახალგაზრდაა გაწევრიანებული სამოქალაქო ფრონტში?***

— მრავლად არიან, მაგრამ კონკრეტული ციფრის დასახელებისგან თავს შევიკავებ. დაახლოებით თვე ნახევარია, რაც არსებობს ეს მოძრაობა.

***— პოლიტიკური პარტიები თუ შემოუერთდებიან თქვენს აქციებს?***

— ჩვენ საკუთარი ძალებით ვაპირებთ ზეწოლის და რადიკალური ქმედებების განხორციელებას. რაც შეეხება აქციაზე შემოერთების სურვილს, ამას ვერავის ვერ ავუკრძალავთ, ასევე ვერავის ვერ ვთხოვ, რომ ამა თუ იმ აქციაზე მოვიდნენ. ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურვილი გაუჩნდება, შეუძლია მიიღოს ჩვენს აქციაში მონაწილეობა. ყველამ უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილი არანაირ კომპრომისზე არ წავა საკუთარ მოსახლეობასთან. თუ სააკაშვილის პრობლემა იქნება გადაჭრილი, დარწმუნებული ვარ, ყველა პრობლემა გადაჭრილი იქნება. პოლიტპატიმრებიც განთავისუფლდებიან, სიკვდილის ბრიგადებისგან გაიწმინდება საქართველო, სასამართლო იქნება თავისუფალი და კანონი იქნება უზენაესი ყველა პოლიციელისთვის და არა მხოლოდ პოლიციელისთვის. არ გვეყოლება პოლიტიკური პოლიცია, რომელიც, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს გესტაფოს დაემსგავსა.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# დავით გარეჯს ისევ ანგრევენ!

ადმინისტრაციული აქტი, დამერწმუნეთ, არ არსებობს. არც თავდაცვის მინისტრს და არც მის მოადგილეებს ასეთი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლება არ აქვთ, ასეთი აქტის გამოცემის უფლება აქვს მხოლოდ თვითმმართველობას ან შსს-ს.

***— ახლა რას აპირებთ, ბატონო სოზარ?***

— ჩვენ გავაგრძელებთ აქციებს, როგორც თავდაცვის სამინისტროსთან, ისე აქაც და მივაღწევთ იმას, რომ ეს პოლიგონი იყოს გაუქმებული.

**ლევან გაჩეჩილაძე:**

— გაბუნიამ გვითხრა, რომ ჩემი სურვილიც არის ის, რომ თქვენი თვალით ნახოთ, რომ საშიში არტილერიის და სამხედრო თვალსაზრისით აქ არაფერიაო. ახლა კი თქვენი თვალით ხედავთ, რაც გააკეთა. ჩვენ საპატრიარქოს წარმომადგენელიც კი წამოვიყვანეთ ზუსტად ძეგლების თვალსაზრისით, თორემ არანაირი საწინააღმდეგო არ მაქვს ქართული წვრთნის, უბრალოდ, წვრთნები ამ ადგილზე და ამ ფორმით რომ ხორციელდებოდეს, არ შეიძლება.

გუშინ რატომ მოხდა ისე, რომ უშუალოდ გაბუნია აწარმოებდა მოლაპარაკებებს და დღეს ის არ არის და მის ნაცვლად თქვენ ხართ, ეკითხებოდა გაჩეჩილაძე გელაშვილს, თუმცა, ის ჯიუტად იმეორებდა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო გაბუნია.

„ახალი თაობის" კითხვაზე თუ როდის ექნება თავდაცვის სამინისტროდან საწვრთნელ ბაზაზე ლიდერების შეშვების ბრძანება და ექნება კი საერთოდ, გელაშვილს არ უპასუხია. ჩვენ ასევე დავინტერესდით, კონკრეტულად რა თანამდებობა უკავია ამ ადამიანს, თუმცა, მან ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი არ გაგვცა. ბოლოს კი „ახალი თაობის" კითხვებისგან დაღლილმა გაღიზიანებული ტონით გვითხრა: „რა თანამდებობაზე ვარ, თავად გაარკვიეთ". რატომ დამალა თანამდებობა, ცოტა არ იყოს, და გაუგებარია, თუმცა, ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე არ აქვს. ფაქტია, რომ „ქართული პარტიის" მოთხოვნა შესრულებული არ იქნა და საწვრთნელ ბაზაზე ლიდერების მსგავსად ვერც ჩვენ მოვხვდით.

ალსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „ქართული პარტიის" ლიდერებს და ჟურნალისტებს ვიდეოკამერით ფარულად გვიღებდნენ და თუ რატომ, ამაზე სამხედრო პოლიციის წარმომადგენლების მხრიდან პასუხი ვერ მოვისმინეთ. პრინციპში გასაკვირი აქაც არაფერია, ქვეყანაში არსებული რეჟიმი ხომ ყველას უსმენს და იღებს კიდევაც... რატომ დაირღვა გაბუნიას მხრიდან მოცემული პირობა, ამაზეც პასუხი, რა თქმა უნდა, არავინ გაგვცა. საკითხავია, ბაზაზე რა უფლებით არ გვიშვებენ და საერთოდაც, რა უფლებით აქვთ ეს ტერიტორია გადაკეტილი. აი, ამაზე ადრე თუ გვიან თავდაცვის სამინისტროს ჩვენთვის პასუხის გაცემა ნამდვილად მოუწევს. ჩვენ თვალყურს მივადევნებთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და მკითხველს ამ თემაზე ამომწურავ ინფორმაციას აუცილებლად მივაწვდით.

# დენის და გაზის საფასური უახლოეს მომავალში არ გაიზრდება

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ოპოზიცია მიიჩნევს, რომ მინისტრებმა ოპოზიციასთან დებატები წააგეს, უმრავლესობა კი ოპოზიციას დემაგოგიისა და არაკომპეტენციის გამო საყვედურობს.**

**დამოუკიდებელი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია მიიჩნევს, რომ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა დებატები წააგო, მინისტრმა ხეთაგურმა კი ოპოზიციის ნაწილი ლეიბორისტებისთვის იდეის მოპარვაში „ამხილა“.**

**მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური მიიჩნევს, რომ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ „გაზი — 5 თეთრის იდეა“ ლეიბორისტებს მოპარეს.**

მას შემდეგ, რაც მინისტრის განცხადება მოისმინეს, რომ საქართველოს ელექტროენერგიის პრობლემა არა აქვს და ექსპორტიორი ქვეყანაა, დეპუტატებმა შესაფებების გაკეთება დაიწყეს.

— გავიგეთ, რომ ელექტროენერგია, გაზი და ასფალტი გვაქვს, ამაზე ერთი ანეკდოტი მახსენდება: კაცი ორმოში რომ ჩავარდა, მეორემ ამოიყვანა და უთხრა: ორმოდან ხომ ამოგიყვანეო. დიდი მადლობა, კარგი კაცი ხარო, უთხრა ორმოში ჩავარდნილმა. ერთხელ უთხრა, ორჯერ, 100□ჯერ უთხრა, გაბრაზდა ეს კაცი და თქვა: ისევ უკან დამაბრუნეო. გავიგეთ, რომ ელექტროენერგია გვაქვს, მაგრამ რა ფასად? ჩვენ ძვირი ტარიფები გვაქვს, — აღნიშნა „ქართული დასის“ ლიდერმა და ჩაილაპარაკა, მოსახლეობას ნურაფერს ნუ ამადლიან.

ბაღათურიამ მინისტრს მიმართა, გაიხსენონ, ლონდონსა და პარიზში რამდენი აქვს პენსიონერებს პენსია და შემდეგ საქართველოს შეადარონ.

ჯონდი ბაღათურიას მინისტრმა უპასუხა, რომ არავის არაფერს არ ამადლის და დამადლება არაფერ შუაშია.

— ფაქტია, რა მდგომარეობა იყო და ახლა რა მდგომარეობაა ქვეყანაში, — უთხრა ხეთაგურმა ოპოზიციონერ დეპუტატს. მანვე ოპოზიციას ის დრო გაახსენა, როდესაც ელექტროენერგიის ტარიფი 9 თეთრი იყო და მაშინაც ეწინააღმდეგებოდნენ ამ ტარიფს, თუმცა, მაშინ დენი არ იყო.

ოპოზიცია და უმრავლესობა ერთმანეთის გამონათქვამებსა და შეფასებებს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. ოპოზიციის პირისპირ გუშინ უმრავლესობა და მინისტრები ერთად „იბრძოდნენ“. სანამ მინისტრები ოპოზიციას პასუხს გასცემდნენ, უმრავლესობის წევრები ოპოზიციას ხან არაკომპეტენტურს უწოდებდნენ, ხან საკითხის უცოდინარობისა თუ დემაგოგიის გამო საყვედურობდნენ.

ჯონდი ბაღათურიამ მინისტრ ხეთაგურს მოსახლეობისთვის ძველი დავალიანების ჩამოწერაზეც დაუსვა შეკითხვა, რაზეც ხეთაგურმა განმარტა, რომ ფინანსური ამნისტია გაზსა და ელექტროენერგიაზე გაკეთებული აქვთ და ეს მომავალში აღარ განმეორდება.

მინისტრმა განმარტა, რომ 2006-07-08 წლებში ძველი დავალიანებები სამჯერ უკვე ჩამოიწერა და ეს მუდმივად ვერ განხორციელდება. ალექსანდრე ხეთაგური დეპუტატებს მშენებარე ჰესებსა და ახალ ნავთობგადამამუშავებლებზეც ესაუბრა. ხეთაგურის განმარტებით, „ნაბუკოს“ პროექტი თურქეთში იწყება და ავსტრიაში მთავრდება, სხვადასხვა აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გავლით.

— საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებობს მილსადენი, ეს არის სამხრეთ კავკასიური მილსადენი, ე.წ. შაჰდენიზის მილსადენი, რომლითაც შესაძლებელია 28 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანზიტი, შესაბამისად, „ნაბუკოს“ მოცულობა სულ შეადგენს 31-32 მილიარდ კუბურ მეტრს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებობს მილსადენი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ბუნებრივი გაზის ტრანზიტის მოცულობების გაზრდა იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდა „ნაბუკოს“ პროექტი და დაიდო ხელშეკრულება ევროპელ მომხმარებლებს, ანუ გაზის შემსყიდველ კომპანიებსა და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებს შორის, — აღნიშნა მინისტრმა ხეთაგურმა.



ხეთაგურმა ოპოზიციას ნერვები მოუშალა

რაც შეეხება ახალ ნავთობგადამამუშავებლის მშენებლობას, ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, უკვე დაწყებულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ახალ პროექტზე, რომელიც შავი ზღვის აკვატორიაში ახალი ნავთობგადამამუშავებლის მშენებლობას ითვალისწინებს. ეს დააკმაყოფილებს არა მარტო საქართველოს მოთხოვნილებას, არამედ გათვლილი იქნება ექსპორტზეც. მინისტრის წინასწარი გათვლებით საუბარია 4,5 მილიონ ტონიან ნავთობგადამამუშავებელზე, რომელიც ყველანაირ საბოლოო პროდუქტს გამოუშვებს.□ — რეგიონში არსებობს დიდი რაოდენობით ნედლი ნავთობი, შესაბამისად, საჭიროა ახალი ნავთობგადამამუშავებლის მშენებლობა, ამ ნედლი ნავთობის ადგილზე გადამუშავება, რათა ჩვენი მომხმარებლები დაცული იყვნენ გრძელვადიან პერიოდში ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდისგან და ადგილზე იარსებოს ადგილობრივმა პროდუქტმა, — აღნიშნა მინისტრმა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი დეპუტატი გურამ ჩახვაძე ხელისუფლებას ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ტარიფების გადახედვას ურჩევს. ჩახვაძის განაცხადებით, საქართველო ელექტროენერგიას აწარმოებს და ექსპორტზეც გააქვს, ბუნებრივ აირთან დაკავშირებით კი ქვეყანა სატრანზიტო ქვეყანაა და შედეგად „სიკეთეს იღებს“.

ალექსანდრე ხეთაგურმა დეპუტატ გურამ ჩახვაძეს უპასუხა, რომ მთავრობის ხედვა არის ფასების სტაბილურობა, რომელიც მთავრობამ უკვე განახორციელა.

— 2006 წლის შემდეგ ფასები როგორც ელექტროენერგიაზე, ისე ბუნებრივ აირზე არ გაზრდილა და ასე გაგრძელდება გრძელვადიან პერიოდში, — განაცხადა ალექსანდრე ხეთაგურმა.

პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია სხვადასხვა ენერგეტიკულ ობიექტებზე ტექნიკური თვალსაზრისით შექმნილ საგანგაშო მდგომარეობით დაინტერესდა. პაატა დავითაია ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების მინისტრისგან ითხოვდა განემარტა, შესწავლილია თუ არა სპეციალისტების მიერ ენერგოობიექტების ტექნიკური მდგომარეობა.

ვიცე-სპიკერის თქმით, 2000-2010 წლებში „ენგურჰესზე“ სერიოზული სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, თუმცა, ქართველი ენერგეტიკოსებისა და ჰიდროტექნიკოსების აზრით, „ენგურჰესის“ კასკადის ჰიდროტექნიკური ნაგებობები მაინც სერიოზულ ყურადღებას და რეაბილიტაციას ითხოვს. მისივე თქმით, ასევე სავალალო მდგომარეობაშია „ვარდნილჰესის“ კაშხალი, წყალსაგდები ნაგებობანი და გამყვანი არხი. დავითაიამ რამდენიმე სპეციალისტის მოსაზრებაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ სერიოზული მიწისძვრისას კაშხლის დაზიანება ნებისმიერ დროს არის მოსალოდნელი.

დავითაიამ ხაზი გაუსვა, რომ „ვარდნილჰესების“ გაჩერება ავტომატურად იწვევს „ენგურჰესის“ ძირითადი სადგურის გაჩერებას.

— შეგახსენებთ იმასაც, რომ 2009 წლის დეკემბერში პრეზიდენტის მონაწილეობით სამცხე-ჯავახეთში „მტკვარიჰესის“ მშენებლობა გაიხსნა. როგორც მაშინ ითქვა, ეს მშენებლობა 3-4 წელიწადში უნდა დამთავრებულიყო. ჩემი ინფორმაციით, ამ მხრივ სერიოზული პრობლემებია. კერძოდ კი, ათკილომეტრიანი გვირაბის მშენებლობა დღესდღეობით შეჩერებულია, რადგან თავიდანვე საქმეში არაკომპეტენტური და არაკვალიფიციური კადრები იყვნენ ჩართულნი, — აღნიშნა პაატა დავითაიამ.

ვიცე-სპიკერს მინისტრმა უპასუხა. ხეთაგურის განმარტებით, ყველა იმ პრობლემაზე, რასაც დავითაია შეეხო, მთავრობა მუდმივად მუშაობს და შეხსენებას არ საჭიროებს. ხეთაგურის თქმით, ენგურჰესის ტექნიკური მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

— როგორც იცით, „ენგურჰესის“ მშენებლობა, რომელიც 60-იან წლებში დაიწყო, ჯერ დასრულებული არ არის და ექსპლუატაციაში არ არის მიღებული. 2014 წელს ენგურჰესის გვირაბის რეაბილიტაცია დამთავრდება, — აღნიშნა მინისტრმა.

რაც შეეხება „ვარდნილჰესების“ კასკადს, მინისტრის თქმით, მისი რეაბილიტაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია და დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

გუშინ ალექსანდრე ხეთაგურმა ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი გააბრაზა. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი მზადაა, 2008 წლის ბოლოს, ენგურჰესთან დაკავშირებით რუსული კომპანია „რაოეესთან“ დადებული მემორანდუმი ოპოზიციონერ დეპუტატ ცაგარეიშვილს პირადად გააცნოს, თუმცა, მხოლოდ იმ პირობით, თუკი ცაგარეიშვილი კონფიდენციალურობის დაცვაზე ხელს მოაწერს. სწორედ ამ საკითხმა გააბრაზა ცაგარეიშვილი.

ხეთაგურის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტის კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ შესაძლოა სარჩელი შევიდეს.

გიორგი ცაგარეიშვილი დაინტერესდა, 2 წლის წინ რატომ დაიწყო რუსეთთან მოლაპარაკებები, რაზე ისაუბრეს მხარეებმა საზოგადოების ზურგს უკან, კონკრეტულად ვინ წამოიწყო და რითი დასრულდა ეს პროცესი და ზოგადად, რა ეტაპზეა ამჟამად მოლაპარაკებები.

ცაგარეიშვილმა „რაოეესთან“ დაწყებულ მოლაპარაკებებს „ბურუსით მოცული“ უწოდა და განაცხადა, საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეს პროცესი იმ სახელმწიფოსთან დაიწყო, რომელმაც ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი მიიტაცა.

ენერგეტიკის მინისტრმა ოპოზიციონერ დეპუტატს უპასუხა, რომ ამ მემორანდუმს პარლამენტის რამდენიმე ოპოზიციონერი წევრი იმთავითვე გაეცნო, რომელთაც აღიარეს, რომ დოკუმენტში ჩაწერილი პირობები საქართველოსთვის მომგებიანია.

— პარლამენტი წარმომადგენლობითი ორგანოა და მზად ვარ მემორანდუმი კიდევ ერთხელ მოვიტანო და თქვენც პირადად გაგაცნოთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი კონფიდენციალურობის დაცვაზე ხელს მოაწერთ, — მიმართა ალექსანდრე ხეთაგურმა ცაგარეიშვილს.

ამის გამო ცაგარეიშვილი აღშფოთდა. მან მინისტრს უთხრა, რომ არაფერზე ხელის მოწერას არ აპირებს, რადგან დეპუტატია და იცის, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა ევალება.

ერთმანეთს ხეთაგური და გიორგი ახვლედიანიც შეეკამათნენ. ახვლედიანს აინტერესებდა, რამდენად სამართლიანი იყო, როდესაც მოსახლეობა ერთიანი ქვითრით იხდიდა გადასახადს და ნაგვის ან წყლის გადასახადის გადაუხდელობის გამო ელექტროენერგიას უთიშავდნენ. ახვლედიანს აინტერესებდა მინისტრის მოსაზრება, ირღვევა თუ არა კონსტიტუცია, როდესაც ადამიანს ერთი ხელშეკრულების დარღვევის გამო მეორე ხელშეკრულების მიხედვით სჯიან. ხეთაგურმა გიორგი ახვლედიანს უპასუხა, რომ ირღვევა თუ არა კონსტიტუცია, ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს.

— მე არ ვიცი, რატომ იგრძენით თავი უხერხულად ჩემ მიერ დასმული კითხვის გამო. მე გკითხეთ, რამდენად სამართლიანია, როდესაც ერთი ხელშეკრულების დარღვევის გამო მეორე ხელშეკრულების მიხედვით უთიშავენ ადამიანებს დენს, — დაუკონკრეტა ახვლედიანმა მინისტრს.

ალექსანდრე ხეთაგურმა ფრაქციის თავმჯდომარეს განუმარტა, რასაც მოვიხმართ, ეს იქნება წყალი, გაზი თუ ელექტროენერგია, მისი გადასახადი უნდა გადავიხადოთ.

უმრავლესობამ და მინისტრმა ხეთაგურმა ოპოზიციონერ ვიცე-სპიკერ ლევან ვეფხვაძესაც დაუწუნა გამოსვლა. ვეფხვაძემ მინისტრის გამოსვლის შემდეგ „აღმოაჩინა“, რომ საქართველოს ტრანზიტიდან „უფასო გაზი“ ერგება. ვეფხვაძე ჯერ უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ მელიქიშვილმა გააკრიტიკა, შემდეგ კი მინისტრმა განმარტა, რომ მას მსგავსი არაფერი უთქვამს.

— როდის მიხვდებით, რომ უფასო არაფერია, — უთხრა ზურაბ მელიქიშვილმა ვეფხვაძეს.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციამ „აღიარა“ ალექსანდრე ხეთაგურს მწყობრი და საქმიანი გამოსვლა ჰქონდა, მის მიმართ კრიტიკა და პრეტენზიები მაინც გამოითქვა.

დეპუტატებს კითხვების მთელი კასკადი ჰქონდათ სოფლის მეურნეობის მინისტრთანაც. ხეთაგურის შემდეგ, ტრიბუნასთან დგომა ბაკურ კვეზერელს მოუწია.

სხვადასხვა მიმართულებებზე საუბრისას კვეზერელი ადგილობრივი პროდუქციის წარმოებას, ახალი ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობას, სიმინდისა და ხორბლის პროგრამებსა და ქართული პროდუქციის ექსპორტზე გატანის საკითხებს შეეხო.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი ცხვრის გადასარეკი ახალი ტრასების გამოყოფის აუცილებლობაზე საუბრობს. ბაკურ კვეზერელმა განაცხადა, რომ საქართველომ ცხვრის ექსპორტი გაზარდა და შესაბამისად, გაიზარდა წარმოებაც. მისი თქმით, ცხვრის ფასი უკანასკნელ პერიოდში სამჯერ გაიზარდა და შესაბამისად, სამჯერ გაიზარდა მწარმოებლების შემოსავალიც.

ჯონდი ბაღათურიამ სოფლის მეურნეობის მინისტრს იმის გამო უსაყვედურა, რომ ქართულ ბაზარზე ქართული ციტრუსი და ყურძენი არ არის და მეზობელი რეგიონებიდან შემოტანილ პროდუქტებს მიაქვს ბაზარი.

— საქართველოში ციტრუსი რომ შემოდის, სირცხვილია. ქართულ ვაშლს, ფორთოხალს და ყურძენს ვერ იყიდი, რადგან დახლზე არ არის, — აღნიშნა ბაღათურიამ.

მინისტრმა ლოჯისტიკური ცენტრის შესახებ ისაუბრა და განმარტა, რომ ეს ცენტრი არის საშუალება, რომ სასოფლო სამეურნეო პროდუქტს დამატებითი ღირებულება შევძინოთ. ეს ნიშნავს, რომ ამ ცენტრში მიტანილი ხილი, ბოსტნეული დახარისხდება, დაფასოვდება, შემდეგ კი ყველაზე მაღალი ფასი სადაც არის, იმ ქვეყნებში ექსპორტზე გაიტანენ.

— თითეული მოქალაქე საკუთარ მეურნეობებში იგრძნობენ და შეაფასებენ ამ ლოჯისტიკური ცენტრის წარმატებასა თუ წარუმატებლობას, — აღნიშნა მინისტრმა.

კვეზერელის მისამართით საკმაოდ მკაცრი იყო გიორგი თარგამაძე. უმცირესობის ლიდერი მინისტრ ბაკურ კვეზერელს სამი კონკრეტული მიზეზის დასახელებას სთხოვს, რის გამოც მინისტრი უნდა იყოს.

გიორგი თარგამაძე მიიჩნევს, რომ კვეზერელის დროს სოფლის მეურნეობის პოლიტიკამ თავისი შედეგებით კრახი განიცადა.

დეპუტატები მინისტრებისთვის შეკითხვების დასმას დღესაც გააგრძელებენ. 24-25 მარტს კიდევ ორ მინისტრს მოუსმენენ. გუშინ ცნობილი გახდა, რომ მინისტრების მოსმენის ფორმატში ცვლილებებია. ვინაიდან მინისტრების მოსმენას ბევრი დრო მიაქვს, გადაწყდა, რომ დღეში ორ მინისტრს მოუსმენენ. პრემიერი მთელი შემადგენლობით და შემაჯამებული გამოსვლით პარლამენტს სამშაბათს ეწვევა.

## ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა



ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 22 მარტს კიდევ ერთი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. ირაკლი ივანეიშვილს ბრალი ედებოდა ქ.ქუთაისში სკვერიდან ბეტონის კონსტრუქციებისაგან ჩამოსხმული საყვავილის ქურდობის მცდელობაში. დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლომ თანაბარი პირობები შეუქმნა მხარეებს, მოისმინა დაცვისა და ბრალდების მტკიცებულებები და დაადგინა, რომ ირაკლი ივანეიშვილის ქმედებაში არ არსებობდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რის გამოც იგი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

## რუსული და აფხაზური საბაჟო სამსახურები შეთანხმებას გააფორმებენ

აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ანქვაბმა და რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის ხელმძღვანელმა ანდრეი ბელიანინოვმა რუსეთის საბაჟო სამსახურის და აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო საბაჟო კომიტეტს შორის თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

სოხუმში ვიზიტად მყოფი რუსეთის დელეგაცია, რომელსაც ბელიანინოვი ხელმძღვანელობა, 24 მარტს აფხაზურ მხარესთან საბაჟო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას გააფორმებს.

საინფორმაციო სააგენტო „აპსნიპრესის“ ინფორმაციით, ანქვაბმა რუს სტუმრებს აფხაზეთის საბაჟო სამსახურის ახლანდელი მდგომარეობა გააცნო. მისი თქმით, ყველა რეფორმა რაც გასულ წლებში აფხაზეთმა საბაჟო კუთხით განახორციელა უშუალოდ უკავშირდება ამ მიმართულებით რუსეთის ფედერაციის გამოცდილებას.

— აფხაზეთის საბაჟო სამსახური ყოველთვის გრძნობდა რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სტრუქტურის მხარდაჭერას, — აღნიშნა ანქვაბმა და დასძინა, რომ ამ მიმართულებით რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკას შორის ურთიერთობაში ახალი იმპულსი მას შემდეგ გაჩნდა, რაც კრემლმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

ცნობისთვის: აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის .ე. წ. პრეზიდენტი სერგეი შამბა შევებულებაში იმყოფება და მის მოვალეობას ალექსანდრე ანქვაბი ასრულებს. **მედიანიუსი**

## აფხაზები ჟენევაში ახალი დიპლომატიური პასპორტებით ჩავლენ

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის დელგაციის წარმომადგენლები ჟენევაში მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდზე გამგზავრებას ახალი დიპლომატიური პასპორტებით აპირებენ.ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „აპსნიპრესი“ აფხაზეთი ე.წ. რესპუბლიკის საგარეო უწყების ხელმძღვანელ მაქსიმ ღვინჯიაზე დაყრდნობით იუწყება.

აღსანიშნავია, რომ ღვინჯიამ ეს იდეა უკვე გააცნო გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს ანტი ტურუნენს, რომელსაც დღეს შეხვდა. ღვინჯიას განცხადებით, ბევრი ქვეყანა, რომელთაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა არ ულიარებიათ, ძირითადად ლათინური ამერიკის ქვეყნები, აფხაზების ახალ დიპლომატიურ პასპორტებს, მაინც სცნობენ.

რაც შეეხება შეხვედრის სხვა საკითხებს, „აპსნიპრესის“ ინფორმაციით, ტურუნენმა და ღვინჯიამ 4 მარტს გამართული ჟენევის დისკუსიების მეთხუთმეტე რაუნდის შედეგები განიხილეს. ამასთან, ტურუნენმა მაღალი შეფასება მისცა გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფების შეხვედრებს. მისი თქმით, გალში შეხვედრები პოზიტიურ ატმოსფეროში მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

## აფხაზურმა მილიციამ ოთხი ადამიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა დაადგინა

აფხაზურმა მილიციამ გალის რაიონის სოფელ გაგიდაში ოთხი ადამიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა დაადგინა. გალის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული გაყოფილების უფროსის ვადიმ ღვინჯიას განცხადებით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ამავე სოფლის მკვიდრი ოთარ ბარქაიაა, — იუწყება ,,აპსნი პრესი“.

— ამ დროისათვის მილიციის თანამშრომლები აკეთებენ ყველაფერს, რათა მოხდეს ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელის დადგენა და მისი დაკავება, — აღნიშნა ვადიმ ღვინჯიამ.

დანაშაული 19 მარტს სოფელ გაგიდაში, ადგილობრივი მკვიდრის ვაჟა კვარაცხელიას 75 წლის იუბილის აღნიშვნის დროს მოხდა. თვითმხილველების განცხადებით, სუფრასთან ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ოთარ ბარქაიამ ვაჟა კვარაცხელიას რძალს შეურაცყოფა მიაყენა, რის გამოც მისმა ქმარმა სცემა.

ამის შემდეგ ოთარ ბარქაია სახლში წავიდა, ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნებულმა კი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ვაჟა კვარაცხელია, მისი ვაჟი, თანასოფლელი თენგიზ მებონია და სოფელ პრიმორსკოეში მცხოვრები, ეროვნებით ოსი სულიკო პლიევი მოკლა.

— როგორც გამოძიების დროს გახდა ცნობილი, პლიევი ქალსა და ბავშვებს გადაეფარა, რომელთა მოკვლა თავდამსხმელს სურდა. მას სხეულზე ექვსი ცეცხლნასროლი ჭრილობა აღმოაჩინეს, — განაცხადა ღვინჯიამ.

ღვინჯიამ ასევე უარყო ქართული მედიით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სოფელ გაგიდაში თავდასხმა ყაჩაღობის მიზნით მოხდა. აფხაზურმა მილიციამ, აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. გამოძიებას კი გალის რაიონის ე. წ. პროკურატურა აწარმოებს.

**მედიანიუსი**

## 34 წლის სოფო ბუთიაშვილი ღუდუშაურის სამედიცინო ცენტრში გარდაიცვალა

ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში 34 წლის სოფო ბუთიაშვილი გარდაიცვალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კლინიკის სამედიცინო დირექტორმა, ზაზა მეტრეველმა განუცხადა, პაციენტი საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში 20 მარტს მიიყვანეს, მას პერიტონიტი ჰქონდა და გადარჩენის ნაკლები შანსი არსებობდა.

სოფო ბუთიაშვილმა სახლის პირობებში 7-თვიანი ნაყოფი რამდენიმე დღის წინ დაბადა. მას მშობიარობაში მეგობარი მამაკაცი ეხმარებოდა.

ნაყოფი, სავარაუდოდ, მკვდარი დაიბადა, რომელიც ბუთიაშვილმა და მეგობარმა მამაკაცმა დამარხეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებაც მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

# აქციების დასარბევად აზერბაიჯანელები და სომხები ჩამოჰყავთ

### რატომ დაუმეგობრდა ტრამპი მხედრიონს

**რამდენიმე კვირის წინ, ჩვენი მსტოვართუხუცესი ვანო მერაბიშვილი ბაქოში ილხამ ალიევს შეხვდა. ამ შეხვედრას დიდი ჭორები მოჰყვა. ოპოზიციის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მერაბიშვილი ბაქოს დავით გარეჯის თემაზე სასაუბროდ ჩავიდა. მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ შს მინისტრი აზერბაიჯანში გაზის ამბების გასარკვევად წავიდა.**

**მოძრაობა თეთრების ლიდერი თემურ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება დღეს მხოლოდ ერთი მიზნით აწარმოებს. ამ მიზანს სკამის შენარჩუნება ჰქვია. რატომ არ უნდა დავუჯეროთ ხელისუფლებას, რა მიზნით ჩამოდიან საქართველოში სომეხი და აზერბაიჯანელი ბიზნესმენები, რაში აჯობა გილაურმა სააკაშვილს, ამ საკითხებზე თემურ შაშიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



თეა მარხვაი ე

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— სამშაბათს პარლამენტში მთავრობის წევრთა გამოსვლები დაიწყო. მთავრობის თავმჯდომარის გამოსვლა იყო გამაოგნებელი. მან გაასწრო ტყუილებით მიხეილ სააკაშვილს. ამდენი სიცრუე პარლამენტში გამოსვლის დროს პრეზიდენტსაც კი არ უთქვამს. ამის შემდეგ მიდი და გაიგე, სად ან რისთვის მიდიან მოლაპარაკებაზე მთავრობის წევრები.

***— გილაურმა რა ტყუილი თქვა ამისთანა, რომ პრეზიდენტსაც კი გადააჭარბა.***

— გამოვიდა და ურცხვად თქვა, ჩემი პრემიერობის პერიოდში საქართველოში სიღარიბე ოთხჯერ შემცირდაო. გეკითხებით, რა უნდა თქვა კაცმა ამის შემდეგ?!

***— სულ ცოტა, გილაურს უნდა მიაძახო, მაგ სიმართლით იარეო....***

— ეს განცხადება არის აღმაშფოთებელი. აღმაშფოთებელია ისიც, თუ როგორი სიმშვიდით ვუყურებთ ამ ყველაფერს. ამ ხელისუფლებაში არიან ბრიყვები. ოღონდ ისეთ რამეებს აკეთებენ, რომ ბრიყვებად ჩვენ გვაქციეს.

***— თავად თუ ბრიყვები არიან, ჩვენ როგორღა გვაქციეს ბრიყვებად?***

— ხალხს უყურებენ, როგორც ბრიყვებს. გილაურს რომ ეთქვა, 4 პროცენტით შემცირდა სიღარიბეო, კიდე დაფიქრდებოდი ადამიანი. იფიქრებდი, ხომ არ იტყუება. ეს კიდევ გამოვიდა და თქვა, ოთხჯერ შემცირდაო. გაიძახის ურცხვად, ინვესტიციები იზრდებაო. ხვალ ჩვენ სამსჯავროზე გამოვიტანთ საინტერესო დოკუმენტს. მისი სათაური იქნება ასეთი: თეთრების თეთრი სტატისტიკა ნაციონალების შავი სტატისტიკის წინააღმდეგ ანუ რა წამებაშია წარმატებული ეკონომიკის და დიდი აღმშენებლობის ქვეყნის მოსახლეობა. ჩვენ იქ მოვიყვანთ ციფრებს, რომელიც თავდაყირა დააყენებს ყველა იმ ტყუილს, რომლითაც ხელისუფლება გვკვებავს. რომელ საუკუნეში ვართ? რა აზროვნების ადამიანები ჰგონიათ საქართველოში? ან იმათ გონებაში ჩამახედა, ვისაც ეს სჯერა, ან ამ ტრამპის გამაგებინა რამე!

***— რას ერჩით ტრამპს ოპოზიცია?***

— რას უნდა ვერჩოდე. ტრამპი არის პიროვნება, რომელსაც ახლა ძალიან უჭირს.

***— ტრამპს უჭირს?***

— უჭირს. მისი ავტორიტეტი არ არის ისეთი, როგორც ძველ პერიოდში. იმ პიროვნებას რა ვუთხარი მე, რომელსაც მხედრიონელებთან ექნება საქმე.

***— მხედრიონს რაღას ერჩით? მხედრიონის რიგებში ბევრი ძალიან ღირსეული ადამიანი იყო.***

— მხედრიონში ბევრი ღირსეული ადამიანი იყო. ამას არც მე უარვყოფ. თავად ჯაბა იოსელიანიც არ დაუშვებდა იმას, რასაც ახლა მხედრიონი კადრულობს საქართველოში. მე არ ვიცი, რატომ დაიჭირა ტრამპმა რამიშვილთან საქმე.

***— ზარალაზე საუბრობთ?***

— დიახ, დიახ. მამამისი მუშაობდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. იყო განყოფილების გამგე და ამ ბავშვის გამო იძულებული გახდა პარტიიდან წასულიყო. ბავშვმა დააშავა რაღაცა. ეს ზარალი ყოველთვის დაკავშირებული იყო ფულთან, იარაღთან და ათას უბედურებასთან. ტრამპს თუ ასეთ ადამიანებთან აწყობს ურთიერთობა, მისი საქმეა. არც ტრამპის მდგომარეობაა კარგი. სხვათა შირის, არც ზარალა და მისი გუნდია კარგ მდგომარეობაში.

***— რატომ არ არიან კარგ მდგომარეობაში?***

— ყაზახეთში ვრცელდება ინფორმაცია, რომ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოაჩინეს ის ბანკი, რომელიც ყაზახებთან ერთად იყო საქართველოში შემოსული. რასაც კი ყაზახებმა მოკიდეს ხელი, ყველაფერი გაჩერებულია.

***— რა არის გაჩერებული, იქნებ დააკონკრეტოთ.***

— ბორჯომში ლიკანს მოკიდეს ხელი და კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა. იმელის შენობას მოკიდეს ხელი და აქაც საშინელება ხდება. 400 მილიონზე მეტი ვალი ადევს ზარალას და მის გუნდს. ამ ფულის საშოვნელად მიადგნენ ახლა ტრამპს. ამაში მათ ხელს უწყობს სააკაშვილი. ეს არის კატასტროფა. ტრამპი სულ არ მადარდებს. მე ჩემი ქვეყანა მტკივა. ჩვენ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, რომლის ბიუჯეტი კეთილდღეობის მაჩვენებელი არ არის. საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში შედის საპროცესო გარიგებებით შესული თანხაც და ჯარიმებით ამოღებული ფულიც. ჯარიმებით ამოღებული თანხა კეთილდღეობის მაჩვენებელი არ არის. მთელი მსოფლიო უკვე გადადის ამ მაჩვენებლიდან. მთლიანი შიდაპროდუქტი იზრდება წამლების წყალობით. მედიკამენტებზე ფასები 7-8-ჯერ არის გაზრდილი. ხალხის კეთილდღეობის მაჩვენებელი არის კატასტროფული. მე მოვიყვან ციფრებს და მოსახლეობა დარწმუნდება, როგორ ცრუობს მთავრობა. ხელისუფლება ამბობს, რომ საქართველოში საშუალო ხელფასი არის 600 ლარი.

***— რანაირად არის 600 ლარი?***

— არანაირად არ არის. ეს არის სიცრუე.

***— რაღაცის მიხედვით ხომ მოხდა საშუალო ხელფასის დაანგარიშება?***

— თვეში 45 ათას ევროს იღებს ხელფასის სახით თბილწყალკანალის მმართველი. ვიღაცა იღებს ას ლარს. საშუალო ხელფასი ამ შემთხვევაში გამოვა 23 ათასი ევრო. ასეა საშუალო ხელფასი დაანგარიშებული. მასწავლებლის საშუალო ხელფასი საქართველოში არის 285 ლარი. ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე საშუალო ხელფასი. მაჩვენეთ აფრიკის ან სამხრეთ ამერიკის ერთი ქვეყანა მაინც, სადაც ასეთი მდგომარეობაა. მასწავლებლის ხელფასი საშუალო ხელფასზე ორჯერ ნაკლები არსად არ არის. ამ ქვეყნებში საშუალო ხელფასზე მაღალი ხელფასი აქვს ექიმს, მასწავლებელს, კულტურის და სპორტის მუშაკს. მაჩვენეთ საქართველოში კულტურის ან სპორტის მუშაკები, რომელთაც 600 ლარიდან ეწყება ხელფასი.

***— გააჩნია კულტურის და სპორტის მუშაკებსაც. ხელისუფლებას ვინც მოსწონს, მათ ბევრად მაღალი ხელფასები აქვთ.***

— მე საშუალო ხელფასზე მოგახსენებთ. ერთ და ორ ადამიანს ნამდვილად აძლევენ დიდ ფულს. აი, კიდევ ერთი კატასტროფა. მე დამლაგებლებს არაფერს ვერჩი და არც ის მწყინს, მათ მაღალი ხელფასები რომ აქვთ. თბილისის მერიაში მათი ხელფასი 600 ლარიდან იწყება. მეეზოვეს პატარა ხელფასი ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს. თუმცა არ შეიძლება მასწავლებელს მეეზოვეზე ნაკლები ხელფასი ჰქონდეს. მეეზოვეზე ნაკლები ხელფასი უნდა ჰქონდეს ნიკა გილაურს.

***— გილაურს რატომღა უნდა ჰქონდეს მეეზოვეზე ნაკლები ხელფასი?***

— იმიტომ, რომ იმაზე მეტ საქმეს აკეთებს და ხალხს არ ატყუებს. მედიცინის ხაზით ჩვენს ქვეყანაში 35 დოლარი იხარჯება ერთ ადამიანზე. ამ თანხით კბილს ვერ დაიპლომბავ. საქართველოში ჯანდაცვა ბიზნესი გახდა. ბევრმა აზერბაიჯანელმა ბიზნესმენმა იყიდა საქართველოში ჯანდაცვის ობიექტი. სომეხი ბიზნესმენებიც აქტიურობენ ამ მიმართულებით. ვინმემ რომ გვითხრას, სომეხი და აზერბაიჯანელი ბიზნესმენები საქართველოს მოსახლეობის ჯანდაცვაზე ზრუნავენო, ჰომეროსის ხარხარი აგვიტყდება. ეს ადამიანები არიან ჭკვიანები. მათ იციან, რომ მედიცინაში საქართველოში დიდი ფული იშოვება. ამ ქვეყანაში ავადმყოფების ხარჯზე შოულობენ ფულს. აქ 7-8 ჯერ არის გაზრდილი წამლის ფასი. სომეხი კაცი ხედავს, რომ საქართველოში დამზადებული წამალი სომხეთში უფრო იაფი ღირს, ვიდრე თავად საქართველოში. სომეხმა ბიზნესმენმა ისიც გაითვალისწინა, რომ საქართველო ყველაზე ავადმყოფი ქვეყანაა.

***— ყველაზე ავადმყოფი ქვეყანა რატომ არის საქართველო?***

— 170 ქვეყნიდან საქართველო 150-152 ადგილებს იყოფს იემენთან და ტოგოსთან ერთად. 35 დოლარს ხარჯავს ხელისუფლება ერთ ადამიანზე. 35 დოლარზე მეტი ჯდება ბათუმის ბულვარში ბოძის შენახვა.

***— რა ბოძია ამისთანა?***

— არაფერი ფუნქცია არა აქვს, უბრალოდ, სააკაშვილს მოსწონს. აი, ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ. სასაცილოა და სამარცხვინო ინვესტიციების მოზიდვაზე საუბარი.

***— რატომ არის ინვესტიციებზე საუბარი სამარცხვინო?***

— სააკაშვილის და გილაურის მოზიდულ ინვესტიციებზე ერთნახევარჯერ მეტია საქართველოდან წასული ადამიანების მიერ გამოგზავნილი ფული. ეს ადამიანები საზღვარგარეთ არიან სამუშაოდ წასულები. ისინი იქ არიან მონები. ყველამ ვიცით, რა პირობებში მუშაობენ ისინი. პრაქტიკულად ტუალეტში ემსახურებიან ეს ადამიანები მოხუცებს. ამ გაჭირვებით ნაშოვნი ფულით ინახავენ ნათესავებს და ეს გაუბედურებული ხალხი საქართველოში უფრო ბევრ ფულს აგზავნის, ვიდრე ინვესტიციებით შემოდის. ამაზე უარესი რაღა გითხრათ, ხალხო! ამ ქვეყნის მთავრობა გამოდის და უსინდისოდ ამბობს, ყველაფერი კარგად არისო. ჯერ მარტო ბუნებრივ აირზე რას აკეთებს. ვარდების რევოლუციამდე ამერიკელების მხარდაჭერით საქართველომ გააფორმა ხელშეკრულება. ამ შეთანხმებით ერთი კუბამეტრი გაზი ჯდება 5 თეთრი. მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობას ამას 51 თეთრად ასყიდებს. მეწარმეებს კიდევ უფრო ძვირად აწვდის. ასე რომ, დიდი განსხვავება არ არის, რაზე სალაპარაკოდ წავიდა მერაბიშვილი ბაქოში. რა თემაზეც არ უნდა ელაპარაკა, ჰქონდა ერთი მიზანი.

***— რა მიზანი?***

— გადაირჩინოს როგორმე სკამი. კაცს, რომელსაც უყვარს სკამი, მას არ შეიძლება უყვარდეს არც ქვეყანა და არც ადამიანები. ჩვენს პრეზიდენტ სააკაშვილს უყვარს სკამი. სკამზე ძვირფასი მისთვის არაფერი არ არსებობს. ამ კაცს არ შეიძლება ქვეყანა უყვარდეს. ეს მისი ქმედებებითაც კარგად ჩანს. დღეს ისინი დაკავებული არიან ზონდერბრიგადების შექმნით.

***— რატომ ქმნიან ზონდერბრიგადებს?***

— ოპონენტების წინააღმდეგ რომ გამოიყენონ. სხვა ქვეყნიდან უნდათ ჩამოიყვანონ ჯარისკაცები საქართველოს მოსახლეობის დასარბევად. ნიღაბი რომ უკეთია, მიდი და გაიგე, ქართველია, სომეხი თუ აზერბაიჯანელი? ლაპარაკით, დარბევის დროს არ დაგელაპარაკებიან, ბუნებრივია.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ უცხო ქვეყნიდან ჩამოყვანილ ჯარისკაცებს დაარბევინებენ აქ აქციებს?***

— რატომაც არა. ამათ არაფრის არ რცხვენიათ. ყველა ღონეს იხმარენ, რომ სკამები გადაირჩინონ. მსოფლიოში რაც ხდება, ყველანი კარგად ვხედავთ. სოციალურ თემებზე ხალხი ქუჩაში ლამის ყველა მეორე ქვეყანაში გამოდის. ყველაზე უბედურ დღეში ჩვენ ვართ, მაგრამ მაინც არ გამოვდივართ ქუჩაში. ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რომ ხალხი სახლში დარჩეს. ცოტა ხნის წინ დიდი ზარზეიმით გვამცნეს, რომ სექტემბრისთვის პენსია 100 ლარამდე გაიზრდება. ეს არის ძალიან დიდი უსინდისობა. სააკაშვილი ხალხს დაპირდა, რომ მინიმალური პენსია 100 დოლარი იქნებოდა. პენსია ასი დოლარი ჯერ კიდევ სამი წლის წინ უნდა გამხდარიყო. დღეს ამ ასი დოლარით პენსიონერი ვერაფერს ვერ იყიდის. მთავრობის წევრები კი ურცხვად გვეუბნებიან, რომ პენსიას ას ლარამდე ზრდიან. ისეა ყველაფერი გაძვირებული, რომ ვერაფერს იყიდი. პენსიები მხოლოდ ერთი მიზეზით გაზარდეს, რომ იქნებ ხალხი ქუჩაში არ გამოვიდეს.

***— გაჩერდება ამის გამო ხალხი?***

— ჩვენო მოსახლეობა ჯერჯერობით უჯერებს ამ მატყუარა მთავრობას. ამ ფონზე ნამდვილად ყოჩაღ სომხეთის მოსახლეობას! ისინი ჩვენზე ბევრად უეთესად ცხოვრობენ, მაგრამ პროტესტი მაინც გამოხატეს. ისინი ძალიან ღირსეულად მოიქცნენ. ყველამ ვიხილეთ, როგორი აქციები გაიმართა ერევანში. ჩვენ როგორ ვიქცევით. ვსხედვართ და სააკაშვილის ტყუილებს ვიჯერებთ. ძალიან მწყდება გული ჩვენს ხალხზე, ისევე, როგორც ამერიკასა და რუსეთზე.

***— ამერიკასა და რუსეთზე რატომღა გწყდებათ გული?***

— მათი მოქმედებების გამო. მინდა ვთხოვო ერთსაც და მეორესაც, რომ დაგვანებონ თავი. ერთხელ მაინც გამოსცადონ ქართველი ხალხის არჩეული პრეზიდენტი. ნუ ჩაერევიან ჩვენ საქმეებში. იცოდნენ ამერიკელებმა, რომ ქართველ ხალხს უყვარს ამერიკა და არა ამ ხელისუფლებას.

***— ამერიკა ჩვენს ხელისუფლებას ძალიან უყვარს. სულ იმას უსვამენ ხაზს, რომ ამერიკაზე არიან შეყვარებული.***

— ეს არ არის სიყვარული. ამ ხელისუფლებას არავინ არ უყვარს საკუთარი სკამის გარდა. ამერიკას კი იმიტომ ეპირფერებიან, რომ ის სჭირდებათ. ისევე, როგორც დაპირისპირება რუსეთთან. რუსეთის ლანძღვით საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოდიან ანტიქართული ძალები. დღედაღამე რუსეთს აკრიტიკებენ, რეალურად კი ყველაფერი მიჰყიდა რუსეთს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბორჯომიც კი რუსებს მიჰყიდა. დენი, გაზი და წყალი ხომ რუსეთისაა. ამის შემდეგ ვიღაცას კიდევ რუსეთის აგენტობას დააბრალებენ? თავად არიან რუსეთის ნების გამტარებლები.

# სააკაშვილმა ტრამპთან დიდი ფული ჩაიტანა

## „პოლიტიკური რვიანი“ პოლიტიკური ონანიზმით არის დაკავებული

ქეთი ხომერიკი




*— ნათელაშვილის მიერ თეთრ სახლთან გამართულმა აქციამ საზოგადოების ნაწილის დიდი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია, ერთნი ამბობდნენ, როგორ მოიფიქრაო, მეორენი — როგორ გაბედაო და მართლაც რამ მოაფიქრებინა და გადააწყვეტინა ბატონ შალვას აქციის გამართვა და მოჰყვა თუ არა რაიმე რეაქცია ამას ობამას ადმინისტრაციისგან?*

— ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, აშშ-ში, მსოფლიო ლიდერ სახელმწიფოში ასეთი რამ საქართველოს მხრიდან არასდროს მომხდარა. თეთრი სახლის წინ, ბარაკ ობამას რეზიდენციასთან არც ერთ ქართველ პოლიტიკოს საპროტესტო აქცია არ მოუწყვია. აქცია, რომელშიც მონაწილეობდნენ, როგორც იქ მაცხოვრებელი ქართველები, ასევე ამერიკის მოქალაქეებიც. სხვათა შორის, კამერების წინ ქართველები ზურგშექცევით იდგნენ, რადგან მათ, ასე ვთქვათ, შეეშინდათ იმის, რომ საქართველოში მცხოვრები მათი ახლობლები ჩვენს უშიშროებას მათი საქციელის გამო არ დაეტერორებინა. დიქტატორი სააკაშვილი უნდა გადადგეს, სააკაშვილი მკვლელია, აი, ეს ლოზუნგები იყო და ასეთი პლაკატები იყო გამოტანილი. ეს მართლაც რომ უპრეცენდენტო შემთხვევა იყო საქართველოს ისტორიაში. აქცია სწორედ იმ ადგილზე შედგა, საიდანაც პრეზიდენტი დაგვინიშნეს და დღემდე მხარდაჭერილია. ჩვენ, ქართველებმა და აშშ-ს მოქალაქეების ნაწილმა მათ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტის გადადგომა მთელი მსოფლიოს დასანახად მოვითხოვეთ.

***— როგორ მოახერხა ნათელაშვილმა ის, რომ საპროტესტო აქციას აშშ-ს მოქალაქეები დაესწრენ და ქართველებს სოლიდარობა, გამოუცხადეს?***

— დაწვრილებით თუ რა ნიუანსები იყო, ვინ გამოგვიცხადა სოლიდარობა, რა რეაქციები იყო აშშ-ს ადმინისტრაციის მხრიდან და ა.შ. ამაზე ბატონი შალვა რომ ჩამოვა, თავად მოგახსენებთ. რაც შეეხება თავად ამ ვოიაჟს, ეს იყო სამუშაო ვიზიტი. ბატონ შალვას საკმაოდ მაღალი რანგის შეხვედრები ჰქონდა და მისი მხრიდან მთავარი საკითხი იყო დასმული იქ — ნუ ჩაერევა აშშ სააკაშვილის შეცვლის პროცესში, ანუ იმ კაცის, რომელმაც დაშალა და დაანგრია საქართველო ხელისუფლებიდან გაშვებაში ხელს ნუ შეგვიშლითო. აი, ამაზე იყო საუბარი.

***— აშშ-ს მთელი კონგრესი სააკაშვილს უჭერს მხარსო, განაცხადა ბატონმა შალვამ, ანუ სააკაშვილი აშშ-ს მხრიდან უწინდებურად მხარდაჭერილია? ვისთვის წარსულის ლიდერია, ვისთვის კი მსოფლიო კერპი...***

— არა, არიან იქ გარკვეული დაფინანსებული ჯგუფები, რომლებიც დაქირავებული ჰყავს სააკაშვილს და მილიონებს უხდის. შესაბამისად, ისინი სააკაშვილზე დღემდე გადამკვდარნი არიან. ისინი მიშას ლობისტებად არიან ქცეულნი და ეს ლობისტური ჯგუფი განსაზღვრავს შემდეგ აშშ-ს პოლიტიკას საქართველოს მიმართ. კონგრესმენთა ამ პატარა ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე წარიმართება პოლიტიკა ჩვენი მიმართულებით. ამიტომ ბუნებრივია მათთან ბრძოლაა საჭირო და აშშ-ს საქმის კურსში ჩაყენება და მთავარი მიზანი იყო ის, რომ დაერწმუნებინა იქაური პოლიტიკური ისტებლიშმენტი იმაში, რომ სააკაშვილს არა მარტო მხარი არ დაუჭირონ, არამედ სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის საკითხში არ ჩაერიონ. რაც შეეხება სააკაშვილი-ტრამპის შეხვედრას, ეს იყო ორი თაღლითის შეხვედრა. სააკაშვილმა იმისთვის, რომ ტრამპს ასეთი განცხადებები გაეკეთებინა, აშშ-ში დიდი ფული ჩაიტანა. ჩვენ კი აქ გაგვაბრიყვეს და გვითხრეს, რომ ტრამპს საქართველოში ფული ჩამოაქვსო, რეალურად კი ეს სააკაშვილისა და ტრამპის მიერ გამართული პიარ ტრამპაცუმპი იყო. ხელისუფლებას უნდოდა გაესულელებინა საზოგადოება, რომ არიქა, სააკაშვილს ტრამპის მხარდაჭერა აქვს და ის საქართველოს დოლარების ოკეანეს მოაყრისო.

***— მერედა შეძლო ნათელაშვილმა აშშ-ს პოლიტიკური ისტებლიშმენტის იმაში დარწმუნება, რომ სამომავლოდ სააკაშვილს მხარი აღარ დაუჭირონ?***

— ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. აშშ-ში არა მარტო დახურული მოლაპარაკებები შედგა, არამედ აქციაც ჩატარდა ხომ, რომელსაც გარკვეული რისკი სჭირდებოდა. ყველა ფრონტზე საჭიროა ბრძოლა, როგორც შიგნით, ასევე გარეთ, იქ, სადაც დაგვინიშნეს ეს კაცი.

***— კარგით, ბატონო გიორგი, თქვენ არც ხელისუფლებასა და „ოპოზიციურ რვიანს“ შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში მონაწილეობთ და არც „სახალხო კრების“ მიერ დაანონსებულ აქციებს აპირებთ, რომ შეუერთდეთ, კონკრეტულად რა გზით აპირებენ „ლეიბორისტები“ ხელისუფლებასთან ბრძოლას და ამ ძალებს ბრძოლის მეთოდებს რატომ უწუნებთ?***

— მე, ე.წ „პოლიტიკურ რვიანს“ პოლიტიკური ონანიზმით დაკავებულნი ვუწოდე და ეს ფიგურალური შედარება ზუსტად გამოხატავს იმ სიტუაციას, რომელშიც ისინი არიან. როდესაც შენ ებრძვი რეჟიმს, ავტოკრატიულს, ტოტალიტარულის ნიშნებით და ამ დროს აცხადებ, რომ მე შენ ხელისუფლებიდან არჩევნების გზით უნდა გაგიშვაო, ცოტა არ იყოს და, სასაცილოა. მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებიდან თურმე არჩევნებით უნდა გაუშვა. კაცი ძალადობით მოვიდა, არჩევნები გააყალბა და მაინც თურმე არჩევნებით უნდა გაუშვა. და ამის მთავარი იარაღი იქნება კოდექსის ფურცელი. და საარჩევნო გარემო კოდექსი რომ არ არის, ეს, მე მგონი, კარგად უნდა იცოდნენ. ეს უფრო სააკაშვილის თამაშია, ასეთი თამაში მას აწყობს.

***— ანუ „ოპოზიციური რვიანი“ სააკაშვილის თამაშს თამაშობს? სხვათა შორის, ითქვა ისიც, რომ „რვიანი“ ხელისუფლებას დროის გაწელვაში ეხმარება...***

— არა მარტო დროის გაწელვაში. ეს საერთაშორისო არენაზე სააკაშვილის იმიჯს ქმნის, რომ აი, შეხედეთ, დემოკრატია ეს კაცი. აი, ბატონო, თვითმმართველობის არჩევნები ისე კარგად ჩაატარა, რომ ე.წ. ოპოზიციამ მიულოცა კიდეც. შე მამაცხონებულო, თუ არჩევნებში გამარჯვებას ულოცავ და ეუბნები, იმიტომ გილოცავ, რომ დემოკრატიულად ჩაატარეო, მაშინ რაღა საარჩევნო კოდექსის გამოცვლას ითხოვ? შემდეგ სააკაშვილმა კონსტიტუცია მიიღო, ოპოზიციამ კი მხარი დაუჭირა. ახლა კი საარჩევნო გარემო უნდა შეიცვალოს და ოპოზიცია ამ მოლაპარაკებებში ჩართულია, ე.ი. დემოკრატია ეს კაცი და რას ერჩით? ეს სააკაშვილის თამაშია. არჩევნების გზით სააკაშვილის ხელისუფლება რომ არ შეიცვლება, ეს პატარა ბავშვმაც კი იცის. რაც შეეხება ე.წ. დაანონსებული რევოლუციების გზას. ხელისუფლებას წინასწარ აფრთხილებენ. ეს დაახლოებით რას ჰგავს, იცით? სანადიროდ რომ წახვიდე, შეხვიდე ტყეში, წინასწარ ატეხო ხმაური, არიქა, მოვდივარო, დათვი დაიმალება, ან მოემზადება, კარგად დაგტორავს და ისე გამოგიშვებს უკან. რომელი რევოლუცია დაანონსებულა წინასწარ, ვერ მეტყვით? მუბარაქი რომ გადააყენეს, ან ლიბიაში გამოსვლები, რომ დაიწყო იქ ვილაცები წინასწარ აანონსებდნენ ამას? რევოლუცია ბრძოლის პროცესს მოაქვს. ამისთვის ყოველდღიური ბრძოლაა საჭირო. ქვეყანაში კრიტიკული სიტუაცია რომ დადგება და შიდა და გარე პირობები რომ დაემთხვევა ერთმანეთს, აი, მაშინ ხდება რევოლუცია და მაშინ მოდის გამარჯვებაც. დარტყმა იმ დროს უნდა განახორციელო, როდესაც ხედავ, რომ შედეგს მოიტანს. გარეთ რომ გახვალ, უკან აღარ უნდა დაბრუნდე, ან საერთოდ არ უნდა გახვიდე. რამ გამოიწვია ნიჰილიზმი საზოგადოებაში? ხალხის წალმა-უკუღმა ტარებამ და რევოლუციების წინასწარ დაანონსებამ. თან ისეთი რიტორიკა ჰქონდათ, რომ ანგრევდნენ ყველაფერს, თუმცა, როგორც კი მოსაღამოვდებოდა, ზოგი შავნაბადაზე, ზოგიც კი მერაბიშვილთან, შუშებიან შენობაში გარბოდა მოსალაპარაკებლად და ურიგდებოდნენ ხელისუფლებას. აი, ამან გამოიწვია ნიჰილიზმი საზოგადოებაში და ამიტომ ვთხოვთ ასეთ ძალებს, რომ შეეშვან ამას და გზა გაუხსნან იმ ძალებს, რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგ რეალურად იბრძვიან და რომლებიც აუცილებლად იქნებიან მთავარი დამრტყმელი ძალა და მესაფლავეები ამ რეჟიმის დანგრევისა.

***— და თქვენ როგორღა აპირებთ ამ რეჟიმის დანგრევას?***

— ყოველდღიური ბრძოლაა საჭირო. წინასწარ თარიღების დათქმა და განცხადება იმისა, რომ აი, ამ დღის შემდეგ სააკაშვილი ხელისუფლებაში აღარ იქნება, ხელისუფლების თამაშია და ბოლოს და ბოლოს გავიგოთ, რა ეს.

***— „სახალხო კრება“ და „ქართული პარტია“ აანონსებს თარიღებს, გამოდის, რომ ხელისუფლების თამაშს თამაშობენ?***

— დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს ხელისუფლების შეცვლის სურვილი ნამდვილად აქვს, მაგრამ ზოგჯერ შეცდომას უფრო დიდი შედეგი მოაქვს და უფრო მძიმე შედეგი შეიძლება დაყენოს. წინასწარმა დაანონსებულმა რევოლუციებმა ჩაილურის წყალი დალია.

***— „სახალხო კრების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აქციების დაწყება და კონკრეტულ მოქმედებებზე გადასვლა ხალხის დაკვეთაა და ისინი ხალხის დაკვეთის აღსრულებას აპირებენ...***

— საზოგადოების დიდი ნაწილის დაკვეთა ამ რეჟიმის შეცვლა ნამდვილად არის, მაგრამ შენ რომ პოლიტიკური ლიდერი ხარ, იმდენი პასუხისმგებლობა უნდა გქონდეს, რომ არ დაუშვა შეცდომა, არ გამოაცხადო წინასწარ თარიღები, რომ ამ დღეს სააკაშვილი აღარ იქნება. ამას დრო, ბრძოლა, უკომპრომისობა, შეურიგებლობა და თავად ხალხის განცდა მოიტანს.

***— ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური ფონის გასაპროტესტებლად ხომ არ გამოვა ხალხი ქუჩაში?***

— დიახ, ეს გარდაუვალი პროცესია. საზოგადოება როდესაც იმუხტება, გროვდება მუხტი და ის გარკვეულ დროს იფეთქებს კიდეც. შენ კი ამისთვის მზად უნდა იყო

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# სკოლამდელი აღზრდის ახალი სახელმძღვანელოების პრეზენტაცია გაიმართა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე და სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი ნათია ჯოხაძე სკოლამდელი აღზრდის ახალი სახელმძღვანელოების პრეზენტაციას დაესწრნენ.

სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ „სკოლამდელი განათლების ინიციატივების მხარდამჭერი პროექტის“ ფარგლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დოკუმენტი შემუშავდა: „საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო“, „სკოლამდელი განათლების პროგრამა“, „სკოლამდელი ასაკის ბავშვის შეფასების ფორმა“, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი“.

აღნიშნული რესურსების შექმნაზე, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტებთან ერთად, წამყვანი ფსიქოლოგები, პრაქტიკოსი პედაგოგები და სხვადასხვა დარგის (ხელოვნება, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა და სხვ.) სპეციალისტები მუშაობდნენ.

ხუთი-ექვსი წლის ასაკში ბავშვის გონებრივი, ფიზიკური და სოციალური შესაძლებლობები და უნარები უკვე გარკვეულად ჩამოყალიბებულია, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია სკოლამდელი ასაკის ბავშვი სათანადოდ იყოს მომზადებული სკოლისათვის, რათა უპრობლემოდ შეძლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაძლევა.

ახალი პუბლიკაციები გამიზნულია ფართო აუდიტორიისათვის და დაეხმარება სკოლამდელი განათლების სფეროს წარმომადგენლებს, სწორად დაგეგმონ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, რაც ხელს შეუწყობს როგორც ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას, ასევე მის მომზადებას სკოლისა და მომავალი ცხოვრებისათვის.

პუბლიკაციები გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNISEF) ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა. თითოეული გამოცემა საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო ბაღს უსასყიდლოდ გადაეცემა.

ამჟამად, საქართველოში სკოლამდელი განათლების ორგანიზებას, ხარისხის უზრუნველყოფასა და დაფინანსებას ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ. მიუხედავად ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრთან ერთად, აქტიურად განაგრძობს მუშაობას სკოლამდელი განათლების სფეროს პროფესიონალთათვის დამხმარე რესურსების შემუშავებაზე.

მედიანიუსი

# საატესტატო გამოცდები როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების ბაზაზე ჩატარდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საატესტატო გამოცდებისათვის მზადებას განაგრძობს. საატესტატო გამოცდები ჩატარდება როგორც საჯარო ასევე, კერძო სკოლების ბაზაზე.

როგორც „მედიანიუსს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლა სრულ მზადყოფნაშია გამოცდების ჩასატარებლად. სამწუხაროდ, რიგი კერძო სკოლები არ ცდილობენ სათანადოდ მოემზადონ საატესტატო გამოცდებისთვის, კერძოდ, სკოლებს არ უზრუნველყოფენ საატესტატო გამოცდებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით, რის გამოც მათ მოსწავლეებს გამოცდების ჩაბარება საჯარო სკოლების ბაზაზე მოუწევთ.

მედიანიუსი

# მანდატურის განცხადების საფუძველზე მასწავლებელი სამსახურიდან გაათავისუფლეს

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ოფისში თბილისის მე-8 საჯარო სკოლაში მანდატურის მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე პრესკონფერენცია გაიმართება

როგორც „მედიანიუსს“ ორგანიზაციიდან აცნობეს, ამჯერად, საქმე ეხება თბილისის მე-8 საჯარო სკოლაში, მანდატურის განცხადების საფუძველზე, სკოლის დირექტორის მიერ მასწავლებლის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტს.

პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება მანდატურის მიერ უფლებამოსილების გადამეტების დამადასტურებელი დამატებითი მასალები და მას დაზარალებული მხარის წარმომადგენლები დაესწრებიან.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით, სარჩელი საქალაქო სასამართლოში უკვე შეიტანა. ამასთან, ორგანიზაცია მომავალშიც გააგრძელებს მსგავს ფაქტებზე რეაგირებას და მოუწოდებს საზოგადოებას, მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია, ცალკეული დარღვევების შესახებ.

მედიანიუსი

# სოფელი ჭერემი გარესამყაროს არის მოწყვეტილი

წვიმების შედეგად გურჯაანის რაიონში მდინარე ჭერმის ხევი ადიდდა. ადიდებულმა მდინარემ სოფელ ჭერემთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა, რომელიც მდინარეზე გადის, წყლით დაფარა. ჭერემი ამ დროისთვის გარესამყაროს არის მოწყვეტილი, — აცნობეს „მედიანიუსს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

მოსახლეობის თქმით, ჭერმის ხევი წვიმების გამო კვირას ადიდდა. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ დღეს სოფელში თოვლი მოვიდა. გზაზე ავტომანქანების გადაადგილება შეუძლებელია.

ჭერემი მაღალმთიანი სოფელია და იქ 14 ოჯახი ცხოვრობს.

მედიანიუსი

# №16 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემანი ამოქმედდა

სასჯელაღსრულების №16 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემანი ამოქმედდა.

გრძელვადიანი პაემნისთვის განკუთვნილი სასტუმრო, რუსთავის დაწესებულებაში, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ გახსნა.

გახსნას სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია და მისი მოადგილე ეკა ხერხეულიძე ესწრებოდნენ.

ხანგრძლივი პაემანი, უახლოეს დღეებში, რუსთავის №6 დაწესებულებაში ამოქმედდება, დანარჩენ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში კი ინფრასტრუქტურის მშენებლობა ეტაპობრივად დაიწყება.

გრძელვადიანი პაემანი უკვე მოქმედებს არასრულწლოვანთა დაწესებულებაში.

კანონის თანახმად, მსჯავრდებულს უფლება აქვს 24 საათის განმავლობაში ისარგებლოს ხანგრძლივი პაემნით შვილთან, ნაშვილებთან, მეუღლესთან, მშობელთან, მშვილებელთან, დასთან და ძმასთან ერთად, მსჯავრდებულის ან დასახელებული პირების ხარჯით.

პაემანი არ შეეხება იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც იმყოფებიან საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული აქვთ დისციპლინური სახდელი ან შეფარდებული აქვთ ადმინისტრაციული პატიმრობა.

ყველა მსჯავრდებულს, რომელზეც გრძელვადიანი პაემანი გავრცელდება, უფლება ექნება ისარგებლოს 24-საათიანი პაემნით წელიწადში ორჯერ და დამატებით მესამე პაემნით წახალისების მიზნით, გარდა არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისა, რომლებიც ხანგრძლივი პაემნით ისარგებლებენ წელიწადში სამჯერ და მეოთხედ წახალისების მიზნით.

მედიანიუსი

# სასამართლომ გიორგი დემეტრაძეს 6 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა

**თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა მსჯავრდებულების: გიორგი დემეტრაძის, დავით გაგნიძის და დავით ფეიქრიშვილის მიმართ. მათ ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2231-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში ქურდული სამყაროს წევრობაში ედებოდათ.**



საქმე ეხება 2010 წლის, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით, ე.წ. „მაზავშიკებთან" მართლსაწინააღმდეგოდ მოგებულ თანხებს. აღნიშნული თანხების ამოღებისა და შემდგომი გადანაწილების პროცესში „მოგებულებს" ქურდული ტრადიციების მიმდევრები, კერძოდ კი ვახტანგ ყიფიანი, გიორგი დემეტრაძე, დავით გაგნიძე და დავით ფეიქრიშვილი აქტიურად ეხმარებოდნენ, ხოლო მოგებული თანხის გარკვეული ნაწილი საბოლოოდ, „ქურდულ საერთოში," იყრიდა თავს. სწორედ „სავალდებულო თანხის" გადაცემის მომენტში მოხდა დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრების დაკავება. მათი პირადი ჩხრეკისას სამართალდამცავების მიერ 40 700 აშშ დოლარი იქნა ამოღებული. საქმის არსებითი განხილვის პროცესში განსასჯელის დაკავების გამო, სისხლის სამართლის საქმე ვახტანგ ყიფიანის მიმართ გამოიყო ცალკე წარმოებად.

სასამართლო სდომაზე ბრალდებულთა დანაშაულებრივი ქმედება დადასტურებულ იქნა: წარმოდგენილი ოპერატიულ-საძებრო ღონისძიებების და საიდუმლო მიმოწერის მასალებით, დაკავებულთა პირადი ჩხრეკის ოქმებით, მოწმეთა ჩვენებებით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განსასჯელები დამნაშავედ სცნო წარგენილ ბრალდებაში და დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით განსაზღვრა დანიშნული სასჯელის ზომა. შესაბამისად, გიორგი დემეტრაძეს, სსკ-ს 2231-ე მუხლის I ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული 30 000 აშშ დოლარი; დავით გაგნიძეს — 2231-ე მუხლის I ნაწილით და 236-ე მუხლის I და II ნაწილებით დანაშაულთა ერთობლიობით, ნაწილობრივი შეკრების პრინციპით 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული 10 700 აშშ დოლარი; ხოლო დავით ფეიქრიშვილთან ბრალის აღიარების საფუძველზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და სასჯელის სახედ და ზომად 2231-ე მუხლის I ნაწილით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, დანიშნული სასჯელიდან საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, 2 წლის მოხდა განესაზღვრა სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 4 წელი სსკ-ის 63-64-ე მუხლებით ჩაეთვალა პირობითად, 5 წლის გამოსაცდელი ვადით, მასვე დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა 30 000 ლარის ოდენობით.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახური**

# სოფელ წითელწყაროში 84 წლის მოხუცის გვამი იპოვეს

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროში, ყოფილი ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, 84 წლის ნინა შოშიაშვილის გვამი იპოვეს. შემთხვევის ადგილზე პოლიცია თვითმხილველებმა გამოიძახეს, — აცნობეს„მედიანიუსს" რადიო „ჰერეთიდან".

გვამს შესაბამისი გამოკვლევა ექსპერტმა უკვე ჩაუტარა, საბოლოო დასკვნა რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი.

წინასწარი ინფორმაციით, ქალბატონს სხეულზე ძალადობის კვალი, ან რაიმე სახის გარეგნული დაზიანებები არ აღენიშნებოდა.

მოხუცის გარდაცვალების მიზეზებს სამართალდამცველები ამ დრომდე ვერ აკონკრეტებენ. მომხდარზე შსს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილი საბრალდებო სკამზე ადვოკატებმა უნდა დავსვათ!

გულიკო ბალა ე

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი კვლავ ადვოკატთა დევნაზე საუბრობს. მან ადვოკატთა დევნის ახალი ფაქტები გაგვაცნო.**

— მიუხედავად იმისა, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა ხოსე მარია დავო ფერნანდესმა გასული წლის დეკემბერში სააკაშვილს წერილი მისწერა და მოსთხოვა ადვოკატებზე თავდასხმის, შეურაცხყოფის ფაქტების გამოძიება, უკანოოდ დაკავებული ადამიანების გათავისუფლება, მიუხედავად იმისა, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პეკოს კომიტეტმა რამდენჯერმე თავის სხდომაზე დიდი ადგილი დაუთმო ქართველ ადვოკატთა შეურაცხყოფისა და დევნის ფაქტებს, სააკაშვილის რეჟიმი კვლავ აგრძელებს ადვოკატთა კორპუსის დევნას, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

17 მარტს ზაზა ხატიაშვილს თავისი უფლებების დარღვევის თაობაზე ორმა ადვოკატმა ჯეიჰონ მამედოვმა და ელზა ლუქუნიძემ მიმართეს. ზაზა ხატიაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლება ახალ-ახალი სიბინძურეებით ცდილობს ადვოკატთა კორპუსის შანტაჟს.

— სააკაშვილის რეჟიმი აგრძელებს ადვოკატთა კორპუსის დევნას. ხუთშაბათს, ღამით ჩემთან მოვიდა ორი ადვოკატი, ჯეიჰონ მამედოვი და ელზა ლუქუნიძე. მათ მითხრეს, რომ პროფესიული საქმიანობის გამო ბოლნისის პროკურატურიდან ინსტიტუციონალურ დევნას განიცდიან. დავინტერესდი და გავარკვიე, რომ საქმე გვაქვს ტრაგიკომიკურ სიტუაციასთან. ქალბატონმა ელზამ და ბატონმა ჯეიჰონმა მოქალაქისაგან მიიღეს საბუთები. მოქალაქე მათ სთხოვდა, ეწარმოებინათ საქმიანობა მისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გადასაცემად. ადვოკატებმა წარადგინეს დოკუმენტაცია და აღმოჩნდა, რომ თურმე დმანისის ერთ-ერთი სოფლის ხელმძღვანელმა გასცა ყალბი ცნობა. როგორც გამოძიება ამტკიცებს, თითქოსდა ეს ადამიანი იქ ცხოვრობდა ხუთი წელი, 1994 წლის შემდეგ.

დააკვირდით, ქალბატონი ელზა ლუქუნიძე ადვოკატთა ასოციაციის წევრია 2010 წლის თებერვლიდან. ეს ცნობა კი გაცემულია 2009 წლის დეკემბერში. ელზა ლუქუნიძე დაკითხეს, 2009 წლის დეკემბერში გაცემულ ცნობასთან რა კავშირი გაქვსო, მაშინ, როცა იმ დროს ის ადვოკატი არ იყო. გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ელზა ლუქუნიძე იცნობდა საერთოდ იმ ადამიანს, ხანუმა კოჯაევას, ვინც მომართა? მე ვიმყოფებოდი ბოლნისის პროკურატურაში. ჯეიჰუნ მამედოვი დაკითხვიდან ღამის 1 საათზე გამოვიდა. მანამდე იქ ველოდებოდი. ჩემი თვალით ვნახე, როგორი დაუცველია ადვოკატი, რაც მაძლევს ძალას, რომ ამ რეჟიმის წინააღმდეგ ვიბრძოლო, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მათ ადვოკატს პროკურატურა იმის აღიარებას სთხოვს, რაც არ ჩაუდენია. „საცოდავმა ჯეიჰუნმა მითხრა, პროკურორს უთქვამს, დანაშაული აღიარე და არ დაგიჭერთ, საპროცესოს გაგიფორმებთო. ჯეიჰუნს უკითხავს, რა უნდა ვაღიაროო? აღიარე, რომ ეს ქალი შენ წააქეზე დანაშაულის ჩადენაშიო. ჯეიჰუნმა უპასუხა, ხანუმა კოჯაევამ 2009 წელს აიღო ცნობა, მე როგორ წავაქეზეო?"

— პროკურორებთან კი არა, კრიმინალებთან გვაქვს საქმე, რომლებიც მზად არიან, ჩაიდინონ ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაული, ოღონდ კი ადვოკატი საბრალდებო სკამზე დასვან, — ასკვნის ზაზა ხატიაშვილი, — მათთვის შემაკავებელი ფაქტორი არ არსებობს. ამიტომ გავხდი იძულებული, ევროპის ადვოკატთა ასოციაციისთვის და ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიისთვის მეთხოვა, ადვოკატთა ინსტიტუციონალურ დევნაში დამნაშავე სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, კუბლაშვილი და კალმახელიძე არ შეეშვათ ევროკავშირის ტერიტორიაზე, გამოეცხადებინათ ისინი დიქტატორებად, სამოქალაქო საზოგადოების მტრებად, როგორც გააკეთეს ლუკაშენკოს მიმართ. სხვანაირად სააკაშვილის რეჟიმი არ შეწყვეტს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციონალურ დევნას. ყველანაირი საქმე და ყველანაირი დარღვევა მინახავს, რასაც ესენი აკეთებენ, მაგრამ არ ვიცოდი, ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატი ლელა კაკულია რომ უნდა იყოს და წინასწარ გაიგოს, ადამიანი, რომელიც საადვოკატო ბიუროს მიმართავს და სააკაშვილის მუნიციპალური ერთეულის ხელმძღვანელის გაცემულ ცნობას მიუტანს, უნდა დაუსვას დიაგნოზი, ანუ მიხვდეს, კლიენტმა ყალბი ცნობა მიუტანა თუ არა. ეს უკვე ახალი მიგნებაა. ახალ-ახალი სიბინძურეებით ცდილობენ ადვოკატთა კორპუსის წინააღმდეგ შანტაჟს.

— რანაირად უნდა განჭვრიტოს ადვოკატმა, სააკაშვილის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობა ყალბია თუ არა? აქედან გამომდინარე, ადვოკატ ელზა ლუქუნიძის დაკითხვას გამართლება არ აქვს. ეს არის ადვოკათა კორპუსის დიდი დაცინვა. სააკაშვილი საბრალდებო სკამზე ადვოკატებმა უნდა დავსვათ და გვერდით ყველა ის ბანდიტი თანამდებობის პირი უნდა მივუსვათ, ვინც ადვოკატთა კორპუსს დევნის. რამდენ უბედურებას დამართებენ ადვოკატებს, ათი იმდენჯერ მეტ პასუხს გავცემ.

***— ბატონო ზაზა, ევროპის ადვოკატთა ასოციაციას რომ მიმართეთ და ევროპაში იციან ქართველ ადვოკატთა მდგომარეობა, ამით აქ რაიმე შედეგი მიიღეთ?***

— ძალიან დიდი შედეგია. შედეგია ის, რომ საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების ელჩები გამოდიან და ამბობენ იმას, რასაც მე ვამბობ — სააკაშვილი არის ბოლშევიკი და ბოლშევიკური რეჟიმი დაამყარა.

***— სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ეს შემაკავებელი ფაქტორი არის?***

— სააკაშვილის რეჟიმს სამართლებრივად უნდა ებრძოლო. როცა საქართველოში არჩევნები კიდევ ერთხელ ჩატარდება, სააკაშვილი და მისი რეჟიმი წააგებს, ხოლო ვანო მერაბიშვილი არჩევნების შედეგების გაყალბებას დაიწყებს, ევროპა აღარ მოითმენს, თუ სამოქალაქო საზოგადოება იტყვის, სააკაშვილის რეჟიმი უნდა დამთავრდესო. როცა ევროკავშირმა და ევროსაბჭომ აღიარეს გაყალბებული არჩევნები (რომელიც სააკაშვილმა წააგო), იმ მომენტიდან ხუთი წელი ჩემსავით სამართლებრივად ვინმეს რომ ებრძოლა, ვინმეს განცხადება რომ შეეტანა, სააკაშვილი არის ბოლშევიკიო და მისი პერსონა ნონ გრატად გამოცხადება მოეთხოვა, დღეს უკეთესი ვითარება იქნებოდა.

***— არჩევნების გაყალბების გამო ლეიბორისტულმა პარტიამ საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა სარჩელი და სასამართლომ პარტია დაზარალებულადაც აღიარა, მაგრამ ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეცვლილა.***



— მე ვთქვი, რომ სააკაშვილის პერსონა ნონ გრატად გამოცხადების თაობაზე საჩივარი იმ პოლიტიკოსებსაც უნდა შეეუტანათ, რომლებმაც საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვეს და პრეზიდენტი სხვა გახდა და არა სააკაშვილი. ვფიქრობ, პრეზიდენტი ლევან გაჩეჩილაძე გახდა, მაგრამ მას საჩივარი არ შეუტანია და გაყალბებული შედეგის გაბათილება ისე არ მოუთხოვია, როგორც საჭირო იყო. მათ არ მიუმართავთ საერთაშორისო საზოგადოებისთვის, როგორც ლუკაშენკოს შემთხვევაში მოხდა და არ მოუთხოვიათ სააკაშვილის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება.

***— ახლა პროცესი იქით მიდის, რომ შეიძლება სააკაშვილი და ძმანი მისნი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადონ?***

— ის დოკუმენტაცია, რომელიც მე წარვადგინე, არის ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნის დამადასტურებელი, მაგრამ მხოლოდ ჩემი დოკუმენტები არ კმარა. ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის წარმომადგენლები ჩამობრძანდნენ და დადეს დასკვნა, რომელიც რეალობას ასახავს. თვე-ნახევრის წინ შევხვდი საფრანგეთის ელჩს. ჩვენი საუბრისას მას წინ ედო საერთაშორისო ობსერვატორიის დასკვნა, ელჩმა ის დასკვნა ზეპირად იცოდა. მე გამიკვირდა ამ ადამიანის ასეთი წესიერება, ადამიანის უფლებათა დარღვევების გულთან ახლოს მიტანა. რომ გამოვედი, ვთქვი, რომ პირველად შევხვდი დიპლომატს, რომელიც სულით არის დიპლომატი, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დამცველი. მან წერილი გაუგზავნა ქალბატონ ხათუნა კალმახელიძეს და სთხოვა, მარიამ იველაშვილთან შეეშვა. ბატონმა ელჩმა ერთი კვირის წინ პასუხი მომწერა, ხათუნა კალმახელიძემ ის მარიამ იველაშვილთან ციხეში არ შეუშვა იმ მოტივით, რომ მარიამ იველაშვილი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო ელჩი — საფრანგეთის მოქალაქე. თუმცა, შედეგი მაინც არის. მე რომ ამაზე ხმა არ ამომეღო, არც მარიამ იველაშვილის პატიმრობას გაიგებდა ვინმე და არც ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალურ დევნას, რომელიც ექვსი წელია გრძელდება. არც ის ეცოდინებო-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# პროკურატურამ აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელები დააკავა

სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით მითვისების ფაქტზე, აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელები დააკავეს. ამის შესახებ განცხადებას მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

2011 წლის 21-22 მარტს, თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციულმა საგამოძიებო დეპარტამენტმა, საქართველოს კონტროლის პალატიდან შემოსული მასალების საფუძველზე დაწყებული გამოძიების შედეგად, „საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის" ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ყრუაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „იაკობ გოგებაშვილი — საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაციის" ექსპერტები — ზურაბ მახოხაშვილი და ვაჟა ჯულელი, ასევე — შპს „ეკოთერმის" 50%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი თორნიკე არველაძე დააკავა.

მათ ბრალად ედებათ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მითვისება.

გამოძიებით დადგენილია, რომ აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები,

საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის„ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით გამოცხადებულ ტენდერებში, კონკურენტების უკანონო დისკვალიფიკაციის გზით, უზრუნველყოფდნენ მათთვის სასურველი მონაწილეების გამარჯვებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ კომპანიების სატენდერო წინადადებები ცალსახად წამგებიანი იყო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის.

ამას გარდა, აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლები - სატენდერო კომისიის წევრები, ხელმოწერებით ადასტურებდნენ შესრულებულ სამუშაოთა აქტებში„ (ფორმა 2) ხელოვნურად გაზრდილი მონაცემების შესაბამისობას ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებთან, ხოლო საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროგრამის ექსპერტები მახოხაშვილი და ჯულელი ადგენდნენ იგივე გაყალბებული მონაცემების შემცველ მოხსენებით ბარათებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ კანონის მოთხოვნების სრული უგულვებელყოფით, ჩატარდა უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო-გამაგრებითი სამუშაოების, აგრეთვე - უნივერსიტეტის საინჟინრო კორპუსისა და სასადილოს გათბობის სისტემის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერები 2007 წლის აგვისტო-დეკემბერში. კანონის გვერდის ავლით გაფორმდა ხელშეკრულება აგრარულ უნივერსიტეტსა და შპს ეკოთერმს„ შორის სასწავლო კორპუსების გათბობის სიტემის მოწყობასთან დაკავშირებით 2007 წლის 12 თებერვალს. გაყალბებული იქნა ტენდერით შესყიდული სამუშაოების შესრულების ფორმები, მიღება-ჩაბარების აქტები და ექსპერტთა მოხსენებითი ბარათები.

აღნიშნული დანაშაულების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტს საერთო ჯამში მიადგა 1.010.890,79 ლარის ოდენობის ზიანი. აგრარული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ყოფილ ხელმძღვანელს ირაკლი ყრუაშვილს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტებს - ზურაბ მახოხაშვილსა და ვაჟა ჯულელს, ასევე შპს ეკოთერმის„დირექტორს თორნიკე არველაძეს ბრალი ოფიციალურად წაეყენათ.

**ინტერპრესნიუსი**

# რა უნდა საქართველოს ნატოში

ნანა მიშელაშვილი



საქართველოში პოლიტიკური დაპირისპირება ეროვნულ სპორტად არის გადაქცეული. ეს განცხადება ნატოს საპარლამენტო ასამბლეის როუზ როსის 76-ე სემინარზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გააკეთა.

დავით ბაქრაძის თქმით, სამთავრობო პოლიტიკური გუნდის მიზანია, დამყარდეს დიალოგის ტრადიცია ოპოზიციასა და პოზიციას შორის, რათა დიალოგის გზით გადაწყდეს პოლიტიკური პრობლემები.

— ჩვენ 90-იან წლებში ცუდი გამოცდილება გვქონდა, როდესაც შევწყვიტეთ ერთმანეთთან დიალოგი და სამოქალაქო ომი მივიღეთ, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, ოპოზიციასაც და პოზიციასაც აქვთ პოლიტიკური დიალოგის მცდელობა, მათ შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ბაქრაძის აზრით, შესაძლოა, სრული კონსენსუსი არ იყოს მიღწეული, თუმცა, ცალკეულ ელემენტებზე შეთანხმება შესაძლებელია.

დავით ბაქრაძემ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განხორციელებულ რეფორმებზე და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებითაც ისაუბრა. ბაქრაძის თქმით, საქართველო ჯერ სრულყოფილი ქვეყანა არ არის, თუმცა მთავრობაში მყოფი პოლიტიკური გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველო სწორი მიმართულებით განვითარდეს.

— ჩვენ გვაქვს საკმაო პოლიტიკური ნება, რომ გავხდეთ ევროატლანტიკური სივრცის წევრი, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, ნატოსკენ საქართველოს სწრაფვა, ეს არის ჩვენი სურვილი, რომ ადგილი დავიმკვიდროთ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. მისივე თქმით, ნატოსკენ სწრაფვა არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის, არამედ ქართული საზოგადოების დიდი სურვილია.

— ჩვენ ნატოში გაწევრიანება გვჭირდება არა მარტო თავდაცვისათვის, არამედ იმისათვის, რომ ჩვენი ადგილი დავიმკვიდროთ მსოფლიო რუკაზე, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

# სააკაშვილმა ტრამპთან დიდი ფული ჩაიტანა

დასაწყისი მე-6 გვერდზე

და მაორგანზებელ ძალად უნდა იქცე.

***— და მაინც, კვლავ „რვიანზე“ მინდა გკითხოთ, ეს ძალები თქვენგან განსხვავებით დარწმუნებულები არიან, რომ ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას აიძულებენ, თქვენი აზრით, რით არის მათი თვითდაჯერებულობა გამოწვეული?***

— ნეტარ არიან მორწმუნენი, თუმცა, ნაკლებად მჯერა იმის, რომ მათ მართლაც ისეთი განცდა ჰქონდეთ, რომ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა შესაძლებელია არჩევნების გზით. რისი იმედი აქვთ, რომ სააკაშვილი განიცდის სულიერ, მორალურ კათარზისს, განიწმინდება, ძველ ცოდვებს მოინანიებს და იტყვის ჩაატარეთ თავისუფალი არჩევნები, ხელს არ შეგიშლით და წავალო? ამ ადამიანებს დანაშაული აქვთ ჩადენილი, ისინი როგორც კი ძალაუფლებას დაკარგავენ, ციხეში მოხვდებიან და როგორ გგონიათ, ასეთი ადამიანები ძალაუფლების შენარჩუნებას არ შეეცდებიან? როდესაც ვაცხადებთ, სააკაშვილს არჩევნების გზით შევცვლითო, ეს იგივეა, მიშამ ხელები გადმოგვიწყოს და გვითხრას, აგერ დამადეთ ბორკილებიო, ამას იზამს? კარგით რა.

***— და აბა, რა გზით უნდა მოხდეს ხელისუფლების შეცვლა?***

— ყოველდღიური ბრძოლით. დღეს დრო სააკაშვილის წინააღმდეგ მოქმედებს. საათი მის წინააღმდეგ არის ჩართული. მთავარია, სწორად წავუძღვეთ პროცესებს, არ შევეკრათ ხელისუფლებას და წინასწარ ბაქიბუქი არ ავტეხოთ. გადამწყვეტი ჟამი ახლოვდება და ამ დროს პოლიტიკური გაგებით სასიკვდილო დარტყმა უნდა მივაყენოთ რეჟიმს. პოლიტიკოსის გზა და მისი ქმედებები განისაზღვრება თანამიმდევრულობით. ზოგზოგიერთები კი დღეს ერთს იძახიან, ხვალ — მეორეს, დაირქვეს ოპოზიცია, ხელისუფლების თამაშს თამაშობენ და დამოკიდებულნი არიან უცხო ქვეყნების ცენტრებზე.

***— ვის და რომელ უცხო ქვეყნებს გულისხმობთ, ჩრდილოეთს ხომ არა?***

— ბევრი ოპოზიციონერი იმართება უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისგან, ჩრდილოეთიდანაც და დასავლეთიდანაც. სანამ ჩვენ თვითონ არ ვიქნებით ჩვენი თავის პატრონები, თანამიმდევრულები და შეურიგებლები, მანამდე ყოველთვის მოვხვდებით თაღლითლების ხელში. სააკაშვილიც მთლიანად გარე ძალებზე, ჩრდილოეთზე და დასავლეთზეა დამოკიდებული.

***— სააკაშვილი რუსეთიდან იმართება? ისე, ასეთი რამ არაერთ ოპოზიციონერს უთქვამს...***

— ფაქტია, რომ ენერგოსტრატეგიული რესურსები მთლიანად რუსეთზე აქვს გადაბარებული. ეკონომიკა პრაქტიკულად იქით არის, პოლიტიკური თვალსაზრისით ის სხვა სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებს. ფაქტია, რომ ქართველი ხალხისგან არ იმართება. სააკაშვილი მთლიანად უცხოურ ძალებზეა დამოკიდებული და ძალაუფლების შენარჩუნებას ქვეყნის გაყიდვის და დაშლის ფასად ცდილობს.

***— რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბოკერია ოპოზიციონერის მანტიის მოსხმას აპირებს, თქვენი აზრით, ასეთ გეგმას ნაციონალები რეალურად ამუშავებენ?***

— ასეთი გეგმა, ნამდვილად, არსებობს და ე.წ. ოპოზიციის გარკვეული ძალები ბოკერიასთან თანამშრომლობენ კიდეც.

***— ალასანიას გულისხმობთ? ბოკერიას ქვეყნის უსაფრთხოებაზე სასაუბროდ ის ხვდება ხოლმე და ასეთი ხმებიც ვრცელდება...***

— ყველაფერი ჩანს, ყველაფერი ღიაა, „არა არს დაფარული, რაც არ განცხადდების“. ვიმეორებ, რეჟიმის გადასარჩენად ასეთი გეგმა არსებობს. თუ სააკაშვილს გაუშვებენ, ისეთი ძალით უნდა ჩაანაცვლონ, რომელიც მასზე უარესი დამანგრეველი იქნება და ამ ხელისუფლებიდან იქნება წამოსული. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. ფხიზლად, ქართველებო, ასეთი გეგმა არსებობს. „ნაციონალების“ ხელოვნური გაყოფა უნდა მოხდეს, რომ შემდეგ ისევ მათ ხელში აღმოჩნდეს ძალაუფლება. საბოლოოდ, ან ჩვენ გავხდებით ამ რეჟიმის მესაფლავეები, ან ისინი გახდებიან ჩვენი მესაფლავეები, დღეს ასეთი არჩევანია. მესამე გზა არ არსებობს.

## ტელეკომპანია „მაესტროს“ აქციათა 50% მომღერალ გია გაჩეჩილაძეს გადაეცემა

ტელეკომპანია „მაესტროსა“ და რადიო „ნაცნობს“ შორის შეთანხმება დაიდო, რომლის მიხედვითაც რადიო „ნაცნობი“ ტრანსფორმირდება როგორც რადიო „მაესტრო“, ხოლო ტელეკომპანია „მაესტროს“ აქციათა 50%, 2006 წელს მიღებული შეთანხმების საფუძველზე, მომღერალ გია გაჩეჩილაძეს გადაეცემა.

ამის შესახებ ინფორმაციას „ჟურნალისტ.გე“ ავრცელებს. მათივე ცნობით, რადიო „მაესტრო“ უახლოეს მომავალში მაუწყებლობას სატელიტურ სიხშირეზე დაიწყებს და მას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთაც მოუსმენენ.

— ჩვენ კარგად გვესმის ის პასუხისმგებლობა, რომელიც გვაკისრია და ვთვლით, რომ თავისუფალი მედიის გაერთიანება და გაძლიერება სასარგებლო იქნება როგორც საზოგადოების, ასევე მთელი პოლიტიკური სპექტრისთვის. ტელეკომპანია “მაესტრო“ და რადიო “მაესტრო“ კვლავ იქნება ობიექტური და მიუკერძოებელი მედია საშუალება. მიგვაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც თავისუფალი მედიის როლი განსაკუთრებით საჭიროა დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის, ამ შეთანხმებას დადებითი რეზონანსი მოჰყვება, — აცხადებს ტელეკომპანია „მაესტროს“, რადიო „ნაცნობის“ დამფუძნებელთა სახელით, სტუდია „მაესტროს“ გენერალური დირექტორი ილია კიკაბიძე.

**ინტერპრესნიუსი**

## „რვიანმა“ ხელისუფლება საარჩევნო საკითხებზე მოლაპარაკებების ჩაშლაში დაადანაშაულა

ოპოზიციური „რვიანის“ განმარტებით, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მიმდინარე მოლაპარაკებების გუშინდელი რაუნდი ხელისუფლების წარმომადგენლების მოუმზადებლობის გამო ჩაიშალა.

როგორც გუშინ რესპუბლიკური პარტიის ოფისში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა განაცხადეს, ისევე როგორც დღეს, ხელისუფლებას ხუთთვიანი მოლაპარაკებების მანძილზე ერთხელაც არ ჰქონია სერიოზული შეთავაზება.

„ახალი მემარჯვენეების“ წევრ მამუკა კაციტაძის განცხადებით, დღევანდელი შეხვედრის გადადების რეალური მიზეზი ხელისუფლების წარმომადგენლების მოუზადებლობა და უპოზიციობა იყო.

— პარლამენტში მინისტრების მოსმენა საბაბად იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ მათი მოუმზადებლობა საზოგადოებისთვის შეფარული ყოფილიყო. რეალურად კი მათ შეეძლოთ იქაც მიეღოთ მონაწილეობა და აქაც, — განაცხადა კაციტაძემ და აღნიშნა, რომ ხელისფლება სერიოზულად არ უდგება საარჩევნო გარემოს გაუჯობესებაზე მიმდინარე მოლაპარაკებებს.

როგორც „რვიანის“ წევრი ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მიმდინარე ხუთთვიანი მოლაპარაკებების მანძილზე და არც მისი დაწყების მომენტში ხელისუფლებას არ ჰქონდა ინიციატივა, ნაციონალურმა მოძრაობამ უარი თქვა საკუთარი ხედვის შემუშავებაზე და ხუთი თვის შემდეგ წარუდგინა ოპოზიციურ პარტიებს თავისი ინიციატივა, რაც დიალოგის პროცესში დადგენილ წესს ეწინააღმდეგება.

— მიუხედავად ხელისუფლების არასერიოზული დამოკიდებულებისა, ჩვენ არ ვწყვეტთ მოლაპარაკებებს, მაგრამ ვაცხადებთ, რომ მუშაობის გაგრძელება წარმოგვიდგენია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება სერიოზულ და ადეკვატურ ნაბიჯებს გადმოდგამს. ეს ადეკვატური ნაბიჯები შეიძლება იყოს საარჩევნო სისტემასთან და ბიომეტრიულ პასპორტებთან დაკავშირებული საკითხები. ნებისმიერ ორშაბათს, როდესაც ჩვენ მივიღებთ ხელისუფლების მხრიდან სერიოზულ წიანდადებებს, და არა იმის მსგავსს, რაც მათ მოგვიტანეს, ნებისმიერ შემდეგ ოთხშაბათს ჩვენ მზად ვართ გავაგრძელოთ მუშაობა, მანამდე ჩვენ ვერ ვხედავთ ამ პროცესის აზრს,— განაცხადა რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა და აღნიშნა რომ „რვიანის“ წევრი პარტიები აღარ იქნებიან მომლოდინე პოზიციაში და ხვალიდან ქმედით ნაბიჯებს გადადგამენ.

როგორც ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა აღნიშნეს, თუ ხელისუფლება არ წავა მოლაპარაკებებზე, მაშინ ქვეყანა სხვა არჩევანის წინაშე დადგება — ან ნეობოლშევიზმის გზაზე დამდგარი უზურპატორი ხელისუფლების პირობებში გააგრძელოს ცხოვრება ან მისმა დამამხობელმა ახალმა უზურპატორმა უპატრონოს ქვეყანას.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილი საბრალდებო სკამზე ადვოკატებმა უნდა დავსვათ!

დასაწყისი მე-7 გვერდზე

დათ, რომ სააკაშვილი, კალმახელიძე, კუბლაშვილი, ადეიშვილი და მერაბიშვილი ერთად ანადგურებენ ადვოკატთა კორპუსს. ეს ბრძოლა მე არ უნდა დამეწყო. ესენი პირველად ჟურნალისტებს მისწვდნენ. დემოკრატიის შუქურა „სპეცნაზით“ „იბერიაში“ რომ შევარდა და ჟურნალისტები დაბლა დაყარა, ვინმემ შეიტანა საჩივარი და ამ ადამიანის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება მოითხოვა? ის პროცესი მაშინ რომ დაწყებულიყო, რაც ახლა ადვოკატთა ასოციაციაში დაიწყო, სააკაშვილს წაგებულ არჩევნებს აღარ გაუპრავებდნენ. როდესაც „იმედი“ დაარბიეს, რომელიმე ჟურნალისტმა მოითხოვა სააკაშვილის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება? ჟურნალისტებზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებ, რომ ჟურნალისტი და ადვოკატი თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელები არიან. ამიტომ აქვს ძალიან მწვავე რეაქცია ევროკავშირს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს ადვოკატთა კორპუსისა და ჟურნალისტთა კორპუსის დევნაზე. ჩვენ არ ვართ პოლიტიკური ორგანიზაციები, ჩვენ არ გვაქვს პოლიტიკური ამბიციები, ჩვენ ვართ თავისუფალი პროფესიის ხალხი. იმ ქვეყანაში, სადაც ამ დონეზე იდევნებიან ჟურნალისტები და ადვოკატები, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ციხეში ჩასმის პერსპექტივა. მისი პირველი პირები საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოებისთვის სრულიად მიუღებელ პერსონებად უნდა გამოცხადდნენ. ისინი არ უნდა შეუშვან ევროპის ტერიტორიაზე. სააკაშვილს ამერიკელი მეგობრები პიარს უკეთებენ, სასამართლოს 65-70% ენდობა, ქვეყანაში დემოკრატიზაცია მიდისო. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სააკაშვილს ემსახურებიან, იმდენად გათავხედდნენ, რომ აქებენ ამათ მიერ მიღებულ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, რომელიც ადრე მოქმედ სსს კოდექსზე ბევრად უარესია. ეს არის საშინელება, საზიზღარი ფაქტი. მიხარია, რომ ის დიპლომატიური კორპუსი (რომელიც სააკაშვილს არ ემსახურება), გარკვეული საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროკავშირის ქვეყნების დიპლომატები, ამერიკულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან შედარებით ობიექტურ დასკვნებს დებენ. მიხარია, რომ სააკაშვილმა მათი გასვრა ვერ მოახერხა. როდესაც სააკაშვილის რეჟიმი გასამართლდება, ყველა ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც სააკაშვილს მისთვის სასურველი დასკვნა დაუდო, პასუხს აგებს ქართველი ხალხის წინაშე, როგორც უნამუსო ხელისუფლების, უნამუსო მმართველების „გამპრავებელი“ და ხელშემწყობი.

***— ძალიან მკაცრ განცხადებებს ხომ არ აკეთებთ?***

— არა. პოლიტიკური ფიგურა რომ ვიყო, სხვა განცხადებებს გავაკეთებდი და შეიძლება სხვაგვარადაც მებრძოლა, მაგრამ უფლებათა დამცველი ვარ და ადვოკატის უფლების დარღვევას არავის ვაპატიებ. სააკაშვილს, ადეიშვილს, მერაბიშვილს, კუბლაშვილს და კალმახელიძეს ადვოკატთა დევნას არ შევარჩენ. არც ერთ დიქტატორს არ უკადრია ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის მომწესრიგებელი ბრძანების გამოცემა, როგორც ეს კალმახელიძემ გააკეთა.

***— კალმახელიძემ რა ბრძანება გამოსცა, რას გულისხმობთ?***

— კალმახელიძემ ბრძანებით მოაწესრიგა ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ურთიერთობა. გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად, ადვოკატს შეუძლია ერთ კლიენტს შეხვდეს, შემდეგ გამოვიდეს, ხელახლა გამოიწეროს საშვი, ხელახლა გაჩხრიკონ, ხელახლა უთათუნონ ხელი სხვადასხვა ადგილებში და შემდეგ ისევ შევიდეს. ადვოკატს ხელებს უთათუნებენ, ნარკოტიკი ხომ არ შეგაქვთო. ეს პროცედურა ადვოკატმა რამდენჯერმე უნდა გაიაროს. ეს დამამცირებელი მოპყრობა ადვოკატმა რამდენჯერმე უნდა აიტანოს. ჩვენი ერთ-ერთი ღირსეული ადვოკატი შალვა დოლიძე ერთი თვეა არ შედის თავის შვილთან ვლადიმერ დოლიძესთან, რომელიც უკანონოდ ჰყავს დატყვევებული სააკაშვილის რეჟიმს.

***— რატომ ჰყავს დატყვევებული?***

— საუბარია მამა-შვილ დოლიძეებზე. მამას სთხოვენ, გამოიტანოს სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოდან. იქ რა მოხდა, მე არ ვიცი, მაგრამ პატიმრის მამამ მითხრა, რომ მას საკუთარი შვილით ევაჭრებიან. ვლადიმერ ლოლიძეს უთვლიან, რომ თუ სტრასბურის სასამართლოდან სარჩელს გამოიტანს, მის შვილს გამოუშვებენ. შალვა დოლიძე, რომელიც არის მძიმე ადვოკატი, გუშინ იყო ჩემთან.

***— ადვოკატია?***

— დიახ, ადვოკატია, რომელსაც მე ვიცავდი, როცა დაკავებული იყო. შალვა დოლიძემ მითხრა, რომ ციხეში ერთი თვეა აღარ შედის, რადგან ფეხსაცმელების გახდა მოთხოვეს, დეტექტორის გარეშე ჩხრეკენ და ჯიბეებში ხელებს უყოფენ. ეს მისთვის დამამცირებელია. მან სამჯერ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და სამივეჯერ მიიღო პასუხი, თქვენი განცხადება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს გადაეგზავნაო. კაცი სასჯელაღსრულების დეპარტამენტს უჩივის და პროკურატურა მის განცხადებას ისევ სასჯელაღსრულების დეპარატამენტს უგზავნის, შალვა დოლიძის განცხადება შენ განიხილეო. ამ საკითხზე სახალხო დამცველს უნდა მივმართოთ, ვინაიდან სახალხო დამცველმა საკმაოდ კარგად იმუშავა, როდესაც „დემოკრატიის შუქურამ“ ქალბატონები აუშენებელ ციხეში, ბეტონზე დაყარა და სამოქალაქო საზოგადოება მოატყუა, ახალი და კარგი ციხე გავხსენიო. სახალხო დამცველის წერილმა დაადასტურა, რომ ქალები მოუწყობელ ციხეში გადაიყვანეს და ბეტონზე დაყარეს.

***— ბეტონზე დაყრა რაში დასჭირდათ?***

— „დემოკრატიის შუქურას“ მოუნდა ციხის გახსნა, რომლის ერთი კორპუსი დამთავრებული იყო, დანარჩენი კი — არა. ვინ შეეპასუხებოდა? აქედან გამომდინარე, პატიმარი ქალების მიმართ განხორციელდა წამება, არაადამიანური მოპყრობა. ადვოკატთა ასოციაციამ დააფიქსირა მათი წამება და განგაში ატეხა. ადვოკატთა ასოციაცია ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად გარანტად იქცა. ეს პროცესი გაგრძელდება იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან ბევრი ისეთი ადვოკატი გვყავს, რომელიც იბრძოლებს ადამიანის უფლებების დაცვისთვის. ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოებამ არ იბრძოლა, მე ვიბრძოლებ ადვოკატებისთვის და ადვოკატების უფლებების დაცვით მთელ მსოფლიოს დავუმტკიცებ, რა დონის ბოლშევიკურ რეჟიმთან გვაქვს საქმე. ბოლოს და ბოლოს, ის ამერიკული ორგანიზაციებიც გონს მოეგებიან და „დემოკრატიის შუქურას“ აღარ დაუძახებენ. ამერიკელები უჭერდნენ ხუსეინს მხარს, მაგრამ შემდეგ ამერიკელებმა ჩამოახრჩვეს. ისეთივე ბედი ეწევა ამ უბედურს.

***— ამერიკა კადაფსაც უჭერდა მხარს.***

— მხარს უჭერდნენ, მაგრამ აღარ უჭერენ. დღეს დაიწყო ძალიან მაგარი პროცესი მთელ მსოფლიოში. დიქტატორულ რეჟიმებს ბოლოს მოუღებენ. პირველი, ვისაც ევროპაში ბოლო უნდა მოუღონ და საბრალდებო სკამზე დასვან, სააკაშვილი და მისი მინისტრები არიან. ეს კაცი უნდა დაჯდეს საბრალდებო სკამზე და ყველამ უნდა გაიგოს, რომ სააკაშვილისნაირ რეჟიმებს მომავალი არ აქვთ. მე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, დარწმუნებული ვარ, ასე იქნება. მიხარია, რომ ეს პროცესი საქართველოში მე დავიწყე.

# დანაწევრებული ოპოზიცია ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებს

## რევოლუციის თარიღების დაანონსება არასერიოზულია

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან

*— ქალბატონო ნანა, თქვენ პატიმრების უფლებებს იცავთ, დღეს საზოგადოებრივი მოძრაობები ამ მხრივ გააქტიურდნენ და სიტუაციის გამოსწორებას მოითხოვენ. თქვენ, როგორც ამ სფეროში კარგად ჩახედულს, იქნებ გვითხრათ, რა ხდება რეალურად ამ სისტემაში?*

— ამ თემასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი დაწერილა, მაგრამ რადგან რეაგირება არ ხდება, ალბათ, საჭიროა ხშირად იყოს ამ თემაზე საუბარი. ინტერნეტში თქვენც შეგიძლიათ ნახოთ მონაცემები საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებისა, სადაც ძალიან ნათლად ჩანს ის, რომ საქართველო არის ერთ-ერთ პირველ ადგილზე მსოფლიოში პატიმართა რაოდენობით. ასევე ღირსების შემლახავი მოპყრობა, წამება და შეურაცხყოფა, ეს გახდა პენიტენციალური სისტემის მართვის წესი. მიუხედავად იმისა, რომ იცვლებიან მინისტრები, ხან შაშკინი იყო და ახლა ქალბატონი კალმახელიძეა, ის პოლიტიკა, რომელიც დაამკვიდრა ბაჩო ახალიამ და ის კადრები, რომელიც მან მიიყვანა, ამის განსახორციელებლად, ეს კადრები ისევ იქ არიან წამყვან თანამდებობებზე და ისევ ისინი მართავენ პენიტენციალურ სისტემას. ანუ გარეგნულად იცვლება მინისტრები, ვთქვათ, ის, რომ ბაჩო ახალაიას სახელი იყო წამებასთან და ღირსების შემლახავ მოპყრობასთან გაიგივებული, ეს შეიცვალა, მაგრამ პოლიტიკა არ იცვლება.

*— რამდენად მოჰყვება საზოგადოების გააქტიურებას შედეგი, თუ ამასაც იგნორირებას გაუკეთებს ჩვენი ხელისუფლება?*

— არ ვიცი, ჩვენი ხელისუფლება რას იზამს, მაგრამ იგივე სომხეთში, მაგალითად, საზოგადოების აქტიურობამ მიაღწია იმას, რომ ორი პოლიტპატიმარი გათავისუფლებულია, დარჩენილია 7 პოლიტპატიმარი, რომელზედაც ულტიმატუმ აქვს ხელისუფლებას, რომ 8 აპრილამდე იყოს ეს ხალხი გათავისუფლებული და ძალიან დიდი იმედი აქვთ იქ უფლებადამცველებსაც და ოპოზიციასაც, რომ ეს ადამიანები იქნებიან გათავისუფლებული. საზოგადოების აქტივობას ნამდვილად აქვს შედეგი, თუ ეს არის სერიოზული და მართლაც გრძნობს ხელისუფლება, რომ არ დათმობს საზოგადოება ღირსებას და იმ უფლებებს, რომელიც მათ აქვთ.

*— ჩვენთან ხელისუფლება არც აღიარებს, რომ პოლიტპატიმრები გვყავს ქვეყანაში...*

— კი, ნებისმიერ ხელისუფლებას უჭირს და არ უნდა, რომ აღიაროს, რომ ჰყავს პოლიტპატიმრები, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება აღიარებს თუ არა ამას, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ისეთმა ორგანიზაციებმა, რომლებიც საკმაოდ სერიოზულნი არიან ამ სფეროში, აღიარეს, რომ საქართველოში არიან პოლიტპატიმრები და საქართველოს ხელისუფლებას არ სურს ამ ფაქტის აღიარება.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ მაინც საზოგადოების აქტიურობაზეა ყველაფერი დამოკიდებული?*

— საზოგადოების აქტიურობაზე და წინააღმდეგობაზე, რომ ხელისუფლებამ შეზღუდოს ის უფლებები, რომელიც მან მიიტაცა საზოგადოებისგან, ხალხისგან და დაუბრუნოს ხალხს ის უფლებები, რაც მათ გააჩნიათ და რაც მათ თავისი ნებით არ მიუციათ ხელისუფლებისთვის.

*— ქალბატონო ნანა, მოდით, პოტლიკური პროცესებიც შევაფასოთ. ოპოზიციური ნაწილი ძირითადად ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთი ნაწილი რევოლუციებს აანონსებს, მეორე ნაწილი ხელისუფლებასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით. როგორ ფიქრობთ, რომელი გზა უფრო რეალურია და რამდენად არის ერთ მხარეს ან მეორე მხარეს შანსები?*

— ერთი მხარე მიდის მოლაპარაკებაზე საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით და მეორე მხარე მიდის უფრო ქუჩის აქციებზე და წინააღმდეგობაზე. ერთიც და მეორეც არის ის, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შეიცვალოს ხელისუფლება, იმიტომ, რომ ამ გზით შეიცვლება თუ იმ გზით შეიცვლება, არჩევნები უნდა ჩატარდეს, უნდა იქნეს არჩეული ახალი ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საჭიროა როგორც საარჩევნო გარემოს შეცვლა, ისე ზეწოლა ხელისუფლებაზე, რომ შეცვალოს ეს გარემო და რაც მთავარია, დათმოს ძალაუფლება, რომელიც აქვს მიტაცებული და ხალხს მისცეს იმის საშუალება, თვითონ გადაწყვიტოს, როგორი ხელისუფლება ეყოლება მას.



*— რადიკალური ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ეს დროის ფუჭი კარგვაა, რადგან ხელისუფლება არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებს და ამიტომ რადიკალური ქმედებების განხორციელბა ჯობიაო...*

— ბუნებრივია, ნებით ის არაფერს არ დათმობს და არც ახლა აპირებს რაიმე დათმოს და ბუნებრივია, უნდა იყოს ზეწოლა ქუჩიდან, ეს აუცილებელია. თუმცა, საბოლოოდ მაინც უნდა ჩატარდეს არჩევნები. ვთქვათ, გადადგა ეს ხელისუფლება, ხომ უნდა ჩატარდეს არჩევნები, ანუ საარჩევნო გარემო და საარჩევნო გარემოს შეცვლა მაინც იქნება აუცილებლად საჭირო.

*— სახალხო კრების განცხადებებს რაც შეეხება, ნინო ბურჯანაძე ხმამაღლა აცხადებს, რომ ჩვენს ქვეყანას რევოლუციის გარდა ვერაფერი უშველისო და დააანონსეს კიდეც, რომ მაისის დასაწყისში ისინი რადიკალურ ქმედებს დაიწყებენ. რამდენად რეალურია წინასწარ დაანონსებული თარიღები და თუ ელით აქედან შედეგს?*

— ჩემთვის საერთოდ გაუგებარია ნაწილ-ნაწილ დაანონსება სხვადასხვა თარიღების. ახლა მაინც უნდა მოეგოს გონს ოპოზიცია და მიხვდეს, რომ არ შეიძლება ასე დანაწევრებულად მოქმედება, როდესაც ერთი გზა გაქვთ არჩეული. ასე დანაწევრებული მსვლელობა კი წინ ვერ წაიყვანს. თუკი რაღაცა ნაწილი ოპოზიციური პარტიებისა ფიქრობს, რომ მხოლოდ წინააღმდეგობა და ქუჩის აქციებია გამოსავალი, ეს უნდა იყოს ერთიანი ძალით და არა სხვადასხვა თარიღები და გამოცხადებული დღეები. თუ ერთიანი ძალით არ არის ეს შესაძლებელი და ვერ ხერხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ესენი ვერ შეძლებენ ამას. ყველაზე პირველი, რაც უნდა შეძლოს დღეს ოპოზიციამ, არის ის, რომ ერთ გაზაზე მყოფი ადამიანები მაინც უნდა დადგნენ ერთად და სხვადასხვა მიმართულებით არ უნდა იყურებოდნენ, თუკი ერთი გზა გაქვს არჩეული. მე მგონია, რომ ეს უნდა იყოს ერთიანი თარილი, ეს უნდა იყოს ერთიანი დრო გამოცხადებული და ყველამ ერთიანი ძალისხმევით უნდა განახორციელოს ეს ზეწოლა, იმიტომ, რომ თქვენ იცით, როგორი სისტემა შექმნა ამ ხელისუფლებამ და ღიად აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ჩემი ხერხემალი და ძალა და ძალადობაა ის ძალა, რომელზედაც მე ვდგავარო, ასეთ ხელისუფლებას როგორ შეიძლება ასე დანაწევრებულად ებრძოლოს საზოგადოება. არ შეიძლება დღეს საზოგადოების დაყოფა. ამიტომ ერთიანი ძალით უნდა მოხდეს ხელისუფლებაზე შეტევა. მე ვფიქრობ, რომ უპირველეს ყოვლისა ოპოზიციაა ვალდებული, რომ ეს განახორციელოს და რაღაცნაირად მოახერხოს ამ მიმართულებით გაერთიანება. მაგალითად, რვა პარტია, რომელიც ფიქრობს, რომ არჩევნების გზაა სწორი, ისინი გაერთიანდნენ და ისინი არ იძახიან, რომ მე ეს მინდა, მე ეს მინდა, ვილაცებმა რაღაცები დათმეს, დასხდნენ ერთ მაგიდასთან და საუბრობენ. ასევე ის ძალა, რომელიც ფიქრობს, რომ ზეწოლა და ქუჩაში გამოსვლაა საჭირო, მათაც რაღაცნაირად უნდა დასხდნენ და ერთად მოიფიქრონ, როგორ და რანაირად. არ შეიძლება ასე ცალ-ცალკე თარიღების გამოცხადება.

*— თქვენ პოლიცია და ძალისმიერი მეთოდები ახსენეთ, როგორ ფიქრობთ თუ მართლაც ერთიანი იქნება საზოგადოება, ოპოზიცია, ვერ შეძლებს სააკაშვილი ძალა დაუპირისპიროს მათ?*

— ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ სროლას და უბედურებას ვერ გაბედავს, იმიტომ, რომ მთელს მსოფლიოში არის მაგალითები იმისა, ვინც ეს გაბედა, რა მიიღო და იგივე ლიბიის მაგალითი და სხვა მაგალითები, ალბათ იქნება საქართველოს ხელისუფლებისთვის ძალიან სერიოზული გაფრთხილება იმისა, რომ საკუთარი ხალხის ხოცვა და მათზე ხელის აღმართვა არ დარჩება დაუსჯელი დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს მხრიდან.

*— მოდით, ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებიც შევაფასოთ. ათასნაირი ვერსია ვრცელდება. სააკაშვილს მისივე გუნდი მოიშორებს და მისივე გუნდის წევრით მოხდება ჩანაცვლებაო, თქვენ თუ ფლობთ მსგავს ინფორმაციებს და რამდენად იკრიბება ხელისუფლების ერთი ნაწილი ბოკერია-ბენდუქიძის გარშემო?*

— კი არის ასეთი მცდელობები, ასეთი სიმპტომები იგრძნობა, მაგრამ მე მგონია, ეს ვერ იქნება სერიოზული, იმიტომ, რომ ამ დონეზე საზოგადოების და ხალხის მოტყუება, ვფიქრობ, წარმოუდგენელია. ანუ მე არ მგონია, რომ მათ შეძლონ და შექმნან მართლაც ოპოზიციური ძალა. რას დაირქმევენ ამას, რა მნიშვნელობა აქვს. ხალხი ვერ დაიჯერებს, რომ ეს ოპოზიციაა და მათ არ ექნებათ საზოგადოების მხარდაჭერა. თუ იქ იქნება ღიად ბოკერია-ბენდუქიძე, რა თქმა უნდა, მათ ვერ ექნებათ საზოგადოების მხარდაჭერა.

*— სააკაშვილს რაც შეეხება, რამდენად ექნება მას დასავლეთის მხარდაჭერა, რომ კვლავ დარჩეს ხელისუფლებაში?*

— მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილის ბედი უკვე გადაწყვეტილია და მას არანაირი მხარდაჭერა დასავლეთში აღარ აქვს. კაცი, რომელიც ტრამპთან დარბის იმისთვის, რომ ორი შენობა ააშენოს და სახელი იყიდოს მისგან და ამისთვის პრეზიდენტი ჩადის ამერიკაში, რომ როგორმე ხელი ჩამოართვას ტრამპს და მას მეტი აღარავინ ხვდება. ანდა თუნდაც ორი ცათამბჯენის ასაშენებლად პრეზიდენტი ჩადიოდეს იქით ბიზნესმენთან, თუ გაგიგონიათ ამისთანა რამე? როდესაც ამ დონეზეა უკვე და მას არსად აღარავინ ხვდება და ელაპარაკება და რაღაც გამოგონილ შეხვედრებს აპიარებს, თანაც საკმაოდ წამგებიანს, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მას სერიოზულად აღარ განიხილავენ და პირიქით, ის განცხადებებიც, რომლებიც კეთდება ელჩების მხრიდან საქართველოში და თუნდაც იგივე ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაც ცალსახად არის დაფიქსირებული, რომ როგორი მოკავშირეც არ უნდა იყოს ქვეყანა, თუ იქ ხელისუფლება არღვევს ადამიანის უფლებებს, მას არ ექნება დასავლური და ამერიკული მხარდაჭერა, ეს, რა თქმა უნდა, ცალსახად სააკაშვილს ეხება. მან ეს უნდა იცოდეს და თუ არ იცის, მოვლენები მას ამას დაანახებს.

*— ფიქრობთ, რომ იმედი აღარ უნდა ჰქონდეს მხარდაჭერის?*

— მას პიროვნულად არა. მე არ ვიძახი, რომ გადაწყვეტილია აქ მთლიანად სისტემური ცვლილება, მაგრამ მისი ბედი რომ გადაწყვეტილია, ეს ფაქტია. 2008 წლის მოვლენებიც რომ არ დამთხვეოდა და ის არ ყოფილიყო თავში ჩარტყმული პრეზიდენტი და წაგებულ ომთან ასოცირებული ლიდერი, იგივე შეერთებულ შტატებს რომ არ ენდომება, როგორც მისი ფავორიტი, ამაში ორი აზრი არ არსებობს. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, როგორი სამარცხვინო წაგებით და სამარცხვინო გამოქცევით და ასვალტზე ხოხვით აჩვენა მან მსოფლიოს თავი. თვითონ ამერიკის შეერთებული შტატებიც არანაირად არ შეიძლება იყოს დაინტერესებული, ასეთი მუხლებზე დაჩოქილი და თავში ჩარტყმული ლიდერი ჰყავდეთ საქართველოში.

*— თუმცა, ალბათ, არც ის არის გამორიცხული, რომ შეეცადონ, ამავე გუნდიდან მოხდეს ჩანაცვლება...*

— რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ დასავლეთს ყველაზე მეტი ურთიერთობები და კავშირები სწორედ ამ გუნდთან აქვს და შეეცდებიან ჩანაცვლებას, მაგრამ ვერავინ ვერ ჩამოვა დასავლეთიდან და ხმას ვერ ჩაუყრის ამ გუნდის წევრებს. ეს არჩევანი უკვე ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს. მე მგონი, რანაირი ტექნოლოგიებიც არ უნდა გამოიყენოს დასავლეთმა, მას ძალიან გაუჭირდება, რომ საზოგადოება დაარწმუნოს იმაში, რომ გიგა ბოკერია, ბენდუქიძე და მისნაირები დღეს ქვეყანაში რაიმე სიკეთის მომტანები იქნებიან. მე არა მგონია, რომ ქართველი ხალხი ამაში კიდევ მოტყუვდეს. ეს უკვე მეტისმეტია.

## პრეზიდენტმა მწერალ ზაზა ბურჭულაძეს გამოფხიზლებისკენ მოუწოდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ ქუთაისში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე მწერალ ზაზა ბურჭულაძის სკანდალურ გამოსვლას გამოეხმაურა.

პრეზიდენტის თქმით, ის თავად იყო შეურაცხყოფილი იმ გამონათქვამით, რომელიც, ქუთაისში ჩასულმა ლიტერატურული წრის წარმომადგენალმა გამოიყენა. ზოგიერთმა ვერ შეამჩნია ის ცვლილებები, რომალიც ქვეყანაში მოხდა და ძველ დროში ჩარჩა.

— ზოგიერთმა ვერ შეამჩნია, რომ შეიცვალა ქუთაისიც, შეიცვალა საქართველოც და არავინ მისცემთ მათ საშუალებას, რომ ზემოდან ქვემოთ უყუროს, დასცინოს, აბუჩად აიგდოს, ღირსება შეულახოს და რომელიღაც ძველი ეპოქის წარმოდგენებით და სტერეოტიპებით ელაპარაკოს. გასულიყვნენ მაინც და შეეხედათ ახალი ქუთაისის ცენტრისთვის, კარგად დაეთვალიერებინათ ეგ შენობა და რაც მთავარია, ჩაეხედათ ქუთაისელებისთვის თვალებში და მიმხვდარიყვნენ, რომ ასეთი ტონით მათთან ლაპარაკი არ შეიძლება. დროა, ეს ხალხი გამოფხიზლდეს და მიხვდეს, რომ ის დრო დამთავრდა, ის მენტალიტეტი მომთავრდა და შეწყვიტონ ეს ჩარჩენილობა და გაიხედონ ცოტა წინ, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისში გამართული ლიტერატურული საღამო სკანდალით დასრულდა. ი მწერლები ზაზა ბურჭულაძეს მოსახლეობის შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ. მწერალთა კავშირის წევრების პროტესტ ბურჭულაძის კრიმინალურმა და არაკორექტულმა გამონათქვამმა გამოიწვია, რასაც დარბაზის დატოვება მოჰყვა.

**მედიანიუსი**

## საქართველო სუროგაციის იაფი ბაზარია

სუროგატული დედობის სულიერ-ზნეობრივ ასპექტებზე საქართველოს საპატრიარქოსა და კათოლიკური ეკლესიის ორგანიზებით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციას ზუგდიდ-ცაიშის მიტროპოლიტი მეუფე გერასიმე, ახალციხე-ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი მეუფე თეოდორე, კათოლიკური ეკლესიის მხრიდან კი ვატიკანის ელჩი ამიერკავკასიაში კლაუდიო ბუჯეროტი და კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსი საქართველოში ჯუზეპე პაზოტო ესწრებოდნენ. კონფერენციას ასევე ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გიორგობიანი და საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, არქიმანდრიტი ადამი ხელმძღვანელობდნენ.

კონფერენციაზე გაკეთდა მოხსენება ევროპაში სუროგაციისა და სუროგატი დედების შესახებ. იმსჯელეს საკითხის სულიერ-ზნეობრივ, სამედიცინო და სამართლებრივ ასპექტებზე. როგორც ირკვევა საქართველოს სუროგაციას 3 ცენტრი ემსახურება. ზუსტი ინფორმაცია კი საქართველოში ამ გზით დაბადებული ბავშვების შესახებ, ძირითადად კონფიდენციალურია.

არაოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში სუროგატი დედა ანაზღაურების სახით 10-15 ათას დოლარამდე თანხას იღებს. ამასთან, საქართველო ამ მხრივ ევროპის ქვეყნებისათვის იაფ ბაზარს წარმოადგენს და სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვები, ძირითადად, ქვეყნიდან გაყავთ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ანასტასია ზაქარიაძემ განუცხადა, ევროპის ქვეყნებში სუროგაცია კანონით ისჯება. კერძოდ, ავსტრიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, საფრანგეთში, გერმანიასა და ამერიკის ზოგიერთ შტატებშიც, ასევე. როგორც მან აღნიშნა, საფრანგეთში კანონის დამრღვევი 45 ათასი ევროთი ჯარიმდება და 60-წლიანი ციხით ისჯება. გერმანიაში კი, სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს მოქალაქეობის უფლება არა აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

## ცესკო საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს მეხუთე შეხვედრას გამართავს

სასტუმრო “ქორთიარდ მარიოტში“ ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს მეხუთე შეხვედრას გამართავს. შეხვედრის თემა იქნება „საარჩევნო სისტემები და საარჩევნო ადმინისტრაციები“, კერძოდ, განიხილება სხვადასხვა ქვეყნებში არსებული საარჩევნო სისტემების მოდელები. პრეზენტაციას საბჭოს წევრი, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ხელმძღვანელი თამარ ჟვანია წარადგენს, — აცნობეს „მედიანიუსს“ ცესკოდან.

შეხვედრაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მოწვეულ სტუმრებს გააცნობს კომისიის ახალ ინიციატივას, ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე ფორუმის შექმნის შესახებ. ამ ეტაპზე აღნიშნული ფორუმი მხოლოდ საკონსულტაციო საბჭოს წევრებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. საბჭოს წევრები ონლაინ რეჟიმში გააგრძელებენ იმ თემებზე მსჯელობას, რაც საბჭოს შეხვედრებზე განიხილება. უახლოეს მომავალში საარჩევნო ადმინისტრაციის ვებ გვერდს ასევე დაემატება ფორუმი, ნებისმიერი დაინტერესებული ვიზიტორისათვის.

ცესკოს მიერ ჩამოყალიბებულ საბჭოს შემადგენლობაში შედიან საარჩევნო საკითხებში ჩართული პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია საშუალებების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

**მედიანიუსი**

# რატომ არ სჯიან კახა ლომაიას

## რამ უნდა გადაარჩინოს საქართველო - ტურიზმმა თუ სოფლის მეურნეობამ

შორენა კოწოწაშვილი

**ახალი მემარჯვენეების წევრი ფიქრია ჩიხრაძე გარკვეული მინისტრების პასუხისმგებლობას გამოკვეთს, თუმცა ეჭვი ეპარება იმ ოპოზიციონერების გულწრფელობაში, ვინც რევოლუციას აანონსებს. რამდენად მომგებიან სიტუაციაშია ოპოზიციური რვიანი და რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ რუსეთის მსო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ფიქრია ჩიხრაძესთან.**

*— ქალბატონო ფიქრია, რამდენად ტრიალებს რევოლუციის სუნი ქვეყანაში?*

— საზოგადოებაში პროტესტი ბუნებრივად არსებობს. ძალიან ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც ბევრი ადამიანის გულს, სულს, ოჯახს, ჯიბეს ეხება და ბუნებრივია, საზოგადოებას ამაზე ძალიან მძაფრი რეაქცია აქვს. მაგრამ მეორე საქმეა, ეს რეაქცია როგორ შეიძლება იქნას გამოხატული. მე ამ წუთში გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოება არის თუ არა მზად პროტესტი ქუჩაში გამოსვლით რომ გამოხატოს. ჩვენში პროტესტი მხოლოდ ამას ჰქვია, თუ ქუჩაში გამოდიხარ და გადაბმულად დგახარ. მაგრამ მე ცოტა მაეჭვებს, რიგი პოლიტიკური ძალების ეს დამოკიდებულება, რომ ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე აუცილებლად რაღაც საპროტესტო მუქარის ტალღა იწყება, რომელიც მერე არაფრით მთავრდება. საბოლოო ჯამში, ხალხი რჩება იმედგაცრუებული, ხელისუფლება — უფრო გაძლიერებული. იმაზე დაყრდნობით, რა ინფორმაციაც გამაჩნია და რა პოლიტიკური გამოცდილებაც დამიგროვებია ამ ხნის განმავლობაში, ვფიქრობ, რაიმე რევოლუციურ ცვლილებებს ამ თვალსაზრისით ამ გაზაფხულზე არ უნდა ველოდოთ. ასე რომ, იმ ადამიანების გულწრფელობაში ცოტა ეჭვი მეპარება, ვინც ამ რევოლუციურ ცვლილებებს აანონსებს და საზოგადოებას რევოლუციას ჰპირდება.

*— რევოლუციური არჩევნებიც მიუღწევლად გეჩვენებათ, რისთვისაც ირაკლი ალასანია და მისი გუნდი ემზადება?*

— არ ვიცი. ეს რას გულისხმობს, კონკრეტულად ირაკლი ალასანიას უნდა ჰკითხოთ. მე ერთი რამ ვიცი: როგორი გზითაც არ უნდა განვითარდეს საქართველოში პროცესი, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეს ის საქმეა, რომელსაც არ უნდა მოეშვას არც ერთი პოლიტიკური ძალა. ეს არის საქმე, რომლითაც მერე ყველა ისარგებლებს, თუკი გამოვიდა. თუ რაღაცა ისე არ გამოვიდა, როგორც საჭიროა, მერე ჩვენ ძალიან გავილახებით, ასე ვთქვათ, პოლიტიკური სპექტრისაგან. მაგრამ ჩვენ ამის ნამდვილად არ გვეშინია. აბსოლუტურად გაცნობიერებული გვაქვს იმ გზის აუცილებლობა, რომელ გზასაც ამ შემთხვევაში ვადგავართ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ რაღაც ხელშესახები შედეგი წამოვიღოთ. ამ ეტაპზე ეს შედეგი არანაირად არ ჩანს. ან არადა, ყველას ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც ვუთხრათ, რომ საქართველოს ხელისუფლება მიუხედავად ამდენი შეგონებისა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან თუ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ხელმძღვანელების მხრიდან, ქმედით ნაბიჯებს მაინც არ დგამს. ეს პროცესი თვეების განმავლობაში მიმდინარეობს. ვინც ამ პროცესს თვალს ადევნებს, იმის რწმენა ნამდვილად გაუჩნდა, რომ ოპოზიცია ამ კუთხით ძალიან სერიოზულად იყო მომზადებული და შეიარაღებული. ამაში იმას ვგულისხმობ, რომ რვა აბსოლუტურად სხვადასხვა პოზიციის, პოლიტიკური გემოვნების, წარსულისა და მომავლის მქონე პოლიტიკური ძალა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხებზე ჩამოყალიბდა და ერთიანი პოზიციით წარდგა საზოგადოებისა და ხელისუფლების წინაშე. მაგრამ ხელისუფლების პოზიცია ამდენი ხნის განმავლობაში იყო ხან დროის გაჭიმვის, ხან ჩამოუყალიბებელი შეთავაზებების მცდელობა. საბოლოოდ, რაც მათ შემოგვთავაზეს, ეს არის აბსოლუტურად გალმა-გამოღმა ლაპარაკის პრეცედენტი.

*— რატომ?*

— იმიტომ, რომ ჩვენ აბსოლუტურად სხვა თემებზე ვითხოვდით მათგან პასუხს და პასუხისმგებლობას და მათ სრულიად სხვა მიმართულებებით შემოგვთავაზეს გარკვეული თემები. ის თემები, რომელიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მათ შორის სიების შედგენისა და საარჩევნო სისტემის ნაწილში, იქ აბსოლუტურად ისეთი პოზიცია იქნა შემოთავაზებული, რომლის მიღებაც წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ოპოზიციურ რვიანს დღეს უდგას პერიოდი, როცა ერთი ეტაპი დამთავრდა ყველას ხედვების წარმოდგენისა და ამ შემთხვევაში აუცილებელია რაღაც ახალ ეტაპზე გადასვლა, როდესაც ჩვენ ჩვენი ბრძოლის ახალი ეტაპის სტრატეგიას უფრო მკაფიოდ ვეტყვით საზოგადოებას. დანარჩენს



დრო გვაჩვენებს. და კიდევ ერთი: მე პირადად, არა მგონია, რომ ეს საქმე არის მხოლოდ ოპოზიციური რვიანის. ყველა ის ადამიანი, ვისაც განცდა აქვს, რომ საქართველოში ევოლუციური განვითარება სჯობს რევოლუციურ განვითარებას, მე ვფიქრობ, მინიმუმ ამ პროცესს უნდა გულშემატკივრობდეს და მაქსიმუმ რაღაც ტიპის ჩართულობა უნდა ჰქონდეს ამაში. დღეს ეს, სამწუხაროდ, ნაკლებად ჩანს, რაც გულდასაწყვეტია.

*— ოპოზიციის ყოველი გააქტიურებისას ხელისუფლება რუსულ ინტერესსა და რუსულ ფულზე მიანიშნებდა. დღეს ამ კუთხით აქცენტი არ ჩანს. რა შეიცვალა?*

— ვფიქრობ, თუ დასჭირდათ, გააცოცხლებენ. ცოცხალი მაგალითებიც ექნებათ იმის საილუსტრაციოდ, რომ აქ სადღაც რუსული კვალის მოძებნა მოინდომონ.

*— ფიქრობთ, რომ რუსულ კვალს ხელისუფლება მაინც გამოკვეთს ოპოზიციასთან მიმართებაში?*

— თქვენ როგორ ფიქრობთ, მანამ, სანამ არანაირი რეალური საფუძველი არ ჰქონდათ, მაინც იგონებდნენ ასეთ რამეებს და ახლა, როცა ნინო ბურჯანაძის და ზურაბ ნოღაიდელის ფოტოები და კადრები აქვთ პირდაპირ პუტინთან გადაღებული, ამას რომ გამოიყენებენ, ამას ლაპარაკი რად უნდა. მე არც ის მგონია, რომ ე.წ. „კოჭოიებისა“ და სხვათა საქმეები სპეციალურად ნიადაგის მოსამზადებლად არ სჭირდებოდეთ, თუკი ასეთი რამ დასჭირდათ. ანუ იგივე „იმედთან“ ე.წ. აფეთქებები თუ დივერსიული აქტები.

*— როგორ შეაფასებდით ნინო ბურჯანაძის განცხადებას, რომელიც ფიქრობს, რომ გარკვეული ოპოზიციური ძალები ხელისუფლებაზე ადრე ჩაირეცხება? ბურჯანაძემ იმათზე მიანიშნა, ვინც სახალხო კრების გვერდით არ დადგება და ხელისუფლებასთან გარიგებაში შევა.*

— ამ მიმართულებებით, ვფიქრობ, შეიძლება ყველას მიმართ არა, მაგრამ იმ პოლიტიკური ძალების მიმართ, ვინც ბურჯანაძესაც აკრიტიკებს და სააკაშვილთან ერთად მას ძალიან ბევრი საკრიტიკო ჰქონდა, არის, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტული. დანარჩენი მისი საქმეა.

*— ხელისუფლების ცვლილების რამდენიმე ვერსიაზეა ბოლო დროს საუბარი. რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების პოზიციას რუსული მხარის მიერ ისეთი განცხადებები მოჰყვა, რომ ჩვენ მაინც გავხდებით მსო-ს წევრები საქართველოს ხელისუფლებაზე ამერიკელების ზეწოლით და საქართველოში კი, ასე ვთქვათ, ეკონომიკური წნეხი და პოლიტიკური ცუნამი გაძლიერდებაო.*

— რუსეთში გაკეთებულ ამ განცხადებებს სერიოზულად ნუ მივიღებთ. ჩვენი პარტიის პოზიცია დავით გამყრელიძემ გააცნო საზოგადოებას. რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა წარმოადგენს მსოფლიო თანამეგობრობის აქტიურ ინტერესს, ეს არ არის დამალული. ამას აშკარად ღიად ლობირებს აშშ, ევროპის ქვეყნები. მათ ერთი მხრივ, ძალიან სურთ რუსული ბაზრების მოპოვება და მეორე მხრივ, ძალიან უნდათ რუსეთი იმ თამაშის ერთიან წესსა და სივრცეში ჩაითრიონ, რომელიც გარკვეულწილად რაღაცა ბერკეტებს უქმნის ამ სტრუქტურების მონაწილე სახელმწიფოებს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვთვლით, რომ საქართველომ რაციონალური პოზიცია უნდა გამოიმუშაოს. თუკი ეს პროცესი არის გარდაუვალი და საერთაშორისო თანამეგობრობას ეს ძალიან სჭირდება, ჩვენ გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რომლითაც ჩვენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებსაც დავიკმაყოფილებთ და არა უბრალოდ პოზაში ჩავდგებით და ვიტყვით, რომ ერთი ნაბიჯით უკან არ მოვიცვლით — რუსეთის წინაშე დავაყენებთ მხოლოდ დეოკუპაციის საკითხს. ყველა გვეუბნება — ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებიც და გულშემატკივრებიც, რომ ვეცადოთ ეკონომიკური საკითხები წამოვწიოთ წინა პლანზე. დღეს თუ ჩვენ ვამბობთ, რომ რუსული ბაზარი მნიშვნელოვანია ძალიან დიდი ქვეყნებისთვისაც, რომლებსაც სხვა ბაზრებიც აქვთ მსოფლიოში, მით უმეტეს, მნიშვნელოვანია ეს ბაზარი საქართველოსთვის. იცით, რომ ეს ბაზარი 2006 წლის ე.წ. ჯაშუშური სკანდალის გამო დაკეტილია საქართველოსთვის. ამან საქართველოს რეგიონებს, სოფლის მეურნეობას და ზოგადად საქართველოს ეკონომიკას ძალიან დიდი ზიანი მიაყენა. თუკი ჩვენ მსო-ში რუსეთის გაწევრიანებით მოვახერხებთ და ისეთ პოზიციას წარმოვადგენთ, რომ რუსეთის ბაზარს დავიბრუნებთ და პოლიტიკურ საკითხებს გავმიჯნავთ ეკონომიკური საკითხებისაგან, მე ვფიქრობ, ამით საქართველოს სახელმწიფო მხოლოდ მოიგებს. იმიტომ, რომ ამ მზარდი ინფლაციის პირობებში ჩვენ სასწრაფოდ და სასიცოცხლოდ გვესაჭიროება ახალი, უფრო სწორად ძველი გასაღების ბაზრების აღდგენა, რომ სოფელში გლეხმა ამოისუნთქოს და აზრი ჰქონდეს მის მიერ რაიმე პროდუქციის მოწევას. მხოლოდ ეს არ არის. ლაპარაკია იმაზე, რომ რაკი რუსეთის მოქალაქეებს აქვთ გამარტივებული სავიზო რეჟიმი საქართველოსთან, ანალოგიური მიმოსვლის უფლება ჰქონდეთ ქართველებსაც. იმიტომ, რომ საშუალო და ზედა ასაკის თაობამ ძირითადად მაინც ბიზნესურად, ეკონომიკურად აი, ამ ბაზარზეა ორიენტირებული და ჩვენ მას არ უნდა ჩავუხერგოთ ეს გზა. ამავე დროს ევროკავშირისაგან ჩვენ მოვითხოვოთ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების უფრო ქმედითად და უფრო სწრაფ დროში ამუშავება, რომ საქართველოს სახელმწიფოს რაიმე ტიპის გასაქანი ეკონომიკური თვალსაზრისით ჰქონდეს. თორემ ჩვენ დღითიდღე უფრო დაგვიმძიმდება ეს ვითარება.



*— თუ საქართველო რუსულ ინტერესებს იგნორირებას გაუკეთებს და არ შეცვლის დეოკუპაციის მოთხოვნას მსო-ში გაწევრიანების სანაცვლოდ?*

— თუ ჩვენ ძალიან გავჯიქდებით, ყველამ იცით, რომ იქ არსებობს მექანიზმები, რომ რუსეთი ჩვენი თანხმობის გარეშეც შევიდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. უბრალოდ, იქ კონსენსუსს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება და უფრო ფასეულია, მაგრამ თუკი ეს კონსენსუსი ვერ შედგება, მერე ჩვენ გარეშე ოფიციალურად არსებობს გზები იმ ვალდებულების დაწესების თანახმად, რომ შეიძლება რუსეთის მიღება. მე არა მგონია, რომ ამ შემთხვევაში მოგებული დავრჩეთ, თუ ჩვენ გაბუტულ მდგომარეობაში დავრჩებით და სანაცვლოდ ვერაფერს ვერ მივიღებთ. ამიტომ, მე ვფიქრობ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენს პარტნიორებთან ერთად მნიშვნელოვანი მოთამაშე გავხდეთ ამ პროცესში და მნიშვნელოვანი სარგებელი მივიღოთ ჩვენი სახელმწიფოსთვის და ეკონომიკური ინტერესებისთვის.

*— დაბოლოს, პარლამენტში დაიწყო მთავრობის წევრების მოსმენა. რომელიმე მინისტრის პასუხისმგებლობა ხომ არ იკვეთება ამ დროისთვის და უნდა დადგეს თუ არა იგივე სოფლის მეურნეობის მინისტრის გადადგომის საკითხი?*

— ეს საკითხი შეფასდა, როგორც უპრეცედენტო მოვლენა პარლამენტარიზმის ისტორიაში. ვფიქრობ, საკითხის ამგვარი შეფასება არის ისეთი დიდი უვიცობა, რომ მეტი არ შეიძლება. ჯერ ერთი, პარლამენტი იმისთვის არსებობს, რომ სწორედ საპარლამენტო კონტროლი ხორციელდებოდეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ის, რომ ამ პარლამენტში ეს არ ხდება, ეს არის უპრეცედენტო და არა ის, რომ პარლამენტმა როგორღაც მოიფიქრა, რომ მონისტრების მოსმენა მოახერხოს. არათუ საპარლამენტო ისტორიაში, ზოგადად საქართველოს უახლოეს საპარლამენტო ცხოვრებაშიც კი, ეს ჩვეულებრივი რამ იყო. საპარლამენტო საათის პრაქტიკა არსებობდა და მინისტრების დაბარება ხდებოდა. უბრალოდ, სააკაშვილის ხელისუფლებამ კონსტიტუციური უმრავლესობის პირობებში ეს პრაქტიკა ამოძირკვა და ახლა ამის გაკეთება პიარულად დასჭირდათ. პასუხისმგებლობას რაც შეეხება, იმდენად გაუმჭვირვალეა საქართველოში სამინისტროების ქმედება, იმდენად აბდაუბდა ნაბიჯებია ყველა მიმართულებით გადადგმული, რომ ინფორმაციის განსაჯაროების შემთხვევაში ძალიან ბევრი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დაისვას. ვთქვათ, იგივე განათლების სამინისტროში რაც ხდება, იყო აბსოლუტურად სხვა პოლიტიკური ხაზი, შენ მოგწონდა თუ არა, ეს მეორე საკითხია და ჩვენ ლომაიას რეფორმის ყველაზე აქტიური კრიტიკოსები ვიყავით. მაგრამ მერე ლომაიას ხაზი შეიცვალა სრულიად საპირისპირო მიმართულებით, პირობითად ამას შაშკინის ხაზი დავარქვათ და შაშკინიც ბედნიერია და ლომაიაც. თუ ის შეცდომა იყო, მაშინ რატომ არ ითქმის მინიმუმ საყვედური მაინც ლომაიას კურსზე? ან პასუხისმგებლობის საკითხი რატომ არ დგება იმ ადამიანების, ვისაც არასწორად მიყავდა განათლების პოლიტიკა?! თუ ის სწორი იყო, მაშინ ახლა რატომ ხდება შეცვლა და საერთოდ, ვინ არის ამ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი? იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკის სფეროში, სოფლის მეურნეობის სფეროში. გუშინ სოფლის მეურნეობა იყო აბსოლუტურად აუტსაიდერის სფერო საქართველოს ხელისუფლებისთვის. როცა ჩვენ ვაყენებდით საკითხს, რომ სოფლის მეურნეობას მეტი ყურადღება მიქცეოდა, გვეუბნებოდნენ, რომ ეს დარგი არის ჩამორჩენილი და თქვენი ხედვაც არის ჩამორჩენილი იმიტომ, რომ თანამედროვე სახელმწიფოს არ სჭირდება სოფლის მეურნეობის განვითარება და სჭირდება მხოლოდ ტურიზმი. დღეს უცებ აღმოჩნდა, რომ ტურიზმი აღარ ყოფილა ისე გადამრჩენი საქართველოსი და თურმე ქვეყანა სოფლის მეურნეობამ უნდა გადაარჩინოს. ვინ ტყუოდა პრეზიდენტი სააკაშვილი, პრემიერი ნიკა გილაური, მინისტრი ბაკურ კვეზერელი თუ ტუროზმის დეპარტამენტის ვინმე წარმომადგენელი, ეს აუცილებლად გასარკვევია.

## ამნიაშვილების ოჯახი დახმარებას ითხოვს

სოფელ წილკანში სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომელიც ხანძრის გამო, უსახლკაროდ დარჩა დახმარებას ითხოვს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ოჯახის დიასახლისმა ზაირა სეთურმა განუცხადა, დაპირების მიუხედავად მათ დასახმარებლად ამ დრომდე არავინ მისულა.

მცხეთის რაიონის გამგებლის მოადგილის თამაზ ცოფურაშვილის განცხადებით, გამგეობა დაზარებულ ოჯახს აუცილებლად დაეხმარება.

— სწორედ ახლა განვიხილავთ აღნიშნული ოჯახის საკითხს და გადავწყვეტთ, რა ფორმით დავეხმარებით. ხვალისთვის გადაწყვეტილება მიღებული იქნება. დაზარებულებს, შესაძლებლობის ფარგლებში, დახმარებას აუცილებლად გავუწევთ, — აღნიშნა ციკურიძემ.

20 მარტს მოულოდნელად გაჩენილი ხანძრის შედეგად ამნიაშვილების საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაიწვა. ოჯახს სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

**მედიანიუსი**

## უგო ჩავესი: მარსზე ცივილიზაცია არსებობდა, თუმცა ის კაპიტალიზმმა გაანადგურა

ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესის განცხადებით, პლანეტა მარსზე სიცოცხლე და ცივილიზაცია არსებობდა, თუმცა ის მას შემდეგ დაიღუპა, რაც მარსზე კაპიტალიზმმა და იმპერიალიზმმა მიაღწია.

„როიტერის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ჩავესმა კარაკასში, წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე გააკეთა.

ჩავესი არ გამორცხავს, რომ მარსის ბედი დედამიწამაც გაიზიაროს. მისი თქმით, კაპიტალიზმის გამო ცივილიზაცია შესაძლოა ჩვენს პლანეტაზეც განადგურდეს.

— ამის დასტურად შეხედეთ იმ ადგილებს, სადაც ადრე ტყე და წყალი იყო, დღეს იქ მხოლოდ უდაბნოა, — განაცხადა ჩავესმა და დასავლეთის ქვეყნები ლიბიაში სწორედ ბუნებრივი რესურსების, კერძოდ ნავთობის ინტერესის გამო შეჭრაში დაადანაშაულა.

**მედიანიუსი**

გერა მამულაშვილი

# არჩევნების სამართლიანობაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციას და საზოგადოებას ეკისრება

**საქართველოში პოლიტიკური ბლოკები დიდი სიცოცხლისუნარიანობით არ გამოირჩევიან. არჩევნების წინ სახელდახელოდ შექმნილი გაერთიანებები, კენჭისყრის შემდეგ უკვე აღარავის ახსოვს. მიუხედავად ამისა, ქართულ პოლიტიკაში პოლიტიკური ბლოკები კვლავ აქტუალური თემაა.**

მორიგი გაერთიანება „ეროვნულმა ფორუმმა", „ტრადიციონალისტების კავშირმა" და „ქალთა პარტიამ" ჩამოაყალიბეს. ახალ ბლოკს „ეროვნული ფორუმი" ჰქვია, რადგან ქალთა პარტიის ლიდერ გუგული მაღრაძის თქმით, ეს სახელწოდება უკვე პოლიტიკური ბრენდი გახდა. მისი თქმით, ბლოკი ყველა პოლიტიკური გაერთიანებისთვის ღია იქნება, რომელიც მისი დამფუძნებლების პოზიციას გაიზიარებს.

ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერის, აკაკი ასათიანის განცხადებით, ახალი ბლოკი საარჩევნო არ იქნება და არჩევნებზე მონაწილეობას არ მიიღებს.

— ვფიქრობთ, ადეკვატური რეაგირებისთვის გამოწვევებზე, რომლებიც საქართველოს წინაშე როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში დგას, საჭიროა სერიოზული მომზადება მმართველი პარტიის შეცვლისთვის, რომელიც თავისი მოქმედებებით ადასტურებს, რომ სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლის რესურსები არ გააჩნია, — აცხადებს გუგული მაღრაძე.

მისივე თქმით, იმ ოპოზიციური პარტიების წინაშე, რომლებიც ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობენ, დგას ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნის ამოცანა, რომელიც ქვეყანას შექმნილი სიტუაციიდან ყველაზე მცირე დანაკარგებით და რისკებით გამოსვლაში დაეხმარება.

— ჩვენ შემხვედრი ნაბიჯი გადავდგით და შევქმენით ბლოკი, რომელსაც „ეროვნული ფორუმი" დავარქვით, რადგან ეს პოლიტიკური ბრენდია, რომელსაც მოსახლეობა იცნობს. ბლოკი ყველა პოლიტიკური გაერთიანებისთვის ღია იქნება, რომელიც ჩვენს პოზიციას იზიარებს, — აღნიშნა მაღრაძემ.

„ეროვნული ფორუმის" ლიდერი კახა შარტავა ამბობს, რომ სამივე პარტიას ბევრი რამ აერთიანებს.

— ჩვენ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანთან ძველი ურთიერთობები გვაქვს და მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი პოლიტიკური საკითხებისადმი საერთო დამოკიდებულება გვაქვს. რამდენადაც ვაკვირდები, საქართველოს ქალთა პარტიასაც პრაქტიკულად ასეთივე პოლიტიკური ორიენტირები აქვს, ასე რომ, ჩვენი თანაარსებობისთვის და თანამშრომლობისთვის პრობლემებს ვერ ვხედავ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს, — აცხადებს კახა შარტავა.





როგორც „ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე აკაკი ასათიანი ამბობს, ოპოზიციურ პარტიებს კარგი ორგანიზაცია სჭირდებათ იმისთვის, რომ წარსულის შეცდომები თავიდან იქნეს აცილებული.

— 2009 წელს, სამი თვის მანძილზე ასეულ ათასობით ადამიანი საპროტესტო აქციაზე გამოვიდა, მაგრამ მათ არანაირი ორგანიზებულობა არ ჰქონდათ, არანაირი პოლიტიკური მიზანი არ არსებობდა. მათ რომც დაემხოთ პრეზიდენტი სააკაშვილი, არავინ იცოდა, რა უნდა გაკეთებულიყო ამის შემდეგ. საქართველოში ასეთი რამ უკვე ორჯერ მოხდა: თავდაპირველად დაამხეს კომუნისტები, მაგრამ მაშინ რაღაც იდეოლოგია მაინც იყო — ვიბრძოდით დამოუკიდებლობისთვის. შემდეგ გადააგდეს გამსახურდია და ამის შემდეგ სამი წელიწადი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ჩვენ საკუთარ თავს ამის უფლებას ველარ მივცემთ, — აცხადებს აკაკი ასათიანი.

მისი თქმით, მათ, ვისაც არ აქვს პოლიტიკური, იდეოლოგიური და პირადული პრობლემები, პოლიტიკურ ბლოკში უნდა გაერთიანდნენ.

— ვისთანაც არ გამოვა — მოქმედებების კოორდინაცია უნდა მოხდეს, ხოლო ვისთანაც არც ეს გამოვა — თუნდაც კონსულტაციების დონეზე საკუთარ მოქმედებებზე საქმის კურსში უნდა ჩავაყენოთ, — ამბობს ასათიანი.

როგორც „ეროვნული ფორუმის" ლიდერი ამბობს, სამივე პარტია სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე ერთიან შეხედულებებს იზიარებენ.

— რა თქმა უნდა, საქართველოში პარტიების მემარჯვენეებად და მემარცხენეებად დაყოფა ძალზე პირობითია, თუმცა, ეკონომიკაზე და სოციალურ პოლიტიკაზე შეხედულებების მიხედვით „ეროვნული ფორუმი", ტრადიციონალისტები და ქალთა პარტია უფრო „მემარჯვენე" პარტიები არიან. შემდგომში უფრო ნათელი იქნება, რომელი პარტიები აღმოჩნდებიან უკიდურესი მემარჯვენეები, რომლები — მემარცხენე ცენტრისტები; მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, საქართველოში სოციალური მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ თვით მემარჯვენე პარტიებსაც კი მემარცხენე პოზიციებიდან გამოსვლები უწევთ, — ამბობს კახა შარტავა.

როგორც თავად ახალი ბლოკის ლიდერები აღიარებენ, საქართველოში, როგორც წესი, პოლიტიკური გაერთიანებები ხშირად იშლებიან, ვერ აღწევენ რა, რაიმე განსაკუთრებულ შედეგებს.

— ეს რომ ჩვენთან არ მოხდეს, შევეცდებით დავრჩეთ და ვიმუშაოთ იმ მომენტამდე, როდესაც სამივე პარტია ჩათვლის, რომ მივაღწიეთ რაღაც შედეგს, რომელსაც ჩვენ შევაფასებთ როგორც გამარჯვებას, — ამბობს შარტავა.

ახალი ბლოკის პარტიები პირველ შედეგად თვლიან ცვლილებების შეტანას საარჩევნო კანონმდებლობაში იმ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელშიც სახელისუფლებო პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და შვიდი ოპოზიციური გაერთიანება შედიან.

— საჭიროა ყველა იმ მექანიზმის ნეიტრალიზება, რომლებიც ჩვენ სამართლიან არჩევნებს გვართმევენ. ანდა, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოქმედმა რეჟიმმა აღიაროს, რომ მის პირობებში საქართველოში სამართლიანი არჩევნები არასოდეს ყოფილა და არც იქნება. ეს ასევე შედეგია, რომელზეც ადეკვატური რეაგირება არის საჭირო.

მაგრამ აღნიშნულ რეაგირებაზე პასუხისმგებლობა უკვე ოპოზიციას და საზოგადოებას დაეკისრება და უკეთესად რომ მოვემზადოთ, სწორედ ამისთვის იქმნებიან პოლიტიკური გაერთიანებები და ბლოკები, რომლის მაგალითსაც ბლოკი „ეროვნული ფორუმი" წარმოადგენს, — ამბობს შარტავა.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ სამი პარტიის გაერთიანება საქართველოს პოლიტიკურ განლაგებაში არსებით ცვლილებებს ვერ შეიტანს.

— რა თქმა უნდა, ამ სამ პარტიას ბევრი საერთო ჰქონდა — მათ ძალიან სერიოზული დამოკიდებულება აქვთ პოლიტიკისადმი, აწონილ-დაწონილი და რაციონალური მიდგომები. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ეროვნული ფორუმი" მთელი წლის მანძილზე ოპოზიციურ პარტიებს შორის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ამავე დროს ტრადიციონალისტებმა და ქალთა პარტიამ პასიურობა გამოიჩინეს. თუკი ისინი მეთოდებს არ შეცვლიან, მაშინ ახალი ბლოკი არაფერს მოგვცემს. ყველაფერი დამოკიდებულია ამ პარტიების შესაძლებლობაზე, საკუთარი მუშაობის ორგანიზება მოახდინონ, — ამბობს რამაზ საყვარელიძე.

# ქართველ ხელოვნებს ჰოლივუდურ ვარსკვლავებს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ჟურნალისტებისა და ქართული კულტურის წარმომადგენლებისთვის ახალი ვარსკვლავის პრეზენტაცია გამართა.

როგორც პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, მთლიანად იცვლება „ვარსკვლავის" დიზაინი — ფორმა, მასალა, შრიფტი და ფერები. ადამიანის სახელთან და გვართან ერთად მასზე დატანილი იქნება მინიჭების თარიღი და ხელოვნების მოღვაწის ის სფერო, რომელშიც მას ვარსკვლავს უხსნიან. დათო ოქიტაშვილის ინიციატივით გახსნილი ვარსკვლავებისგან განსხვავებით, ახალი ვარსკვლავი წითელი ფერის და ხუთქიმიანი იქნება. როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ახალი ვარსკვლავი ჰოლივუდური ვარსკვლავის მსგავსი იქნება, ის ბუნებრივი გრანიტისგან დამზადდება და არ გაცვდება, რაც მთავარია, გაუძლებს დროს.

ახალი ვარსკვლავის პრეზენტაციაზე მიწვეული იყვნენ ის ადამიანებიც, რომლებსაც უახლოეს მომავალში მათი სახელობის ვარსკვლავები ექნებათ. ამიერიდან, ვარსკვლავის გახსნასთან ერთად, მის ავტორს სპეციალური, ჩარჩოში ჩასმული სამახსოვრო ვარსკვლავიც გადაეცემა. პირველი, ვინც განახლებული ვარსკვლავის მფლობელი გახდება, ანსამბლ „რუსთავის" ქორეოგრაფი, ლეგენდარული მოცეკვავე ფრიდონ სულაბერიძეა. 25 მარტს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ფრიდონ სულაბერიძის ვარსკვლავი განახლებული დიზაინით გაიხსნება.

ვარსკვლავის პრეზენტაციაზე ცნობილი გახდა, რომ შეიცვლება „ვარსკვლავის" მინიჭების წესიც. კულტურის სამინისტროში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც იმსჯელებს, ვის გაუხსნან ვარსკვლავი და ვის — არა. იქნება თუ არა ამ კომისიაში ვარსკვლავების გახსნის ინიციატორი და ფუძემდებელი დავით ოქიტაშვილი, ჯერჯერობით უცნობია.

კულტურის სამინისტროში გამართულ პრეზენტაციაზე მრავლად იყვნენ ის ადამიანები, რომელბსაც უკვე აქვთ ვარსკვლავი და ის ხელოვანებიც, ვისაც ვარსკვლავებს მომავალში გაუხსნიან. პრეზენტაციას თავად კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა უძღვებოდა, მან შეკრებილ საზოგადოებას ისიც ამცნო, რომ ყველა იმ ადამიანს, ვისაც ვარსკვლავი უკვე აქვს, მაგრამ ახალი ფორმატის ვარსკვლავი უფრო მოსწონს, აქვს უფლება შეცვალოს ძველი ახლით და ამაზე კულტურის სამინისტრო თავად იზრუნებს.

განახლებული ვარსკვლავის პრეზენტაციაზე იმყოფებოდნენ ნანი ბრეგვაძე, გივი ბერიკაშვილი, ბუბა კიკაბიძე, ეკა კახიანი, ზაალ ჩიქობავა, ჯემალ ღაღანიძე, ფრიდონ სულაბერიძე. პრეზენტაციაზე მყოფმა ჯაზმენმა თამაზ (თათუზა) ყურაშვილმა და მსახიობმა გივი ბერიკაშვილმა ძველი ვარსკვლავის დიზაინი გააკრიტიკეს და ძველის ახალი ვარსკვლავით შეცვლის სურვილი გამოთქვეს. ძველი ვარსკვლავის კრიტიკისგან თავი შეიკავა მომღერალმა ნანი ბრეგვაძემ, ბუბა კიკაბიძე კი გამოვიდა ინიციატივით — ახალ ვარსკვლავს ქართულთან ერთად დაემატოს ინგლისურენოვანი წარწერაც, რადგან საქართველოში მომრავლებულმა ტურისტებმაც შეძლონ წაკითხვა ვის გაუხსნეს ვარსკვლავი და რა დამსახურებისთვის.

ვარსკვლავის გახსნის ინიციატივა ხელოვნების მოღვაწეთა პროფკავშირების ხელმძღვანელს დავით ოქიტაშვილს ეკუთვნის. სწორედ მან გაუხსნა პირველი ვარსკვლავი 2000 წელს თბილისის საკონცერტო დარბაზის წინ ნინო რამიშვილს. თბილისის გარდა, ვარსკვლავების გახსნის ტრადიცია საქართველოს სხვა ქალაქებშიც დამკვიდრდა. დავით ოქიტაშვილის ინიციატივით თბილისში სულ კულტურის მოღვაწეთა 45 ვარსკვლავია გახსნილი.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

— ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ნებისმიერი ქართველი ხელოვნისთვის ვარსკვლავის გახსნის გადაწყვეტილება არ იქნება ერთპიროვნულად მიღებული. ეს იქნება კომისიასა და სამინისტროს შორის კოორდინაციის შედეგი. საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ვარსკვლავი იქნება ერთნაირი. იგი არ იქნება ეგზოტიკური იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ ეგზოტიკური ქვეყანა და არც პროვინციული იმიტომ, რომ საქართველო არ არის პროვინცია. ვარსკვლავი უნდა იყოს არა ლოკალური ფორმის, არამედ გლობალური დიზაინით, რადგან „ვარსკვლავებს" ანიჭებენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არიან მსოფლიო ნიჭის პატრონები და სიმბოლოები.

***— კომისიაში ვინ იქნებიან გაერთიანებული?***

— ჯერჯერობით უცნობია, კომისიის შემადგენლობა, მაგრამ იმისთვის, რომ ამა თუ იმ ხელოვნისთვის ვარსკვლავის მინიჭება მიკერძოებულად არ მოხდეს, ამ კომისიის არსებობა აუცილებელი და გარდაუვალია. კულტურის სამინისტრო და სპეციალური საბჭო ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტენ ვინ იმსახურებს ვარსკვლავს. უახლეოს მომავალში კომისია შეიკრიბება და მასმედიას ამის შესახებ გაცნობებთ.

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამკითხველო დარბაზები დაიხურა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში პირველ და მეორე კორპუსებში განთავსებული სამკითხველო დარბაზები დაიხურა. ეს გადაწყვეტილება ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთა საბჭომ მიიღო.

სამკითხველო დარბაზების დახურვის მიზეზი შენობის რთული მდგომარეობა გახდა. როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში შენობას არც სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარებია და არც მისი მდგომარეობა შესწავლილა სიღრმისეულად.

დიმიტრი ყიფიანის სახელობის საერთო დარბაზში, ივანე მაჩაბლის სახელობის სამეცნიერო და სერგი მესხის სახელობის პერიოდულ გამოცემათა დარბაზებში მუშაობა ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათოა. ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთა საბჭო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებით მომსახურების ალტერნატიული ფორმების შემუშავებაზე მუშაობს.

როგორც „ახალ თაობას" ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, სამკითხველო დარბაზები ნამდვილად სავალალო მდგომარეობაში იყო. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ აქტიური მკითხველი სხვადასხვა სამკითხველო დარბაზებში გადანაწილდნენ.

ვინაიდან სამკითხველო დარბაზები საშიშია როგორც იქ მომუშავე პერსონალისთვის, ასევე აქტიური მკითხველისთვის, დარბაზები დახურულია, თუმცა, რამდენად გახანგრძლივდება ეს პროცესი, ჯერჯერობით უცნობია.

უკვე ყოველგვარი პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გარეშე, შეუიარაღებელი თვალით, ჩვეულებრივი გარეგანი დათვალიერებითაც ჩანს, რომ შენობები ავარიულ მდგომარეობაშია. ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დასკვნა, სადაც წერია, რომ „შენობის მდგომარეობა საგანგაშოა."

ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთა საბჭო მუშაობს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებით მომსახურების ალტერნატიული ფორმების შემუშავებაზე.

ამის პარალელურად, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მიიღო ელექტრონული წერილი „ნიპონის ფონდიდან" (იაპონური საქველმოქმედო ფონდი, რომელმაც 2010 წელს საჩუქრის სახით ეროვნულ ბიბლიოთეკას გადმოსცა 100 წიგნი თანამედროვე იაპონიის შესახებ). 11 მარტის მოვლენების შემდეგ ფონდი აგროვებს შეწირულებებს. შეწირულებების გაკეთება შესაძლებელია საკრედიტო ბარათების საშუალებით „ნიპონის ფონდის" ვებგვერდზე. 21 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა ბორის გაგუამ, იაპონიის ელჩისადმი მიწერილ წერილში გამოხატა ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების მწუხარება და თანადგომა.

რაც შეეხება 22 მარტიდან დახურულ სამკითხველო დარბაზებს, ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიხსნება ისინი და ჩაუტარდებათ თუ არა მათ რესტავრაცია.

# ტიტანების ტრიუმფი



დიდი მწერალი დავით კლდიაშვილი ადამიანის სულის სიღრმეში წვდომის იშვიათი უნარით ძერწავს როგორც ღირსეული მამულიშვილების სახეს, ასევე გაღორებული სახელმწიფო „მოღვაწეების“ ბუნებას. ამ მხრივ ნამეტნავად დღესაც აქტუალურია გენიალური ბელეტრისტის კალმით მიქარგ-მოქარგული ქმნილებები, რომლებმაც არა მარტო მშობლიური კუთხე-კუნჭული მოიარა, არამედ ტრიუმფით იმოგზაურა ევროპის ქვეყნებშიც. მაგონდება სახელოვანი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილისა და მისი აღზრდილი, უნიჭიერესი მსახიობების მიერ სასწაულებრივად განსცენირებული „ბაკულას ღორების“ პეტრეს ქალაქში გასეირნება, გიორგი ტოვსტონოგოვის დიდ თეატრში სპექტაკლის დაწყების წინ და შემდეგ მაყურებლის აღტაცება, ხანგრძლივი ტაშის გრიალი, მოწონების შეძახილები, ყვავილებით აღვსილი სცენა და საინტერესო გულთბილი შეხვედრები.

დაბოლოს, ამ სტრიქონებთან ერთად, ხალხის უსაყვარლესი გაზეთის ძვირფას მკითხველს მოკრძალებით ვთავაზობ კინომსახიობთა თეატრის ერთგული თანამგზავრის, ფოტოხელოვან იური მეჩითოვის მიერ პეტერბურგში, 1985 წლის გასტროლების დღეებში გადაღებულ, დღემდე გამოუქვეყნებელ სურათს. მასზე გამოსახულნი არიან მარცხნიდან: მიმდინარე 2011 წლის იუბილარი მიხეილ თუმანიშვილი, ამ ტექსტის (85 წლის) დამწერი, ვანო (ვანიჩქა) საყვარელიძე და ნევისპირელი ქალბატონები.

*ბიძინა გეგეშიძე*

# ლევან წულაძე დეკამერონს წარმოადგენს

ეკა ირემაშვილი



მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი პრემიერისთვის ემზადება. სულ მალე თეატრის მოყვარულ საზოგადოებას რეჟისორი ლევან წულაძე ახალ სპექტაკლს შესთავაზებს. რეჟისორმა თავისი არჩევანი ამჯერად ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონზე“ შეაჩერა. წინასაპრემიერო გაწამაწია დასასრულს უახლოვდება, მარჯანიშვილის თეატრი კიდევ ერთ ახალ წარმოდგენას გამოიტანს მაყურებლის სამსჯავროზე.

ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი თავად ლევან წულაძეა, რეჟისორის ასისტენტი — თემო კუპრავა, რეჟისორის თანაშემწე — თეონა აფციაური, კომპოზიტორი — ვახტანგ კახიძე, კოსტიუმების მხატვარი — ნინო სურგულაძე, ქორეოგრაფი — გია მარღანია. სპექტაკლში დაკავებულ მსახიობებს სპორტული ილეთების შესწავლაც დასჭირდათ. ამაში მსახიობებს შოთა სხირტლაძე დაეხმარა.

ლევან წულაძის ახალ სპექტაკლში მონაწილეობენ მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ზაზა გოგუაძე, ბექა გოდერძიშვილი, ბაია დვალიშვილი, მარლენ ეგუტია,ზაზა იაქაშვილი, პაატა ინაური, ჯაბა კილაძე, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, ეკა ნიჟარაძე, ონისე ონიანი, ზაზა სალია, ელენე საზანდარიშვილი, დავით ქუთათელაძე,მაკა შალიკაშვილი, გივი ჩუგუაშვილი, მარიამ ჩუხრუკიძე, ქეთი ცხაკაია, ნინო წულაძე და დავით ხურცილავა.

რეჟისორი სპექტაკლზე წინასწარ არ საუბრობს, იგი მხოლოდ ამას დასძენს: „ამბავი ჩვენ მიერ დავიწყებული მომავლის შესახებ... ამბავი, რომელიც ღრმა ძილში ნანახი სიზმარივით მუდამ ჩვენთანაა, მაგრამ გალვიძებულებს არასდროს გვახსოვს“.

# გიგო გაბაშვილს დიდუბის პანთეონში გადაასვენებენ

ეკა ირემაშვილი

ცნობილ ქართველ მხატვარს გიგო გაბაშვილს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენებენ. მას შემდეგ, რაც ვაკის სასაფლაოზე მწერლის მიტოვებულ საფლავს მიაგნეს, დედაქალაქის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, მხატვარი დიდუბის პანთეონში იქნეს გადასვენებული.

გიგო გაბაშვილი ვაკის სასაფლაოზე, ყველაზე ძველ ნაწილშია დაკრძალული. იქ თავის დროზე პანთეონი უნდა გაკეთებულიყო, თუმცა, ეს არ მოხერხდა. გიგო გაბაშვილი 1936 წელს გარდაიცვალა და იგი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. ვინაიდან მხატვარს შთამომავლები არ ჰყავდა, მისი განსასვენებელი წლების განმავლობაში მიტოვებული იყო.

გიგო გაბაშვილი ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი დამფუძნებელია. ის კერძო სამხატვრო სკოლაში სწავლობდა, თანამშრომლობდა ბატალისტ რუბოსთან, რომელიც თბილისის სამხედრო-ისტორიულ მუზეუმისათვის ხატავდა სურათებს. სხვადასხვა წლებში სწავლობდა პეტერბურგისა და მიუნხენის სამხატვრო აკადემიებში. შუა აზიაში მოგზაურობისას ქართველმა მხატვარმა უამრავი ჩანახატი და ეტიუდი ჩამოიტანა, რომლებიც მოგვიანებით სურათებისთვის გამოიყენა. გიგო გაბაშვილმა იტალიასა და საბერძნეთშიც იმოგზაურა. პირველი პერსონალური გამოფენა კი თბილისში მოაწყო. გიგო გაბაშვილი პედაგოგობითაც იყო დაკავებული და თბილისში დააარსა სამხატვრო სტუდია. იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი პროფესორი.

გიგო გაბაშვილის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინეს ქართველ სამოციანელთა მოწინავე იდეებმა და რუსულმა რეალისტურმა მხატვრობამ. მან ერთ-ერთმა პირველმა დაამკვიდრა ჩვენში საბოლოოდ ევროპული მხატვრობის ფორმები. გიგო გაბაშვილი მუშაობდა ზეთის საღებავებით, აკვარელით, აქვს კალმით ნახატებიც. მისი ნამუშევრების თემატიკა მრავალფეროვანია. მან შექმნა მთელი სერია ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტებისა. იგი პირველი მერცხალია ქართული ჟანრული და ბატალური მხატვრობისა.

გიგო გაბაშვილის ნამუშევარი „ბაზარი სამარყანდში“ 2006 წლის აპრილში ნიუ-იორკის ქრისტის აუქციონზე 1 მილიონ 136 ათას დოლარად გაიყიდა, თუმცა, არც მყიდველი და არც გამყიდველი ამ დრომდე ცნობილი არ არის.



ვაკის სასაფლაოზე მდებარე მხატვრის საფლავის ქვა მიწით იყო დაფარული. დაზიანებულია თავად საფლავის ქვაც, რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში დამზადდა. თბილისის მთავრობა უახლოეს სხდომაზე მიიღებს დადგენილებას გიგო გაბაშვილის დიდუბის პანთოენში გადასვენებასთან დაკავშირებით. უკვე ცნობილია, რომ ყველანაირ ხარჯებს თბილისის მერია აანაზღაურებს.

# დონ ჟუანის კოსტიუმზე ხელოვნების სასახლეში იზრუნებენ

ეკა ირემაშვილი

24 მარტს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმს კიდევ ერთ ძვირფას კოსტიუმს გადასცემენ. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მმართველი ზურაბ გეწაძე, მსახიობი ზურაბ ყიფშიძე და მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი ხელოვნების სასახლეს ესტუმრებიან და მუზეუმს მუდმივ მფლობელობაში გადასცემენ მათთვის უძვირფასეს რელიკვიას — მიხეილ თუმანიშვილის გახმაურებული სპექტაკლის „დონ ჟუანის“ მთავარი გმირის კოსტიუმს. მემორიალურთან ერთად გამორჩეულად აღნიშვნის ღირსია კოსტიუმის მხატვრული ღირებულებაც — ის შეკერილია ხელით, დამზადების დროს კი გამოყენებულია ძვირფასი მასალები და ქსოვილები.

დონ ჟუანის კოსტიუმი 1981 წელს ცნობილი ქართველი მხატვრის გოგი ალექსი-მესხიშვილის ესკიზების მიხედვით შეიქმნა. ამავე სახელწოდების სპექტაკლი მიხეილ თუმანიშვილმა დადგა, მთავარ როლს ზურა ყიფშიძე თამაშობდა და მასვე ეცვა ეს კოსტიუმი. „დონ ჟუანმა“ თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე მსოფლიოს საუკეთესო „დონ ჟუანის“ ათეულში დასახელდა. ამ სპექტაკლის ნახვის შემდეგ აღფრთოვანებულმა პიტერ ბრუკმა განაცხადა — თუ გსურთ იხილოთ ნამდვილი მოლიერი, წადით საქართველოში და ნახეთ „დონ ჟუანი“!

კინომსახიობთა თეატრისთვის უძვირფასესი კოსტიუმის მუზეუმისთვის გადაცემის ცერემონიალი 24 მარტს დავით არსენიშვილის საგამოფენო დარბაზში შედგება.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, კიდურების სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. გადასახადის ოდენობა თითოეული პაციენტისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად: ტელ: 899-97-85-46; 53-44-39, რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

# დავიდ ტრეზეგე: „თამაშის არგენტინაში გაგრძელება მსურს"

**მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი დავიდ ტრეზეგე ამჟამად ესპანური „ერკულესის" ღირსებას იცავს. თუმცა, მისი გუნდი პრიმერა დივიზიონის დატოვების საფრთხის წინაშეა და არ არის გამორიცხული, მომავალი სეზონიდან ახალ კლუბში ვიხილოთ.**



თუ სად სურს კარიერის გაგრძელება ტრეზეგეს, ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

***— ტურინის „იუვენტუსს" კლუბის ისტორიაში ყველაზე მძიმე მომენტში უერთგულეთ, როცა „კალჩპოლის" სკანდალის აგორების შემდეგ გუნდი სერია ბ-ში დააქვეითეს. იმხანად ბევრი ავტორიტეტული კლუბი თავისთან გეპატიჟებოდათ, თქვენ კი მაინც „იუვეში" დარჩენა ამჯობინეთ.***

— ტურინელებთან ერთად ოთხი სკუდეტო მოვიგე. უსამართლო გადაწყვეტილებით, ორი საჩემპიონო ტიტული „იუვენტუსს" ჩამოართვეს. ამის მიუხედავად, ნებისმიერი ჩვენგანი 2005 და 2006 წლების მაისში მოპოვებულ მედლებს სავსებით დამსახურებულად მიიჩნევს. ფეხბურთელებმა ტიტული თამაშით დავიმსახურეთ და დარწმუნებული ვარ, მოვა დრო, როცა ამ სკუდეტოებს „იუვეს" დაუბრუნებენ. დაბალ ლიგაში დაქვეითება კი მართლაც მძიმე გადასატანი იყო. კარგად მახსოვს ბარიში, 2005-06 წლის ჩემპიონატის ბოლო მატჩის შემდეგ ბიჭები ერთმანეთს ვეუბნებოდით, შვებულებისას კარგად დავისვენოთ, შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ვითამაშოთ. ორი თვის თავზე კი თავზარდამცემი გადაწყვეტილების თაობაზე შევიტყვეთ. გუნდიდან წამყვანი ფეხბურთელები ზლატან იბრაჰიმოვიჩი, პატრიკ ვიეირა, ფაბიო კანავარო, ემერსონი წავიდნენ. ურთულესი არჩევნის წინაშე დავდექი, მაგრამ საბოლოოდ დარჩენის გადაწყვეტილება მივიღე იმ იმედით, რომ „იუვესთან" ერთად კიდევ მივაღწევდი დიდ გამარჯვებებს. საბედნიეროდ, ჩვენმა მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა, დიდიე დეშამმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. მას ხელი მაურო კამორანეზიმ, ალესანდრო დელ პიერომ, პაველ ნედვედმა, ჯანლუიჯი ბუფონმა დიდად შეუწყვეს, კარგად ათამაშდნენ ჯოვინკო, მარკიზიო, კიელინი, ურიგოდ არც მე გამოვიყურებოდი. გუნდში მხოლოდ თანამოაზრეები დარჩნენ, რის შემდეგაც „იუვენტუსი" ერთ მუშტად შეკრულ ოჯახს ჰგავდა. მიუხედავად იმისა, წინასასეზონოდ ქულები რომ დაგვაკლეს, უძლიერესთა რიგებში თამაშის უფლება ტურნირის დასრულებამდე ადრე გავინაღდეთ.

***— სერია ა-ში დაბრუნების შემდეგ რა მიზანს ისახავდით?***

— მოულოდნელად დამრიგებლის პოსტი დეშამმა დატოვა, მის ნაცვლად კლაუდიო რანიერი მოიწვიეს და მანაც კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. კლუბთან ახალი კონტრაქტი გავაფორმე იმ იმედით, რომ „ბებერი სინიორა" ძველებურად საჩემპიონო გუნდი გახდებოდა. თავიდანვე მეორე ადგილზე გავედით, რამაც ოპტიმისტურად განგვაწყო, მაგრამ შემდეგ მივხვდით, „ძველი" „იუვენტუსის" დასაბრუნებლად კიდევ საკმაო დრო იყო საჭირო. კონტეს, ფერარას, პესოტოს, მონტეროს, იულიანოს გვერდიგვერდ მითამაშია. ისინი გუნდში გამარჯვების მენტალიტეტს აყალიბებდნენ, ეს კი თანდათან გაქრა.

***— საბოლოოდ „იუვენტუსთან" განშორება მოგიწიათ.***

— ამ ნაბიჯის გადადგმა რამდენჯერმე გადავწყვიტე, მაგრამ მაინც გუნდში ვრჩებოდი. „იუვე" ძალიან მიყვარს და მასთან განშორება მიმძიმდა. კლუბმა ერთგულება არ დამიფასა. განა ადვილია სერია ბ-ში ითამაშო, როცა წამყვანი ლიგების მოწინავე კლუბები გეპატიჟებიან! უფრო მაღალ ხელფასზე უარი ვთქვი, რადგანაც მეგონა, ტურინში კვლავ ტიტულებს მოვიგებდი. როდესაც 2006 წლის ზაფხულში კლუბში გამოვცხადდი, დოკუმენტები კარგად არც კი წამიკითხავს, „იუვენტუსთან" ახალ ხელშეკრულებას ისე მოვაწერე ხელი. სამწუხაროდ, 2006 წლიდან მოყოლებული, არაფერი მოგვიგია.

***— ტურინიდან წასვლისას გულშემატკივრებს შემდეგი სიტყვებით დაემშვიდობეთ — „იუვენტუსი" ცხოვრების ბოლომდე მეყვარება.***

— ამ სიტყვებს ახლაც სიამოვნებით წარმოვთქვამ. სწორედ „იუვენტუსმა" ჩამომაყალიბა სრულფასოვან ფეხბურთელად და მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდი. როდესაც გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდებოდა, ეს ნამდვილი ტრაგედია იყო. ბიჭები დათრგუნულები ვიყავით და რამდენიმე დღის განმავლობაში საკვებისკენ გახედვაც არ გვინდოდა. ტურინში ახალგაზრდა ჩავედი და საკლუბო ატმოსფერომ მომხიბლა. „იუვენტუსი" მხოლოდ გამარჯვებისთვისაა შექმნილი, მის შავ-თეთრ მაისურს კი განსაკუთრებული დატვირთვა აქვს — მას მხოლოდ ღირსეული ფეხბურთელები და ადამიანები უნდა იცვამდნენ.

***— კარიერის გაგრძელება „ერკულესში" რატომ გადაწყვიტეთ?***

— „იუვენტუსი" ჩემ დატოვებას აღარ აპირებდა. კლუბის ხელმძღვანელებმა არაორაზროვნად მიმანიშნეს, ახალი გუნდი უნდა ავაშენოთ და აქცენტს ახალგაზრდა იტალიელ ფეხბურთელებზე გავაკეთებთო. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ხასიათზე დავდგებოდი ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ. 10 წელი „იუვენტუსს" ერთგულად ვემსახურე, ძნელბედობისას არ მივატოვე... სხვა რა დამრჩენოდა, ჩემოდნები ჩავალაგე და შესაფერის წინადადებას დაველოდე. ჩემი ცოლი ალიკანტედანაა და როდესაც „ერკულესმა" კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა, მის წინადადებას დავყაბულდი. კლუბის მადლობელი ვარ. ბოლოს და ბოლოს, კვლავ ვიგრძენი, დავიდ ტრეზეგე გუნდს რომ სჭირდება. იანვარში სხვა კლუბში გადასვლა შემეძლო, მაგრამ არ ვარ ის ადამიანი, რომელიც დაწყებულ საქმეს შუა გზაზე მიატოვებს. მომავალ სეზონს რაც შეეხება, გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, ისე კი, დიდი სურვილი მაქვს, არგენტინაში ვითამაშო.

***— ტურინელი ქომაგები მატჩების მსვლელობისას თქვენთვის მიძღვნილ სიმღერებს ასრულებენ, როდესაც რომელიმე მოთამაშე ხელსაყრელ სიტუაციას ვერ გამოიყენებს, ტრიბუნებზე გაისმის, ტრეზეგე რომ ყოფილიყო, ამ საგოლე მომენტს ხელიდან არ გაუშვებდაო.***

— ამისთვის „იუვეს" ტიფოზების მადლიერი ვარ. ვიმედოვნებ, მათთან ურთიერთობის საშუალება კიდევ მომეცემა.

# პრშოს ქართველები ახსოვს და ხორვატიის ეიმედება

საქართველოსა და ხორვატიის ნაკრებების ევრო-2012-ის შესარჩევი მატჩი აქტუალური არამარტო საქართველოშია, ამ თამაშს დიდი ყურადღებით ელიდებიან ჩვენი მეტოქე გუნდის ქვეყანაშიც.

ხორვატიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, სლავენ ბილიჩს საქართველოს ნაკრებთან 26 მარტს გასამართ შეხვედრაში ჯანო ანანიძის შესაძლო არყოფნა ახარებს.

— ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. ანანიძე მოაზროვნე ფეხბურთელია. 19 წლისაა და მისი ნიჭი ევროპაში უძლიერეს ფეხბურთელად გახდომის საშუალებას აძლევს. რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა არ ვიცი, მაგრამ მოხარული ვიქნები, თუ ანანიძე არ ითამაშებს. საქართველოში მოსაგებად მივდივართ, მაგრამ ამის გაკეთება იოლი არ იქნება. საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ აქვს და უაღრესად მოტივირებული იქნება. მეტოქე პატივისცემას იმსახურებს. მათ ევროპის ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევ ციკლში ჯერ თამაში არ წაუგიათ და ამიტომ, გამარჯვებას მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ. თბილისში ჯგუფის სხვა გუნდებთან არსებული უპირატესობის შენარჩუნების შანსი გვაქვს. თუმცა, ჯგუფში ბრძოლა შესარჩევი ციკლის ბოლომდე გაგრძელდება, — განაცხადა ხორვატიის ნაკრების თავკაცმა.

ხორვატიის ეროვნული გუნდისა და ლონდონის „ტოტენჰემის" შემტევი ნახევარმცველი ნიკო კრანჩარი თვლის, რომ თბილისში საქართველოს ნაკრების დამარცხება რთული იქნება, თუმცა, ის საკუთარ გუნდს მაინც უკეთესად მიიჩნევს.

— წინა შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს ნაკრების დამარცხება მისსავე მოედანზე ძნელი იქნება, მაგრამ უკეთესი გუნდი გვყავს, თუ თითოეული სათამაშო რგოლის მიხედვით ვიმსჯელებთ. თუმცა, ეს მოედანზე უნდა დავამტკიცოთ. მომავალ მატჩს მოუთმენლად ველი. ვთვლი, რომ საქართველოსთან ჩასატარებელ ორ შეხვედრაში და ისრაელთან გასამართ ერთ მატჩში, ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად მნიშვნელოვანი ნაბიჯი შეგვიძლია გადავდგათ, — წერია კრანჩარის სიტყვები ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე.

ქართველი გულშემატკივრებისთვის ასევე კარგად არის ნაცნობი ხორვატიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი დადო პრშო, რომელსაც თავის დროზე შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსში" შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის მხარდამხარ უთამაშია. მისი სიტყვები უეფას ვებგვერდზეა გამოქვეყნებული და ცხადია, ისიც თავის ქვეყნის გუნდს ანიჭებს უპირატესობას.

— მიზანი ძალიან უბრალოა, ხორვატიას 6 ქულა სჭირდება. ორ ქართველ ფეხბურთელთან ერთად მითამაშია და ვიცი მათი დონე. საქართველოში ფეხბურთი უყვართ და ფრთხილად უნდა ვიყოთ. ქაღალდზე თითქოს ადვილია დაგეგმილი ქულების აღება, მაგრამ ზოგჯერ საქართველოს მსგავსი გუნდებიც სიურპრიზს ამზადებენ. სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. საქართველოს ნაკრები ძლიერია და ჩვენ პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ, მაგრამ ერთი მიზანი გვაქვს: ორივე მატჩის მოგება, — ამბობს ხორვატიის ნაკრების ექსფორვარდი.

პრშომ 6 ქულის აღება საქართველოსთან ორ მატჩში იგულისხმა — 26 მარტისა და 4 ივნისის ევროშესარჩევ შეხვედრებში.

პრშო მიიჩნევს, რომ ხორვატიის ახლანდელი ნაკრები 2004-2006 წლების ნაკრებზე ძლიერია, სადაც თავად თამაშობდა.

— ძალიან კარგი გუნდი გვყავს და ძლიერი მწვრთნელიც, რომელმაც შტაბში კომპეტენტური ხალხი შემოიკრიბა. სლავენ ბილიჩი ნამდვილი მწვრთნელი-ტალანტია და როცა დრო მოვა, თავაწეული დატოვებს პოსტს. ბილიჩის ნაკრებს გამოკვეთილი სათამაშო სტილი აქვს, ამასთან, მან კარი გაუღო ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებიც სწრაფად პროგრესირებენ. ნაკრები სანახაობრივად ლამაზ და აზრიან ფეხბურთს თამაშობს, ანუ ისეთ სტილს, როგორსაც ჩემი ნაკრებში ყოფნისას ვერ აჩვენებდა. ჩვენ ასე ლამაზად ვერ ვთამაშობდით. ლუკა მოდრიჩმა, ნიკო კრანჩარმა, ვედრან ჩორლუკამ და სხვებმა ბევრი ახალი რამ ისწავლეს ევროპაში, პირველ რიგში, „ფიზიკაში" მოუმატეს, რადგან ინგლისური პრემიერლიგა დიდ გამძლეობასა და ფიზიკურ დატვირთვებს მოითხოვს, — დასძინა პრშომ.

დადო პრშოს 32-ჯერ აქვს ნათამაშევი ქვეყნის მთავარ ნაკრებში და 9 გოლი გაუტანია.

**მიშელ პლატინი პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს**

ის, რაც 3 თვის წინათ გახდა ცნობილი, გუშინ უკვე ოფიციალურად დადასტურდა — მიშელ პლატინი უეფას 2015 წლამდე უხელმძღვანელებს. გასული წლის დეკემბერში, როდესაც კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადა ამოიწურა, პრეზიდენტობის მსურველი მხოლოდ პლატინი იყო და რა გასაკვირია, რომ მან ევროპული ქვეყნების ფედერაციების ნდობა მოიპოვა. უეფას წევრი 53 ეროვნული ასოციაციიდან პლატინის მხარი ყველამ დაუჭირა.

როგორც ხდება ხოლმე, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, პლატინიმ კომენტარი გააკეთა:

— 4 წლის წინათ, როდესაც პირველად ამირჩიეს პრეზიდენტად, მადლობა გადავუხადე ჩემს ძველ მეგობრებს, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე მედგნენ გვერდით. დღეს, მინდა მადლობა ვუთხრა ახალ მეგობრებს, რომლებიც ამჟამად დგანან ჩემ გვერდით. უპირველესად, მადლობას ვუხდი საფეხბურთო ასოციაციებს ნდობის გამოცხადებისთვის.

საპრეზიდენტო არჩევნების გარდა, სხდომაზე აირჩიეს უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრებიც, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ: ანხელ მარია ვილარ ლონა (ესპანეთი) — 47 ხმა; შენეს ერკიზი (თურქეთი) — 42; პეტერ გილიერონი (შვეიცარია) — 40; გრიგორი სურკისი (უკრაინა) — 38; ბორისლავ მიხაილოვი (ბულგარეთი) — 28; სერგეი ფურსენკო (რუსეთი)— 27; მირჩა სანდუ (რუმინეთი) — 15.

# ქეცბაიამ კოშკაძეს უხმო

საქართველოს ნაკრები ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" კი შეიკრიბა, მაგრამ უკვე 2 ვარჯიში ეროვნულ სტადიონზე ჩაატარა. როგორც ჩანს, ქეცბაიას სურს ფეხბურთელები იმ საფარს შეაჩვიოს, რომელზეც ხორვატებთან მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება.

ქეცბაიას რაზმში ერთი ცვლილებაა. როგორც ჩანს, საბოლოოდ, გამოირიცხა ჯანო ანანიძის თამაში და მის ნაცვლად მწვრთნელმა თბილისის „დინამოს" ნახევარმცველ ალექსანდრე კოშკაძეს უხმო.

ასევე გაურკვეველია კახა კალაძის თამაშიც. თუმცა, იმედები ჯერ კიდევ არის.მთლიანად გუნდი კი ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი და ახლა ყველაფერი მათსავე ხელშია.

**ლევან კობიაშვილი:**

— ხორვატიის ნაკრებზე ჩემი ლაპარაკი ზედმეტია. ყველამ ვიცით, რა ძლიერ მოწინააღმდეგესთან მოგვიწევს თამაში. მიმაჩნია, რომ შემადგენლობის მხრივ არა მხოლოდ ჩვენს ჯგუფში, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრებია. რთული მატჩი გველის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენც თავდაჯერებულები ვართ, რადგან კარგა ხანია, სწორ გზაზე ვდგავართ და იმედია, შაბათსაც ასე გავაგრძელებთ.

**ალექსანდრე ამისულაშვილი:**

— ხორვატია ჩვენს ჯგუფში საუკეთესო გუნდია და ძალიან რთულ შეხვედრას ველით. თუმცა, ყველაფერს გავაკეთებთ, საჩვენო შედეგს რომ მივაღწიოთ. ეს დამოკიდებული იქნება გულშემატკივარზეც. თუ სტადიონი ბოლომდე გაივსება, დიდი ძალა შეგვემატება. ბოლოს მალტას შინ ძალიან დაძაბულ შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით რომ მოვუგეთ, ამაში უდიდესი როლი სწორედ გულშემატკივარმა ითამაშა, რომელიც ბოლომდე დარჩა და გვიერთგულა. ჩვენც ძალა მოგვეცა და ამიტომაც მოვიგეთ. მართალია, ფავორიტად ხორვატიის ნაკრებს მიიჩნევენ, მაგრამ მე მაინც იმას ვფიქრობ, რომ მეტოქე ფავორიტი მხოლოდ ფურცელზეა, რეალური ფავორიტი კი მოედანზე გამოჩნდება. ფეხბურთი იმით არის კარგი, რომ წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ. ამიტომაც ვფიქრობ: რატომ არ შეიძლება, სენსაცია საქართველოს ნაკრებმა მოახდინოს?

ეს მატჩი შესაძლოა, პირველი ოფიციალური გახდეს რუმინეთის „გაზ მეთანის" წევრ აკაკი ხუბუტიასთვის, რომელსაც აქამდე მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში მიუღია მონაწილეობა. ახალგაზრდა ცენტრალურ მცველს 26-ში ამის შანსი ნამდვილად აქვს, რადგან გუნდს აკლია მალხაზ ასათიანი, ხოლო კახა კალაძე დაშავებულია.

**აკაკი ხუბუტია:**

— ნაკრებში პირველი მატჩი სლოვენიასთან ვითამაშე და, რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი. სომხეთთან კი ბევრად უფრო თავისუფლად ვიყავი მოედანზე — არანაირი დაძაბულობა არ მიგრძნია. საერთოდ, მოედანზე რომ გავდივარ, ნერვიულობა არ მახასიათებს, ამ დროს მხოლოდ იმაზე ფიქრობ, რომ იბრძოლო და გუნდი არ დაალალატო. ხორვატებთან ურთულესი შეხვედრა გველის, მაგრამ ჩვენი გუნდის სულისკვეთება და ბიჭების საქმისადმი მიდგომა მაიმედებს. დარწმუნებული ვარ, მატჩის ბედის გადაწყვეტა ჩვენს ერთიანობას შეუძლია.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ასკოლი-ვიჩენცა | 2:1 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ატლანტა-ჩიკაგო | 81:114 |
| *ზაზა ფაჩულია: 5 ქულა, 2 მოხსნა* | |
| პორტლენდი-ვაშინგტონი | 111:76 |
| ლეიკერსი-ფინიქსი | 139:137(3ოტ) |

**ევროლიგა. ულების თასი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი | 89:41 |
| ლაბორალი-მაკაბი | 76:70 |
| ბარსელონა-პანათინაიკოსი | 83:82 |
| რეალი-ვალენსია | 71:65 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. მაიამი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| კენდრიკი-რეისტერი | 6:7;7:5;6:0 |
| სვიტინგი-როსოლი | 6:4;6:1 |
| დიმიტროვი-მასუ | 6:2;6:3 |
| შუტლერი-ზემლია | 6:3;6:4 |
| როხუსი ო.-სმიჩეკი | 6:4;3:6;6:2 |
| კუნიცინი-პროდონი | 6:3;7:6 |
| იანგი-დანჩევიჩი | 6:1;1:6;7:5 |

**ვტა. მაიამი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| მირზა-ვორაცოვა | 6:4;6:2 |
| ვინჩი-ბენეშოვა | 5:7;4:6 |
| შნიდერი-კეისი | 3:6;6:1;7:6 |
| პივოვაროვა-ჩანი | 3:6;6:3;2:6 |
| რადვანსკა უ.-ჰალეპი | 3:6;2:6 |
| ლიაგოსტერა ვივასი-ტატიშვილი | 3:6;6:4;4:6 |
| მორიტა-უოტსონი | 7:5;6:2 |
| ლისიცკი-ჟინკი | 6:3;5:7;6:4 |
| ლარსონი-როდიონოვა ან. | 6:4;7:6 |
| მაკაროვა-დუშევინა | 6:2;6:2 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კაროლინა-ოტავა | 4:3 |
| რეინჯერსი-ფლორიდა | 1:0 |
| მონრეალი-ბუფალო | 0:2 |
| ტამპა ბეი-აილენდერსი | 2:5 |
| ფილადელფია-ვაშინგტონი | 4:4(0:1ბ) |
| მინესოტა-ტორონტო | 0:3 |
| კოლორადო-კოლამბუსი | 4:4(1:0ბ) |
| ფინიქსი-სენტ ლუისი | 2:1 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## დღის კალენდარი

**24 მარტისთვის**



**წლის 83-ე დღე,**
**ახალ წლამდე დარჩა 282 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**დიდმარხვის III შვიდეული.**
**ხუთშაბათი**

სოფრონ იერუსალიმელი პატრიარქისა (638-644); მღვდელმოწამისა პიონისი, ზმირნელი ხუცისა და მისთანათა (250); აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამისა ეპიმაქესი; სოფრონ ვრაჩანელი ეპისკოპოსისა (ბულგ.) (1813) ; ღირსისა იოანე მოსხისა (622).

**დაიბადნენ:**

1834 — უილიამ მორისი, ინგლისელი სოციალისტი და მხატვარი.

1842 — ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძის მეუღლე, გარდაიცვალა 1927 წელს.

1891 — სერგეი ვავილოვი, ცნობილი რუსი ფიზიკოსი.

1900 — ივან კოზლოვსკი, გამოჩენილი რუსი საოპერო მომღერალი.

1901 — აბ აივერქსი, ამერიკელი მულტიპლიკატორი, რომელიც უოლტ დისნეისთან
ერთად მიკი მაუსის„ შექმნაზე მუშაობდა.

1917 — ჯონ კოუდერი, ინგლისელი ბიოქიმიკოსი და ბიოფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1921 — ვასილ სმისლოვი, რუსი მოჭადრაკე, მსოფლიოს მე-7 ჩემპიონი.

**გარდაიცვალნენ:**

1603 — ელიზავეტა I, ინგლისის დედოფალი.

1882 — ჰენრი უდსორთ ლონგფელი, ამერიკელი პოეტი.

1909 — ჯონ მილინჰტონი, ირლანდიელი დრამატურგი.

1948 — ნიკოლაი ბერდიაევი, ფილოსოფოსი.

1948 — კონსტანტინ იღუმანოვი, კომპოზიტორი, პედაგოგი, დაიბადა 1873 წელს.

**მოვლენები:**

1779 წელი — გაიმართა მეორე მასონური ზეიმი ჯორჯ ვაშინგტონის მონაწილეობით.

1878 წელი — ბრიტანეთის სამხედრო ნავი კუნძულ უაიტის ნაპირთან გრიგალმა წუთნახევარში ჩაძირა. 300-კაციანი ეკიპაჟიდან მხოლოდ ორი გადარჩა.

1901 წელი — გაიხსნა მოსკოვის კონსერვატორიის დიდი დარბაზი.

1918 წელი — მოსკოვის აეროდრომზე გაიხსნა „მფრინავი ლაბორატორია“.

1971 წელი — ლონდონის ერთ-ერთ ლაბორატორიაში მაგნიტოფონის ფირზე ჩაიწერეს „საიქიოს ხმები“.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე.

ზამბია — აფრიკის დღე.

**მედიანიუსი**

# კუჩმას ბრალდებები წაუყენეს

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ქვეყნის პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ფაქტი დაადასტურა.

როგორც გენპროკურორის მოადგილე რენატ კუზმინმა განაცხადა, საქმე ჟურნა-




ლისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობასთან დაკავშირებით აღიძრა.

კუზმინის განცხადებით, ლეონიდ დანილის ძე კუჩმა უფლებამოსილების გადაჭარბებაში და შს სამინისტროს თანამშრომლებისათვის უკანონო განკარგულების გაცემაში არის ეჭვმიტანილი, რასაც შედეგად ჟურნალისტის მკვლელობა მოჰყვა.

კუზმინმა ასევე განაცხადა, რომ ყოფილ პრეზიდენტს ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვეს.

კუზმინის თქმით, ჟურნალისტ ღონღაძის მკვლელობის გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს, მიუხედავად ამისა, ლეონიდ კუჩმასთვის ჯერ ბრალდებები არ წაუყენებიათ.

ლეონიდ კუჩმა უკრაინას 1994 წლიდან 2005 წლამდე ხელმძღვანელობდა.

ცნობილი ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე უკრაინის დედაქალაქში 2000 წლის 16 სექტემბერს დაიკარგა. მოგვიანებით მისი უთავო გვამი კიევის მახლობლად ტყეში იპოვეს.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მკვლელობის მთავარი შემკვეთი იყო უკრაინის ყოფილი შს მინისტრი იური კრავჩენკო, ხოლო მისი ერთ-ერთი უშუალო შემსრულებელი მილიციის გენერალ ლეიტენანტი ალექსეი პუკაჩი.

ღონღაძის საქმეში ფიგურირებს პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას კაბინეტში შესრულებული ჩანაწერები, რომელზეც მამაკაცი კუჩმას მსგავსი ხმით ჟურნალისტთან „საქმის გამორკვევის“ განკარგულებას იძლევა.

თავად უკრაინის ყოფილ პრეზიდენტს ღონღაძის მკვლელობის საქმე საერთაშორისო მასშტაბების პროვოკაციად მიაჩნია, რომელიც დასავლეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებსა და სპეცსამსახურებს კიევის კომპრომეტირების მიზნით ესაჭიროებათ.

პოტენციურ „პროვოკატორებს“ შორის იგი აშშ-ის ცსს-ს და მის აგენტებს ასახელებს.

**გ. თ.**

# გარდაიცვალა ელიზაბეტ ტეილორი

აშშ-ში 79 წლის ასაკში გარდაიცვალა საქვეყნოდ ცნობილი ამერიკელი მსახიობი ელიზაბეტ ტეილორი. გავრცელებული ცნობების თანახმად, სიკვდილის მიზეზად გულის უკმარისობა იქცა.

მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებში ელიზაბეტ ტეილორი ლოს ანჯელესის კლინიკაში გულის მწვავე უკმარისობის დიაგნოზით მიიყვანეს. მოგვიანებით პრესაში გავრცელდა ინფორმაცია მისი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ელიზაბეტ ტეილორს 2009 წელს გულის სარქველის შეცვლის ოპერაცია გაუკეთეს.

ელიზაბეტ ტეილორი 1932 წლის 27 თებერვალს ლონდონში ხელოვნების ნაწარმოებებით მოვაჭრის ოჯახში დაიბადა. გოგონა შვიდი წლის რომ გახდა, მისი მშობლები აშშ-ში გადავიდნენ საცხოვრებლად, სადაც ტეილორის მამამ ბევერლი ჰილზში, ლოს ანჯელესის ყველაზე მოდურ რაიონში სამხატვრო გალერეა გახსნა.

ელიზაბეტ ტეილორი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სილამაზით და კინოში პირველი მიწვევა ათი წლის ასაკში მიიღო. 1942 წელს გადაღებულმა ფილმმა „ასეთი ყოველ წუთში იბადება“ მის კინოკარიერას დაუდო დასაბამი. მოგვიანებით მან ხელი მოაწერა მრავალწლიან კონტრაქტს სტუდია მეტრო გოლდენ მეიერთან, სადაც მის პირველ მნიშვნელოვან ნამუშევრად იქცა „ველვიტი დოლში“, პატარა გოგონასა და დოლის ცხენის მეგობრობის გულისამაჩუყებელი ისტორია.

ფილმებში „ლესი შინ დაბრუნდი“, „ჯეინ იარი“, „ლუვრის თეთრი კლდეები“, „ლესის გმირობა“, „სინთია“ ბავშვების როლების შესრულებიდან ლიზ ტეილორი რომანტიულ როლებზე გადავიდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ანჯელას როლი ფილმში „ადგილი მზის ქვეშ“, თეოდორ დრაიზერის „ამერიკული ტრაგედიის“ 1951 წლის ეკრანიზაციაში.

ამ ფილმიდან ლიზ ტეილორი ელიზაბეტ ტეილორად გადაიქცა და ბავშვურ სახელზე უარი თქვა. მისი კინოკარიერა 70 კინოროლს ითვლის, შესრულებულმა როლებმა მას ორი „ოსკარი“ მოუტანეს. მის



ნამუშევრებს შორის კრიტიკოსები განსაკუთრებით გამოარჩევენ როლებს ფილმებში: „კლეოპატრა“, „კატა გახურებულ სახურავზე“, „ჭირვეულის მორჯულება“ და „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის“.

გარდა როლებისა, მისი კარიერა სკანდალებით, ტრაგედიებით, მრავალრიცხოვანი ქორწინებებით, ნარკო- და ალკოჰოლური დამოკიდებულებით, ჯანმრთელობის პრობლემებითაც უხვად იყო ახუნძლული, ყველაზე საშინელი, თავის ტვინის კიბოს დიაგნოზის ჩათვლით.

ერთი შეხედვით, ელიზაბეტ ტეილორს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ ნებისყოფამ თავისი გაიტანა. საკუთარი ჯანმრთელობისათვის ბრძოლამ და ახლობელი ადამიანების დაკარგვამ მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ელიზაბეტ ტეილორმა ქველმოქმედებას მიჰყო ხელი.

ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი ელიზაბეტ ტეილორი შიდსთან აქტიური ბრძოლით და ლიბერალური ინიციატივების მხარდაჭერით არის ცნობილი. 1991 წლის მსახიობმა შიდსთან ბრძოლის ფონდი დააარსა.

ელიზაბეტ ტეილორი ჰოლივუდის პირველი მსახიობი გახლავთ, რომელმაც როლისათვის მილიონი დოლარი ჰონორარი მიიღო. მისი ფოტოები ჟურნალ „ფიფლის“ გარეკანს სხვა ვარსკვლავებთან შედარებით უფრო ხშირად ამშვენებდა და ამ მხრივ მხოლოდ პრინცესა დაიანას ჩამორჩებოდა.

ელიზაბეტ ტეილორი კვლავაც მრავალი კინომოყვარულის საყვარელ მსახიობად რჩება. აღსანიშნავია, 54 წელი რომ შეუსრულდა, დაბადების დღეს მან განაცხადა: „მე მგონი, როგორც იქნა, გავიზარდე“.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## შეგიძლიათ თუ არა აუდიტორიასთან ურთიერთობა?



**ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ „დიახ“ ან „არა“**

1. გესაჭიროებათ თუ არა აუდიტორიის ხასიათის მიხედვით გამოსვლისათვის მომზადება, მაშინაც კი, თუ ამ თემის შესახებ რამდენჯერმე გამოსულხართ?
2. გრძნობთ თუ არა თავს ასეთი გამოსვლის შემდეგ „გაწურულად“?
3. ღელავთ თუ არა ტრიბუნაზე გასვლის წინ იმდენად, რომ თავის დამშვიდება გესაჭიროებათ?
4. გჭირდებათ თუ არა 3-5 წუთი აუდიტორიასთან თავდაპირველი კონტაქტის დასამყარებლად?
5. თუ ცდილობთ მკაცრად განსაზღვრულ გეგმას მიჰყვეთ?
6. გიყვართ თუ არა გამოსვლის დროს მოძრაობა?
7. ასწრებთ თუ არა გამოსვლის დროს გახუმრებას?
8. დარბაზში გამოსვლის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე მიდიხართ?

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**პასუხები**

**0-4 ქულა:** აუდიტორიას ემორჩილებით, ცდილობთ მის რეაქციას მიჰყვეთ, მაგრამ ამან შეიძლება ავტორიტეტი დაგაკარგვინოთ.

**5-8 ქულა:** შეგიძლიათ აუდიტორია დაიმორჩილოთ, თავს არ აძლევთ ტრიბუნაზე თავისუფლად ქცევის უფლებას. აუდიტორიისაგან დამოუკიდებლობამ შეიძლება ზიანი მოგიტანოთ.

**გ. თ.**

# ნინო სალუქვაძემ საქართველოს 2012 წლის ოლიმპიადის პირველი ლიცენზია მოუტანა

საქართველოს პირველი ლიცენზია ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის, ტყვიის სროლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ მოუტანა. ევროპის არაერთგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიდნეიში მსოფლიოს თასი მოიგო, რაც ამ ტურნირის სუპერფინალის საგზურის მოპოვებასთან ერთად, ოლიმპიური ლიცენზიის დაუფლებასაც ნიშნავს.

2011 წლის სეზონში ეს მსოფლიოს თასის პირველი ეტაპია და სალუქვაძისთვის პირველივე ცდა წარმატებული გამოდგა. ქართველმა ტყვიის მსროლელმა საკვალიფიკაციო ეტაპზე მეორე შედეგი აჩვენა — 385 ქულა, თუმცა, ფინალში მეხუთე შედეგით შევიდა, რადგან 386 ქულა ერთბაშად ოთხმა მსროლელმა დააგროვა. გადამწყვეტი ფინალური სერია გამოდგა, სადაც სალუქვაძემ კარგად ისროლა და 100,5 ქულა აჩვენა.

ჯამში სალუქვაძეს 485,4 ქულა გამოუვიდა და 2,5-ით აჯობა მეორეზე გასულ ფინელ მირა სუჰონენს (484,0). ბრინჯაო უკრაინელმა ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა ოლენა კოსტევიჩმა მოიპოვა — 483,6. ლონდონის ოლიმპიადის საგზურიც ამ სამეულს ერგო.

**ნინო სალუქვაძე:**

— სასიხარულოა, რომ საქართველომ ლონდონის ოლიმპიური ლიცენზიების მოპოვების სათვალავი გახსნა. პირველი ლიზენცია ტყვიის სროლაში ავიღეთ და იმედია ლიცენზიების მოპოვების პროცესი სპორტის სხვა სახეობებშიც წარმატებულად გაგრძელდება. ავსტრალიის მსოფლიო თასზე წარმატება რთული გამოდგა, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდა. გახარებული ვარ იმითაც, რომ ასეთ შორეულ მანძილზე ტყუილად არ მოგვიწია გამგზავრება. მოკლედ, საკმაოდ ვიყოჩაღე და გამარჯვება მოვიპოვე. პირადად ჩემთვის ეს უკვე მეშვიდე ოლიმპიური თამაშები იქნება. სიდნეის მსოფლიო თასი ჯერ კიდევ გრძელდება და საქართველოში 30 მარტს დავბრუნდებით.

**მ. ჟ.**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოპულარული საესტრადო სიმღერა, მუსიკალური ნაწარმოები; 2. სამი და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 3. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 5. საგანგებოდ გამოყვანილი, დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. ალუბლისგან დამზადებული ფრანგული ლიქიორი; 14. შინაური წვრილფეხა ცხოველი; 16. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 18. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში.

**თარაზულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 4. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 7. ოთხშაბათის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. კლდეში ნაკვეთი ისტორიული ქალაქი იორდანიაში; 13. დედამიწის თანამგზავრი პლანეტა; 15. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 17. რაიმე საქმეში შეტანილი წილი; 19. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 20. მდინარე პოლონეთში; 21. წყალი მყარ მდგომარეობაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დოჟი; 2. სქემა; 3. ერატო; 5. ბელუჩი; 6. ლიმონათი; 9. გრავიტაცია; 10. კორსანტია; 11. დილიჟანსი; 14. შოუ; 16. აქციზი; 18. ღრძო.

**თარაზულად:** 1. დუნსტი; 4. იმბეცილი; 7. თემიდა; 8. ტონზურა; 12. ბანკო; 13. უშქარი; 15. ასმათი; 17. ბაი; 19. მანუსკრიპტი; 20. ფაუნა; 21. ჭოროხი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტაიბეი; 2. არიკი; 3. რუხი; 5. ხახამი; 6. ქაოსი; 7. ლატავრა; 11. ლაისტი; 13. გდანსკი; 14. პაქტი; 15. ყაზბეგი; 16. კლინიკა; 17. გაბენი; 19. აგუტი; 20. ბაშო.

**თარაზულად:** 1. ტრაპერი; 4. კირხე; 8. ხვატი; 9. ხაჭო; 10. ბოკალი; 12. გაუტამა; 14. პესო; 15. ყაპუზუნა; 16. კექსი; 18. კობრა; 21. ბუკია; 22. კრუშონი; 23. ტანკერი.

# ისრაელის ყოფილ პრეზიდენტს გაუპატიურებისთვის 7 წელი მიუსაჯეს

ისრაელის ყოფილ პრეზიდენტს მოშე კაცავს გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვა დანაშაულის ჩადენის ბრალდებებით შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

კაცავი 1990-იან წლებში თავისი ერთ-ერთი თანამშრომელი ქალის გაუპატიურებაში ცნეს დამნაშავედ. ბრალდებებში მოხსენიებული სხვა ეპიზოდები მისი პრეზიდენტობის პერიოდთან არის დაკავშირებული.

დაზარალებულმა, რომელიც სასამართლო ქაღალდებში ფიგურირებდა როგორც „ქალი ეი", პროცესის დროს განაცხადა, რომ კაცავი მას თავს ჯერ ოფისში დაესხა, შემდეგ კი — იერუსალიმის ერთ-ერთ სასტუმროში.

კაცავმა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი 2007 წელს დატოვა. თავდაპირველად მან ბრალდებების ერთი ნაწილის მიხედვით თავი დამნაშავედ ცნო და ამგვარად უფრო სერიოზული ბრალდებების თავიდან აცილება სურდა, მაგრამ მოგვიანებით დანაშაულს არ აღიარებდა.

65 წლის მოშე კაცავი პირველი გასამართლებული ყოფილი პრეზიდენტია. სასამართლო პროცესზე ითქვა, რომ კანონზე მაღლა ისრაელში შეუძლებელია, რომ ვინმე იდგას.

ესოშიეიტედ პრესის ინფორმაცით, განაჩენის გამოცხადების შემდეგ კაცავს ქვითინი აუვარდა და მოსამართლეს უყვირა „თქვენ შეცდომას უშვებთ, ეს სიცრუეა, ამ ქალებმა იციან, რომ ეს სიცრუეა".

ყოფილი პრეზიდენტი კიდევ ორი ქალის ბრალდებებს გულისხმობდა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ 2003-2005 წლებში, კაცავის პრეზიდენტობის დროს მისი სექსუალური ინტერესის ობიექტი შეიქნენ. სასამართლომ ეს ბრალდებებიც მართებულად და დამტკიცებულად ცნო.

მოშე კაცავი ირანში დაიბადა და ისრაელში საცხოვრებლად ოჯახის წევრებთან ერთად 1951 წელს, ექვსი წლის ასაკში გადავიდა.





იგი „ლიკუდის" პარტიის წევრი გახდა და პრეზიდენტად გახდომამდე არაერთი სახელმწიფო თანამდებობა ეკავა.

მის წინააღმდეგ ბრალდებები პირველად 2006 წელს გამოითქვა და იგი იძულებული გახდა პრეზიდენტის პოსტი დაეტოვებინა.

კაცავის გადადგომამ ისრაელში საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, მაგრამ მას რაიმე პოლიტიკური შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ისრაელში პრეზიდენტის პოსტი უფრო ცერემონიული მნიშვნელობის მატარებელია.

მისი ადგილი პრეზიდენტის პოსტზე შიმონ პერესმა დაიკავა, რომელმაც თანამდებობის დაკავებიდან ცოტა ხნის შემდეგ განაცხადა, რომ ისრაელის მოქალაქეები ხარისხის მიხედვით არ იყოფიან და კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

თავად მოშე კაცავი აცხადებდა, რომ იგი „ლინჩის სასამართლოს" მსხვერპლი შეიქნა, რომელიც იმჟამინდელი გენპროკურორის, მენაჰემ მაზუზის მიერ იყო ორგანიზებული.

ისრაელის ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციები ამ განაჩენს მიესალმნენ და განაცხადეს, რომ სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენის ბრალდებებს ისრეალში ხშირად იურიდიული ინსტანციები გულგრილად ეკიდებიან.

# ლიბიაში ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი დაიმსხვრა





ლიბიაში აეროდრომზე დაშვების დროს კატასტროფა განიცადა ამერიკულმა სამხედრო თვითმფრინავმა. აშშ-ის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლის, კენეტ ფიდლერის თქმით, არ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ ეფ-15 ტიპის გამანადგურებელს მოწინააღმდეგემ მიწიდან ცეცხლი გაუხსნა.

ეკიპაჟის ორივე წევრმა კატაპულტირება შეძლო და ცოცხლები გადარჩნენ. სავარაუდოდ, თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზად ტექნიკური გაუმართაობა იქცა.

ბრიტანული გაზეთის, „დეილი ტელეგრაფის" თქმით, თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა ქალაქ ბენგაზის მახლობლად მდებარე მეამბოხეთა დასაყრდენ პუნქტთან.

ეს ინციდენტი ლიბიის ტერიტორიაზე სამხედრო სამიზნეების ფრთოსანი რაკეტებით დაბომბვის დაწყებიდან მესამე დღეს მოხდა.

ლიბიის სახელმწიფო ტელევიზიის განცხადებით, ქვეყნის დედაქალაქი ამჟამად „ჯვაროსანი მტრების" მიერ ჰაერიდან იბომბება. დიქტორის განცხადებით, ეს თავდასხმები ლიბიელ ხალხს ვერ დააშინებს.

ლიბიის მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა გარდა ამისა გაავრცელეს განცხადება კოალიციის ძალების მიერ ტრიპოლის მახლობლად მდებარე საზღვაო ბაზის დაბომბვის შესახებ.

ლიბიის აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონებში არ ცხრება ბრძოლები სამთავრობო ჯარებსა და მეამბოხეებს შორის.

ტრიპოლიდან აღმოსავლეთით, 200 კმ-ით დაშორებულ ქალაქ მისრატიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, პოლკოვნიკ მოამარ კადაფის ჯარებმა მორიგი შეტაკების დროს 9 ადამიანი მოკლეს.

ტელეარხ „ალ არაბიას" ინფორმაციით, ქალაქს ფაქტობრივად კადაფის ერთგული ძალები აკონტროლებენ.

მისრატა ლიბიის დასავლეთით მდებარე ერთადერთი მსხვილი ქალაქია, რომელსაც მეამბოხეები აკონტროლებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, სამთავრობო ჯარებმა მისრატი წყლის გარეშე დატოვეს, ქალაქის წყალსადენის მილები გადაკეტეს.

ლიბიის აღმოსავლეთით, ქალაქ ბენგაზის მახლობლად, რომელსაც მეამბოხეები კვლავინდებურად ინარჩუნებენ, სამთავრობო ჯარებისა და მეამბოხეების შეტაკება მოხდა. ბრძოლის დროს სამთავრობო ჯარებმა მძიმე ტექნიკა გამოიყენეს.

ორშაბათს, საღამოს ლიბიის ოპერაციაში ბრიტანელი სამხედროების მონაწილეობას ბრიტანეთის პარლამენტმა ხმათა დიდი უმრავლესობით დაუჭირა მხარი. რეზოლუციის წინააღმდგ მხოლოდ 13 დეპუტატი გამოვიდა, მომხრე 557 იყო.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა განაცხდა, რომ ლიბიის ლიდერ კადაფის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ დაწყებულმა ოპერაციამ ბენგაზიში სისხლიანი სასაკლაოს თავიდან აცილება გახდა შესაძლებელი.

ლიბიის სამხედრო ოპერაციაში დიდი ბრიტანეთის მონაწილეობას ქვეყნის სამმა ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიამ დაუჭირა მხარი.

იმავდროულად, ამერიკელი გენერლის, ლიბიის სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანლის, კარტერ ჰარტის თქმით, ოპერაციის მთავარი მიზანია სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა და არა ოპოზიციური ძალების მხარდაჭერა.

გენერალმა განაცხადა, რომ ლიბიის თავზე ფრენისათვის აკრძალული ზონა ფართოვდება, იმავდროულად, მან დაადასტურა, რომ ლიბიის ტერიტორიაზე კოალიციის ჯარისკაცები არ იმყოფებიან.

ამერიკელი გენერლის თქმით, ლიბიის საჰაერო სივრცეში 70-80 თვითმფრინავი მორიგეობს და ლიბიის ავიაციას აფრენის შესაძლებლობას არ აძლევს.

დასავლეთის წარმომადგენლებმა, რომლებიც ლიბიაზე საჰერო თავდასხმებს აგრძელებენ, უარყოვეს მოსაზრება, თითქოს ოპერაციის მიზანი ლიბიის ლიდერის, მოამარ კადაფის განადგურება ან მისი გადაყენება იყოს.

თეთრი სახლის წარმომადგენლის ბენ როდსის თქმით, ხელისუფლების შეცვლაზე ლაპარაკი არ არის და ოპერაციის მიზანი ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა კი არა, მოსახლეობის დაცვაა.

საფრანგეთის სამხედრო სარდლობის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ლიბიის ლიდერის ადგილსამყოფელი ცნობილია, მას არავინ დაესხმის თავს.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ გაეროს რეზოლუცია ლიბიაში არსებული რეჟიმის სამხედრო მეთოდებით შეცვლის კანონიერ უფლებას არ იძლევა.

ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ჩილეში ვიზიტით ყოფნის დროს განაცხადა, რომ აშშ-ის ხელისუფლების მოსაზრებით, ლიბიის ლიდერი კადაფი უნდა წავიდეს.

# ავღანეთი შვიდ პროვინციას თავად გააკონტროლებს

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ქარზაიმ განაცხადა, რომ მიმდინარე წლს ივნისიდან ქვეყნის შვიდ რაიონში უცხოეთის ჯარები ვითარების კონტროლს ავღანეთის არმიას გადასცემენ.





ავღანეთის პრეზიდენტმა შედარებით მშვიდობიანი ქაბულის, ბამიანის, პანჯშერის, გერაქტის, მაზარი შარიფის და მეჰტერლამის რაიონები დაასახელა. ამ სიაში მოხვდა აგრეთვე საკმაოდ პრობლემური პროვინციის, გილმენდის დედაქალაქი პაშკარგაჰი.

პრეზიდენტის თქმით, ნატოს სამხედრო მოსამსახურეები ამ რაიონებში სამხედრო ოპერაციებს შეწყვეტენ. მათი მთავარი ამოცანა ავღანეთის შეიარაღებული ძალების მომზადება და აღჭურვა იქნება.

ჰამიდ ქარზაის თქმით, ბოლო 30 წლის განმავლობაში ავღანეთი ცეცხლში იმყოფება და ხალხს უკვე აღარ სურს, რომ ქვეყანაში ვითარებას უცხოელი სამხედროები აკონტროლებდნენ.

აღნიშნულ რაიონებში სამხედრო კონტროლის ადგილობრივი არმიისათვის გადაცემა ავღანეთში ადგილობრივი მთავრობის სრული კონტროლის აღდგენისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. ავღანეთის პრეზიდენტის თქმით, ეს პროცესი ნიშნავს, რომ ქვეყნის უსაფრთხოებისა და განვითარების პასუხისმგებლობას თავად ავღანეთის მთავრობა იტვირთავს.

ჰამიდ ქარზაიმ განაცხადა, რომ პირველი უცხოური ქვეგანაყოფები ავღანეთს ივნისში დატოვებენ, მაგრამ ჯარების გაყვანის პროცესი ხანგრძლივი იქნება. ავღანეთის მთავრობის გეგმების თანახმად, ხელისუფლების კონტროლი შემდეგ ეტაპზე ჩამოთვლილი შვიდი რაიონის ფარგლებს გარეთ გავრცელდება. გარდა ამისა, ავღანეთის პრეზიდენტმა მთავრობის ოპონენტებს ქვეყნის შიგნით დიალოგისაკენ მოუწოდა.

უცხოელი მიმომხილველების თქმით, ცალკეულ რაიონებში ვითარება მას შემდეგ გაუმჯობესდა, რაც იქ დამატებით ამერიკელი ჯარისკაცები და ათეულ ათასობით ავღანელი პოლიციელი და ჯარისკაცი განათავსეს.

იმავდროულად, ისინი აღნიშნავენ, რომ გარდამავალი პროცესი გარკვეულ რისკთან იქნება დაკავშირებული.

მიმომხილველები იმასაც ამბობენ, რომ ავღანეთის არმიის ზოგიერთი ქვეგანაყოფის ბრძოლისუნარიანობა კვლავინდებურად დაბალია. მრავალი ადგილობრივი მცხოვრები შიშობს, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში თალიბების მიერ იერიშის განახლების შემდეგ მათ ველარავინ დაიცავს. გილმენდის პროვინციაში ბოლო წლებში ყველაზე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ბრიტანეთის და აშშ-ის ჯარებმა ნატოს ზოგიერთი ქვეყნის მხარდაჭერით ამ პროვინციაში შედარებით უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეძლეს, თუმცა, ეს ასეულობით ჯარისკაცის სიცოცხლის ფასად დაუჯდათ.

ანალიტიკოსები იმავდროულად, თალიბების მორიგ გააქტიურებაზე ლაპარაკობენ, რომლებსაც ავღანეთის სამხრეთით ინიციატივის ხელში ჩაგდება აქვთ განზრახული.

ავღანეთში, ვითარების ზოგადი გაუმჯობესების მიუხედავად, გასულ წელს ამ ქვეყანაში მშვიდობიანი მოქალაქეებისა და ჯარისკაცების რეკორდული რაოდენობა დაიღუპა. მოკლულია 2700-მდე სმაოქალაქო პირი, რაც წინა წლებთან შედარებით 15%-ით მეტია.

გაეროს მონაცემების თანახმად, მშვდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის 75%-ის პასუხისმგებლობა თალიბებს ეკისრებათ, ხოლო ავღანეთისა და საერთაშორისო ძალების ხელით მოკლული სამოქალაქო პირების რიცხვი 16%-მდე შემცირდა.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

**მშვიდობით, მერაბ!**

ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

ვუსამძიმრებთ ურიდიების ღირსეულ ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს, მთელ საქართველოს.

*მალხაზ კვანჭილაშვილის ოჯახი*

---

მეგობრები დავით გვაძაბია, ოთარ ჩარკვიანი, ზურაბ გახარია, ჯემალ ლეთოდიანი სამძიმარს უცხადებენ პეტრე ცანავას სიდედრის

**ქუქუნა ესართია-ოკუჯავას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ეთიკო ბოჭოიძე, შვილები ნინო, მაია ნემსაძეები, სიძეები დავით ხაზარაძე, კაკო სხირტლაძე, შვილიშვილები თენგო, ლუკა, ივანე სხირტლაძეები, გიორგი, ლიზი, ნატალია ხაზარაძეები, სიდედრი ნუნუ ბოჭოიძე, ცოლისძმა ლევან ბოჭოიძე ოჯახით, მძახლები გიორგი ხაზარაძე, ლერა ტატიშვილი, თენგიზ სხირტლაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვანიკო ნემსაძე**

პანაშვიდი: 24, 25 მარტს, 17 საათზე, ბაზალეთის №3.

გამოსვენება: 26 მარტს, 15 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან.

---

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცენტრის თვითმოქმედი თეატრალური ხელოვნების განყოფილების ყოფილი გამგე

**ნონა (ნუნუ) გომართელი-ნოდია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი**
**24 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ისტორია **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერიალი **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ვერსალის მებაღე" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერიალი **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **23.00** სერიალი **"ფარი"** (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"მე ვოცნებობდი აფრიკაზე"** (12) **04.20** მხ. ფილმი **"მარტის კატები"** (18)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფილმი **"მკვლელობა განაჩენის გარეშე"** **01.00** მხ. ფ. **"გარიყულები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი **"ცოდვილი"** **11.00** სერიალი **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერიალი **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ნიჭიერი (გან.) **16.00** სერიალი **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერიალი **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოკ-ტო **00.00** მხ. ფილმი **"სანამ შენ გეძინა"** (18) (ს. ბალოკი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერიალი **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერიალი **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერიალი **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერიალი **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **00.00** მხ. ფ. **"საქორწინო წვეულება"** (მ. დუგლასი) (სუბტ.) **02.00** მხ. ფილმი **"მაქსიმალური რისკი"** (15) (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) **03.40** მხ. ფილმი **"დრაკონის გზა"** (ბ. ლი) (სუბტ.) **06.30** სერიალი **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერიალი **"იდუმალი სტუმარი"** **12.50** სერიალი **"მამები"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერიალი **"მხოლოდ შენ"** **19.30** სერიალი **"მონადირე"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** პირველშეწირულის ლიტურგიის განმარტება **10.35** დოკ. ფ. "წმინდა მიწაზე" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფ. **"მჟუდრო სავანე"** **13.10** კონცერტი – ტრიო "თბილისი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მოკვეთილი"** **17.00** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.35** "განთიადის" არქივიდან **18.05** სალვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"დიმიტრი მეორე"** 1-ლი ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** დოკ. ფ. "შემოდგომა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.30** დიდმარხვის მესამე კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **00.35** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.00** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**24 მარტი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,704 |
| ევრო | 2,4135 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7714 |
| რუსული რუბლი | 0,06 |

## ამინდის პროგნოზი 24 მარტისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 8-13, ღამით — -2-9

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-12, ღამით — 2-3

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 3-19, ღამით — -8 -1





## ქართული ფლორის საოცრება
## „სალხინო"
### უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


# ანა ტატიშვილის მაიამური წარმატება

**ქართველი ჩოგბურთელი, ანა ტატიშვილი აშშ-ს ქალაქ მაიამის პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეშია, რომლის საპრიზო ფონდი 4.500.000 დოლარია. საქართველოს პირველმა ჩოგანმა კვალიფიკაციის დასკვნით რაუნდში, უმძიმეს ბრძოლაში ესპანელი ნურია ლაგოსტერა ვივესი დაამარცხა — 6:3, 4:6, 6:4 და პრესტიჟული ტურნირის ელიტაში გაერია.**



ქართველისა და ესპანელის დაპირისპირება თითქმის ორსაათ-ნახევარი გაგრძელდა და მასში გარდატეხის შეტანა ანამ ბოლოს მოახერხა. არადა, მატჩს დასაწყისი ჩინებული ჰქონდა. 21 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა პირველი სეტი მოიგო, მაგრამ მეორეში მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა.

გადამწყვეტი, მესამე სეტი ქართველისთვის ასევე წარუმატებლად დაიწყო. ტატიშვილმა პირველივე მოწოდება დათმო და ცოტა ხანში ესპანელს 2:4 ჩამორჩა, რის შემდეგაც გადამწყვეტი შტურმი წამოიწყო და ზედიზედ 4 მოწოდება მოიგო — საბოლოოდ, 6:4.

ძირითად ბადეში გასვლისთვის, ტატიშვილმა უკვე 35 სარეიტინგო ქულა გაინაღდა და როდესაც ეს მონაგარი მის აქტივში უკვე არსებულ 540 ქულას დაემატება, კლასიფიკაციაში ამჟამად 125-ე ადგილზე მყოფ ქართველს წინსვლა გარანტირებული აქვს.

ტატიშვილის მეტოქე ძირითად ბადეში ბელარუსი ოლგა გოვორცოვაა, რომელიც სადღეისოდ 70-ე ჩეგანია, თუმცა, თავის დროზე 35-ე პოზიციაზეც ყოფილა. აქედან გამომდინარე, ფავორიტად 22 წლის ბელარუსი ჩოგბურთელი მიიჩნევა.

ტატიშვილი-გოვორცოვას მატჩი დღეს, გამთენიისას დასრულდებოდა.

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი
24 მარტისთვის

### არ აჩქარდეთ

**ვერძი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, არ აჩქარდეთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — წარსულიდან ვიღაც მოდის, მოუსმინეთ მას. **კირჩხიბი** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **ლომი** — ძვირფას საჩუქარს მოგიძღვიან, განეწყვეთ საუკეთესოსთვის. **ქალწული** — შეფიქრიანებული ხართ, ნუ აყვებით ემოციებს. **მშვილდოსანი** — თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. **ღრიანკალი** — ზედმეტი აქტიურობა არ ღირს, თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თხის რქა** — დღეს საინტერესო ადგილზე აღმოჩნდებით, სასიამოვნო შეხვედრა გელით. **მერწყული** — ახალი წამოწყება გაამართლებს, მთავარია ორი საქმე ერთდროულად არ აკეთოთ. **თევზები** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# 21 მარტიდან

# იყიდება

**100 წიგნი**

## „ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 1**

## განდი

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


## იუმორი



— მთვარიან ღამეს სადაც წაიქცევი, პლანეტარიუმიც იქ არის...

* * *

— ფსიქიატრიულ კლინიკებში ნაპოლეონებს უკვე ვეღარ შეხვდებით, დღევანდელმა გიჟებმა უკვე აღარ იციან, თუ ვინ იყო იგი...

* * *

ახალი ამბები ზოოპარკიდან:

— შეშინებულ სირაქლემას თხუნელა შემოაკვდა...

* * *

— ინფლაცია: საფულე სავსეა, კუჭი — ცარიელი...

* * *

— ექიმო, თქვენმა ვაშლის დიეტამ არ მიშველა, ისევ წონაში მოვიმატე.

— თქვენ ვაშლებს რეცხავდით?

— რა თქმა უნდა.

— აბა, სცადეთ, არ გარეცხოთ...

* * *

— საყვარელო, მე შენთვის პირველი მამაკაცი ვიქნები?

— დღეს კი...

* * *

— ჩემს დროს კომპიუტერი დღევანდელ ტელეფონებზე უფრო სუსტი იყო...

გ. თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მდინარე კიევში; 2. ეგვიპტის დედაქალაქი; 3. ლორად გამოყვანილი ზუთხის ან ორაგულის რბილი ნაჭრები; 5. მაღაროს გასანათებელი მეშახტის ფანარი; 6. ქოჩრიანი გარე ფრინველი; 7. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 11. ინდიელთა ტომის ბელადი; 13. ძვირფასი მეტალი; 14. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 15. ადმინისტრაციული ორგანო; 16. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 17. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. კომპოზიტორის ნომრით აღნიშნული მუსიკალური ნაწარმოები; 20. მოხალული ფქვილის გულიანი ნამცხვარი.

**თარაზულად:** 1. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 4. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 8. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი; 9. ფულის საერთაშორისო ერთეული; 10. ხელოვნური თმა; 12. მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 14. შტატი ბრაზილიაში; 15. ქალაქი ესპანეთში, სადაც ტარდება კორიდის სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიალი; 16. სამკურნალო პროცედურის დასრულებული ციკლი; 18. გარეული ცხოველი; 21. შოკოლადის ხე; 22. ხმის სახშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებში; 23. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

